სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 22 ნოემბერი 2000 №226 (1248) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

კინაღამ არ ითვლება

მილანი — გალათასარაი. მატჩის ბოლოს თურქებმა ანდრეი შევჩენკო იმავე კარის ბადეში მოიმწყვდიეს, რომელშიც უკრაინელმა მილანელთა მეორე გოლი გაიტანა

A ჯგუფი	
მანჩესტერი	3
პანათინაიკოსი	1
ვალენსია	2
შტურმი	0

B ჯგუფი	
მილანი	2
გალათასარაი	2
პარი სენ ჟერმენი	1
დეპორტივო	3

კინაღამ ვერ მოიგო „მანჩესტერმა“, მაგრამ პოლ სქოულზის ბოლოათ წუთში გატანილმა ორმა გოლმა სამი ქულა მასპინძლებს არგუნა;

კინაღამ მოიგო „გალათასარაიმ“, მაგრამ მეორე ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა და სტამბოლში ქულაღა წაიღო;

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ერთადერთი დაუმარცხებელი — „დეპორტივო“ „პარკ დე პრენსზე“ აგებდა, მაგრამ მერე გაშვებულს სამგზის უპასუხა.

არაფერი მომხდარა ვალენსიაში, ანუ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოფილური ფონდი

ფოცხვერიამ მერანისთვის ოპერაცია გადადო

„მერანის“ მუხლმტკივანი თავდამსხმელი ბირურგებთან მისვლას არ ჩქარობს

უშველეს, მაგრამ კომაშია

ბერტოლოტი გონზე ჯერაც ვერ მოსულა

ჩვენი მედალოსნები ოცნებაწართმეული კაცის ოცნება



Sydney 2000

ელდარ კურტანიძე პირდაპირ ლაპარაკობს

თბილისური ინტრიგა და საკუროორტო რეტრო

საქართველოს სასასუნო მატჩები თასის მერვედფინალი

21 ნოემბერი, სამშაბათი

გათუმი	2 (0)
ტორპედო	2 (2)
სიონი	2 (0)
დინამო	0 (4)
ზუგდიდი	1 (0)
ვიტ ჯორჯია	4 (3)
გორდა	1 (0)
დილა	1 (2)
მეტალურგი	1 (0)
კოლხეთი	4 (6)
მერანი	1 (1)
თბილისი	1 (0)
ლოკომოტივი	5 (1)
გურია	0 (0)
თსუ	0 (0)
სამგურალი	0 (2)

ფრჩხილებში პირველი მატჩების ანგარიშები

4 ფრე და სტუმარ-მასპინძლების ორ-ორი გამარჯვება — ასეთია გუშინდელი საპასუხო მერვედფინალების შედეგები. სიურპრიზის შემოთავაზება და ყველაზე თანაბარი წყვილის დაინტრიგება პირველლიგელმა „თბილისმა“ შეძლო, მაგრამ საქმე უფრო შორს აღარ წასულა. ერთადერთი დაბალლიგელი, რომელმაც მეოთხედფინალში გაღწევა მოახერხა, შარშანწინდელი თასის ფინალისტი წყალტუბოს „სამგურალია“, თუმცა იასონ ბზიკაძის გუნდის წარმატება პირველი, 2:0 მოგებული მატჩის მერევე იყო მოსალოდნელი.

ბადეში ლეონიდ ოლადაევი

გუშინ რუსთავში: „გორდა“ — „დილა“ 1:1. რუსთაველი გიორგი მიშველიძის (№15) თავური გორელთა მეკარე დავით მდივნის იოლი საბილო გახდა

იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდები

გუშინ ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. პირველი ტური

A ჯგუფი

მანჩესტერი 3:1 პანათინაიკოსი

1:0 შერინგემი (48), 1:1 კარაგუნისი (64), 2:1, 3:1 სქოულზი (80, 90)

მანჩესტერი: ბარტეზი, სილვესტრი, ბრაუნი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ბექემი, ბათი, კინი, სქოულზი, იორკი, შერინგემი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ფისასი, ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, ბასინასი, გუმასი, სიმნიევსკი, ლიბეროპულოსი, გალეტო, ვარჟიხა (კიაზოსი 74), კარაგუნისი (ვლაოვიჩი 66)

მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

65 024 მაყურებელი

ვალენსია 2:0 შტურმი

1:0 კარეუ (45), 2:0 ხუან სანჩესი (47)

ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი (ამარილია 60), ჯუკიჩი, პელეგრინო, ანგლომა, ალბელდა, ბარახა (მია 89), მენდიეტა, კილი გონსალესი (ვისენტე 82), ხუან სანჩესი, კარეუ

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, კორსოში, მამედოვი, შოპი (ფელდჰოფერი 79), შუპი, რაინმაიერი (საბიჩი 84), პრილასნიგი, მინავანდ ჩალი, კოციანი, ვასტიჩი

მწვრთნელი: ივიცა ოსიმი

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

27 000 მაყურებელი

მანჩესტერი	1	1	0	0	3:1	3
ვალენსია	1	1	0	0	2:0	3
პანათინაიკოსი	1	0	0	1	1:3	0
შტურმი	1	0	0	1	0:2	0

B ჯგუფი

მილანი 2:2 გალათასარაი

0:1 ჟარდელი (39), 0:2 ჰასან შაში (41), 1:2 ხოსე მარი (48), 2:2 შევჩენკო (73პ)

მილანი: აბიატი, შამოტი (სალა 51), როკე ჟუნიორი, მალდინი, გატუზო, ამბროზინი, სერჯინიო, ჯუნტი, შევჩენკო, ბირჰოფი, ხოსე მარი

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

გალათასარაი: ქერემი, ვედათი, პოპესკუ (კაპონე 69), ფათიჰი (ემრე 78), ბიულენთი, სუათი (დჯვალა უმითი 80), ოკანი, ერგუნი, ჰასან შაში, ჰაჯი, ჟარდელი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

46 324 მაყურებელი

პარი სენ ჟერმენი 1:3 დეპორტივო

1:0 ალჟერინო (38), 1:1 ნაიბეტი (63), 1:2 ტურუ ფლორესი (70), 1:3 მაკაი (90)

პსჟ: ლეტიზი, მენდი, დისტინი, დეუ (ოკპარა 73), ალჟერინო, ოკოჩა, ლუქაენი, დიუკრო (ე. სისე 73), რობერი, კრისტიანი, ლერუა

მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო (შელდერი 89), კაპდევილა, ვიქტორ სანჩესი, ემერსონი, მაურო სილვა, ვალერონი (სკალონი 82), ტურუ ფლორესი, დიეგო ტრისტანი (მაკაი 62)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

31 890 მაყურებელი

დეპორტივო	1	1	0	0	3:1	3
მილანი	1	0	1	0	2:2	1
გალათასარაი	1	0	1	0	2:2	1
პსჟ	1	0	0	1	1:3	0

REUTERS მანჩესტერიდან

ტედი შერინგემმა თავადაც გაიტანა და პოლ სქოულზსაც დაეხმარა დუბლის გახერხებაში

უეფას თასი. 1/32 ფინალი.

პირველი მატჩი. 21 ნოემბერი

UEFA CUP

ჰერტა (გერმანია) — ინტერი (იტალია) 0:0

„ჰერტას" ირანელმა ალი დაეიმ მილანელ ივან კორდობას დაასწრო

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — პანათინაიკოსი 3:1. ანტონის ნიკოპოლიდისის მოგერიებულს პოლ სქოულზმა (№8) დაამატა. 2:1 — ინგლისელები დაწინაურდნენ, ბერძნები გატყდნენ

REUTERS მილანიდან

მილანი — გალათასარაი 2:2. ჯენარო გატუზო (მარცხნივ) და ჰასან შაში: ამათი ურთიერთმეურვეობა მატჩის ბოლოს კინაღამ მუშტი-კრივითაც დასრულდა

დღეს ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. პირველი ტური

C ჯგუფი

სპარტაკი – არსენალი

ბაიერნი – ლიონი

D ჯგუფი

ანდერლეხტი – ლაციო

ლიდსი – რეალი

ქინვა ჩვენ რას დაგვაკლებს

„მთავარია, საშინაო თამაშები მოვიგოთ, ხოლო სტუმრად გუნდებს თითო ქულა მაინც ავართვათ" — აცხადებს „ლიდსის" თავკაცი დევიდ ოლირი ჩემპიონთა თასის მფლობელ მადრიდის „რეალთან" საშინაო მატჩის წინ. აშკარა და თამამი მინიშნებაა, რომ ირლანდიელს „სამეფო კლუბთან" მოგება სწადია — ოლირის მადა გაეხსნა, რაკილა პირველ ეტაპზე „სიკვდილის ჯგუფიდან" გაიყვანა გუნდი და იქ თავად „ბარსელონა" ჩატოვა.

ახლა იმათზე, ოლირის განკარგულებაში რომ ვერ იქნებიან. ჯერ გავიხსენოთ, რომ „ლიდსს" ჰარი კიუელი, დევიდ ბეტი, მაიკლ ბრიჯისი და მეკარე ნაიჯელ მარტინი აკლია, თუმც ამ უკანასკნელის არყოფნაში პოლ რობინსონი ისე ბრწყინვალედ თამაშობს... ძლიერად ათამაშდა, ეგებ გამოჯანმრთელებული მარტინი პირდაპირ სათადარიგოთა სკამზე გაამწესონ. დისკვალიფიცირებულია ოლივიე დაკური. ახალი ცნობა ლიდსელთა დანაკლისზე კი ასეთია — ერიკ ბაკემ ტრავმის გამო ეგებ ვერც ითამაშოს. მოკლედ, დევიდ ოლირის სასტარტოში ალბათ ორი შედარებით გამოუცდელი ფეხბურთელის — მეტიუ ჯოუნსის და ჯეიკობ ბარნსის გამწესება მოუწევს.

„ჩვენ სიურპრიზი და მოულოდნელობა ბევრს შევთავაზეთ და „რეალთანაც" ამას ვაპირებთ" — აცხადებს ოლირი.

მადრიდელთა ოქროს ბიჭუნა რაული კი ფრთხილობს: „ლიდსთან" სტუმრად გამარჯვება გუნდს დიდებით მუხტს შეჰმატებს, თუმც ვხვდები, რომ ჩვენთვის ფრეც კარგი შედეგია."

„რეალში" სიახლეა — მიჩელ სალგადომ ტრავმა მოიშუშა. მან პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ვილიარეალთანაც" ითამაშა. დაცვის ოთხეულს დელ ბოსკე ალბათ ასე დააკომპლექტებს: მარჯვნივ სალგადო, ცენტრში ფერნანდო იერო და აიტორ კარანკა, ხოლო მარცხნივ, ჩვეულად, რობერტო კარლოსი. დიდი შანსი აქვს სტივ მაკმანამანს, რათა თავის თანამემამულეებს მატჩის პირველივე წუთებიდან დაუპირისპირდეს.

„ლუჟნიკის" სტადიონზე ყველა ბილეთი გაიყიდა: „სპარტაკი" — „არსენალის" მატჩს 84 ათასი ქომაგი დაესწრება. მოსკოვში ტემპერატურა ნულ გრადუსს ქვევითაა და წესით, ლონდონელებს უნდა გაუჭირდეთ. რუსებმა ეს ძალიან კარგად იციან და თავის კოზირს არც მალავენ: „თუ ყინვა კიდევ უფრო გაძლიერდება, ეს „სპარტაკისთვის" უკეთესია" — თამამად აცხადებს რუსეთის ჩემპიონთა მწვრთნელის ასისტენტი ვიაჩესლავ გროზნი.

თავად მწვრთნელი ოლეგ რომანცევი კი ლოზუნგისმაგვარი მოწოდებით ამხნევებს თავის შეგირდებს: „ახლა სასწორზე მხოლოდ „სპარტაკის" რეპუტაცია როდი დევს, ჩვენს უკან მთელი რუსული ფეხბურთია".

„სპარტაკმა" ჩემპიონთა ლიგის წინა მატჩიც მოსკოვში ჩაატარა და პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში თასის ამჟამინდელ მფლობელს მადრიდის „რეალს" 1:0 სძლია, თუმცა მასაც და ესპანელებსაც მეორე ეტაპის საგზური ადრევე გაენაღდებინათ. ახლა რუსეთში ჩემპიონატი დასრულებულია, „სპარტაკი" ჩემპიონია. წინა პარასკევს „სახალხო გუნდმა" ოდენ თასის შეხვედრა ჩაატარა და „ლადას" ოთხი გოლი გაუტანა, აქედან ორი ბრაზილიელმა მარკაომ, რომელიც დღევანდელ მატჩს თავის თვისტომ ლუის რობსონთან ერთად სასტარტოში დაიწყებს, ვინაიდან ალექსანდრ შირკო დამტვრეულია. საეჭვოა დმიტრი ანანკოს თამაშიც. ისიც დაშავებულია.

„რაც მთავარია, მატჩის დებიუტში უნდა ვიმარჯვოთ — საფეხბურთო სიბრძნეს ავლენს ნახევარმცველი რეი პარლოუ — შაბათს წაგებული თამაშის შემდეგ ჩვენგან გარკვეული რეაქციაა საჭირო. ახლა, ლიგის პირველივე ტურში, სამი ქულის აღება ერთობ მნიშვნელოვანია".

„არსენალი" „სპარტაკს" უეფას თასზე 1983 წელს შეხვდა. ორივე თამაში რუსებმა მოიგეს: მოსკოვში 3:2, ლონდონში 5:2. ასეთი ანგარიშით „არსენალი" „ჰაიბერიზე" ევროპულ გუნდთან არც მანამდე და არც მას მერე დამარცხებულა.

ლონდონელთა მთავარი დანაკლისი პატრიკ ვიეირაა. ფრანგს მუხლის ტრავმა აქვს და გუნდს მოსკოვში საერთოდ არ ჩაჰყოლია. მწვრთნელი არსენ ვენგერი ტიერი ანრის დაბრუნებას ელის, ისევე როგორც ტონი ადამსისა და სილვინიოსი — სამივე ფეხბურთელმა ტრავმა მოიშუშა.

ნიკა შუბლაძე

ინგლისი

I დივიზიონი

ვულვერჰემპტონი — გრიმსბი 2:0; ბარნსლი — ნორვიჩი 2:0; შეფილდ იუნაიტედი — ფულემი 1:1

II დივიზიონი

რექსჰემი — კემბრიჯი 2:2

III დივიზიონი

პლიმუთი — კიდერმინსტერი გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

მერვედფინალის საპასუხო მატჩები

ბათუმელებო, მიბაძეთ ჰოკეისტ ქალებს!

ბათუმი
21 ნოემბერი
14 საათი
დინამო
1 000 (ტევადობა 18 000)

ბათუმი 2:2 ტორპედო

პირველი მატჩი 0:2

0:1 კვეტენაძე (13), 0:2 ასათიანი (26), 1:2 ყულეჯიშვილი (60), 2:2 თედორაძე (80)

ბათუმი: ბედიაშვილი, ჩიჩუა (თედორაძე 27), მინდაძე, ბაბიძე, მიქვანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, ყულეჯიშვილი, რომანაძე (ო. გელესიანი 46), აფხაზავა (ფურცხვანიძე 75), ა. მუჯირი

სათადარიგონი: სამნიძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, ქაცარავა

ტორპედო: ზოიძე, შალამბერიძე, ხვადაგიანი (თაყბერიძე 46), მახვილაძე, ახვლედიანი, გუჩუა, ჩიტანი, კვეტენაძე (თურმანიძე 52), ასათიანი, ჯანაშია (იმედაძე 46), იონანიძე

სათადარიგონი: ქანტურია, გაბიდური, ა. შეგრილაძე

მსაჯები: ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფშ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

„ტორპედო“ ოთხ დღეში მეორედ ეწვია აჭარას და კვლავაც ცმაყოფილი დაბრუნდა შინ. ამჯერად იმერლებს არ მოუგიათ, მაგრამ სამეოთხედფინალოდ ამანაც იკმარა.

„ბათუმი“ ქუთაისური 0:2-ის ამომჭეველი რომ არ იყო, ეს პარასკევის სტჩმაც დაგვანახა. ამიტომაც იყო ბათუმს დავით ყიფიანი რომ არ სწვეოდა სხვა მხრივ „ტორპედომ“ ძირითადის ყველა საღ-სალამათი ფეხბურთელი იახლა.

საწყისი წუთები „ბათუმისა“ იყო. პირველ ხუთ წუთში ორჯერ გატანაც შეეძლო. ჯერ რომანაძის პასით აფხაზავას ახლოდან უმტყუნა მიზანმა, ხოლო აქედან წუთში იგივე ბედი ყულეჯიშვილმა გაიზიარა.

„ტორპედო“ მალე გამოერკვა, თამაში დაალაგა და უმალ გაიტანა კიდეც. მე-13 წუთი იდგა, იონანიძემ კვეტენაძე მეკარეს რომ ერთი-ერთზე დაუპირისპირა. კახამაც პასი შეიშნოვა და მის მძლავრ დარტყმულს ბედიაშვილი წინ ვერაფრით აღუდგა.

გოლმა სულ დაუკარგა თამაშს ინტრიგა. აქედან მოყოლებული სტუმრები, რაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ. მომენტებიც მრავლად შექმნეს, აი, გატანით მხოლოდ ერთი გაიტანეს. ჯანაშიამ საჯარიმოს ხაზთან ასათიანი მოძებნა. მალხაზმა ბურთი დაამუშავა, საჯარიმოშიც იოლად შეაღწია და ლაზათიანი აბრაგანით ბურთი იგივე მაღალ კუთხეში შეჭედა.

პირველ ტაიმში ამით ყველაფერი მორჩა, თუ არ ჩავთვლით, მეორე გოლიდან სამიოდ წუთში ყულეჯიშვილმა ხარიხას რომ მოუსინჯა ძალა.

აბა თამაშის განახლებას ვითომ რაღა უნდა შეეცვალა და პირველი 15 წუთი უინტერესო და უხალისო ბუთაობაში მიილია. თუმცა, მე-60 წუთიდან „ბათუმმა“ ერთბაშად გამოიღვიძა და სტუმართა საჯარიმოში ჩასახლდა.

ილუსტრაცია ფეხბურთი ბათუმიდან

მიხეილ მახვილაძემ (№3) და ვახტანგ ხვადაგიანმა გოჩა ყულეჯიშვილის (№9) იერიში მოიგერიეს

ამას „ტორპედომაც“ შეუწყო ხელი, რომელიც საეჭვოდ მოდუნებული ჩანდა. ზოიძეს, მთელი პირველი ტაიმი უსაქმოდ რომ იყო, მეორეში საქმე მიეცა, იცოცხლეთ ბლომად. ირაკლის ორსამჯერ მცველთა დაუდევრობის გამოსწორება მაღალ კლასის ხარჯზე მოუწია.

ყველაფერი კი ახვლედიანის მიუტევებელი შეცდომით დაიწყო. უწყინარ სიტუაციაში მან ჩინებული საგოლე პასი მიართვა ყულეჯიშვილს, რომელსაც მეტოქის გარჯა არც დაუკარგავს და პენალტის ნიშნულთან მყოფს გატანა არ გასჭირვებია.

20 წუთი გაგრძელდა მასპინძელთა შტურმი და იგი ანგარიშის გაყაიმებით დასრულდა. ამჯერად ყულეჯიშვილმა ასისტენტობა გასწია, გატანით კი შეცვლაზე შესულმა თედორაძემ გაიტანა.

ასეა თუ ისე, „ტორპედომ“ აშკარად დაინდო მეტოქე და მასთან წლევანდელ სეზონში მეოთხე მოგებას, მეგობრული ყაიმი ამჯობინა.

ჰო, მართლა, თამაშის პარალელურად, „დინამოს“ სათადარიგო მინდორზე ბათუმელ და ქუთაისელ ქალებს, ასევე საქართველოს თასზე ჰოკეი გაეჩაღებინათ. ჰოდა, მასპინძლებმა 4:1-იც მოიგეს. ასე რომ, ბათუმელმა ფეხბურთელმა კაცებმა, ჰოკეისტ ქალებს უნდა მიბაძონ.

თბილისი
21 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
200 (ტევადობა 3 000)

მერანი 1:1 თბილისი

პირველი მატჩი 1:0

1:0 დვინიტ (30), 1:1 მანჭარაული (68)

მერანი: ნაჭყებია, ივანიშვილი, გუჯაბიძე, დეჯიძე, ბოდლესონი (ტ. კვეტენაძე 46), კობესაშვილი, თოლორდავა, დ. გოდერძიშვილი, კიკუბავა (ჩანდირი 46), ჭინჭარაული, ბაჯელიძე (მუხინი 46)

სათადარიგონი: კორონინაძე, ოდიშარია, ბოშკიძე, სილაგავა

თბილისი: კუპატაძე, ჩალაძე, მახარაძე, ნიკურაძე, ლ. კაპანაძე, ბ. ფირცხალავა, ბერიშვილი, ჟუილავა, მანგაბეკ (გოგმაჩაძე 46), სანიკიძე, მანჭარაული

სათადარიგონი: ჯავარშეიშვილი; მისაბიშვილი, გუშარაშვილი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. ელიკაშვილი (თბილისი)

სფშ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

დავით თავართქილაძე

ბავშვებს წკეპლა არ სჭირდებათ...

ბადრი კბილაძის ფოტო

ამ წყვილში ვითომდა თავიდანვე ...ანწირული „თბილისი“ პირველი ლი...ის აუტსაიდერია და მთლიანად ახა...ლგაზრდა, პირტიტველა ფეხბურთელე...ითაა დაკომპლექტებული. ხოლო „მე...რანი“ ამბიციურ გუნდად გამოიყურე...ოდა სეზონის დაწყების წინ და თი...ქოს საამისო რეზერვიც ჰქონდა, ახალ ...ი შინ „თბილისს“ ვერ უგებს — ავ...ჯალელთა გუნდს ფორტუნამ გულია...ად გაულიმა, როცა თასის მერვედფი...ალში ბავშვებს გადაჰყარა.

...აი, ამგვარადაა საქმე. ადრეც გვი...ქვამს და ახლაც ვკითხულობთ — ...ა ხდება „მერანში“?

...ატჩის მსვლელობიდან გამომდინა...ს ვერ ვიტყვით, რომ „მერანი“ ერთობ ...ადგილერებულად დაუხვდა „თბილისს“ ...ა წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ...ასპინძლებმა მყისვე შეუტიეს, მაგრამ ...ტუმრები ამას სულაც არ შეუშინდნენ. ...ვებზე უფრო მოწადინებულად მერა...ელთა შეგოლე დავით გოდერძიშვილი ...ამოიყურებოდა, რომელმაც ჩემპიონა...ში ბომბარდირობა დაკარგა, მეათე ტუ...ის შემდეგ გოლი არ გაუტანია და ...ათსო მატჩში ლამობდა ნავსის გა...ტეხვას, მაგრამ მისი გარჯა ამჯერადაც ამაო გამოდგა. პირველი რეალური საგოლე მომენტი კი სტუმრებმა შექმნეს — პაატა ფირცხალავამ და ლევან სანიკიძემ მერანელთა საჯარიმოს სიახლოვეს არაორდინალური, ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და სოსო მანჭარაული რეზო ნაჭყეპიას პირისპირ შეატოვეს, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდს მეკარემ გამოცდილებით აჯობა და ვითომდა ეშმაკური ჩანფიქრის განხორციელება არ დაანება. ავჭალელებს პასუხი არ დაუხანებიათ და თოლორდავაბაჯელიძეს მეოხებით გოდერძიშვილს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ ოდნავ უხერხული მდგომარეობიდან მერანელთა მთავარმა იმედმა სამიზნე ვერ გაასწორა.

უწყვეტად გრძელდებოდა მასპინძელთა უფერული შეტევები, რაც საკმარისი აღმოჩნდა გოლის გასატანად — კაკუბავას მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ჯარიმას სტუმართა საჯარიმოში დევიძემ ცაცია მოხდენილად შეაგება. ამის შემდეგ ლოგიკური იყო იმის პროგნოზირება, რომ მერანელები კიდევ დამწუხრებდნენ ზვიად კუპატაძეს, მაგრამ ყოველივე სხვაგვარად წარიმართა.

მეორე ტაიმიც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და „მერანმა“ მის დებიუტში შექმნა ერთადერთი საინტერესო ეპიზოდი — ივანიშვილმა „თბილისის“ საჯარიმოში ჩაჰკიდა, თოლორდავამ ეფექტურად, ძლიერად დაარტყა, მაგრამ კუპატაძემ ხელებში გააქვავა ბურთი.

რა თქმა უნდა, უჭირდა „თბილისს“ მეტოქესთან გამკლავება. ხშირად მისი ფეხბურთელები უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს ან სახიფათო სიტუაციებში აუტზე აგდებდნენ, ძალისმიერ ორთაბრძოლებშიც მოიკოჭლებდნენ, მაგრამ მთლიანობაში მობილურ, სწორ ფეხბურთს თამაშობდნენ, სათამაშო დისციპლინასაც კარგად იცავდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ „თბილისის“ თავკაცი რევაზ გაგუა ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობაში ჭიპმოჭრილი სპეციალისტია. კონტრიერიშებზე ჰქონდათ აგებული თამაში მის შეგირდებს და არც გაემტყუნებათ. თანაც საპასუხო გოლი „თბილისმა“ სწორედ სწრაფი, გააზრებული კონტრშეტევისას გაიტანა — აკაკი ქუხილავამ მარცხენა ფლანგზე გაჭრილი ვახტანგ გოგმაჩაძე მოძებნა, რომელმაც „მერანის“ საჯარიმოში მყოფ მანჭარაულს გადააწოდა ბურთი, ფორვარდმა დაამუშავა ის, მეტოქე მცველი ოსტატურად მოატყუა და ნაჭყეპიასაც მეორე ცდაზე უკვე აულებელი დაურტყა.

ამის შემდეგ თამაში მეტად დაიძაბა — „თბილისს“ ხომ მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი გაუჩნდა. „მერანი“ ვითომ გახელდა, აგრესიულობას უმატა, სტუმრებიც გაყოჩაღდნენ და ერთი-ორი მწვავე იერიშიც მიიტანეს მეტოქის კართან, თუმც მატჩი ისე ჩამთავრდა, რომ რეალური საგოლე მომენტები აღარ შექმნილა, მაგრამ ის კია, რომ გვარიანად ანერვიულდნენ მერანელები და მათი ხელმძღვანელობა.

სათადარიგოთა სკამიდან გუნდის ახალბედა თავკაცი დათო ჯიშკარიანი მოძღვრავდა ფეხბურთელებს, მოედნის საპირისპირო მხრიდან კი მენეჯერი — ვოვა ჩერქეზოვი. მერე თვით კლუბის პრეზიდენტი დავით ფურცელაძე დაეშვა ტრიბუნიდან და ერთი-ორი სიტყვა მანაც შეაშველა მწვრთნელებსა და მენეჯერებს.

...როგორც იქნა, მოსახდენი მოხდა, „მერანმა“ თასის მეოთხედფინალში გაიღწია, ბავშვები გზიდან რის ვი-ვაგლახით ჩამოიცილა, მაგრამ მერე საით? აშკარაა, ავჭალელთა გუნდს ისეთი ხელი აკლია, რომელიც ლაგამს კარგად ამოსდებს, როგორც საჭიროა ისე გააჭენებს „მერანს“ და თუ აუცილებლობა იქნება, წკეპლასაც მარჯვედ მოიხმარს.

მთავარ მწვრთნელ სერგო გაბელაიას გარეშე დარჩენილ „მერანს“ „თბილისთან“ 1:0 შემდეგ აღარ მოუგია

ზუგდიდი
21 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
(ტევადობა 7 500)

ზუგდიდი 1:4 ვიპ ჯორჯია

პირველი მატჩი 0:3

0:1 ზ. გვაზავა, 0:2 თაფაძე, 1:2 ონიანი, 1:3 ზ. გვაზავა, 1:4 მელქაძე

შაბათის ფიქრები

რუსთავი
21 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

გორდა 1:1 დილა

პირველი მატჩი 0:2

0:1 ციცქიშვილი (51), **1:1** ივეჩიანი (73)
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ლაშა სილაგაძე, მქედლიძე (ბერიძე 33), ბექაური, ზ. ლაბაძე (ლ. კაპანაძე 62), კიტეიშვილი, ა. ბუკია (ბაჩილავა 62), ივეჩიანი, მიშველიძე, ალადაშვილი
სათადარიგონი: გონგაძე, მ. სახვაძე, პატარიძე, გ. გ. მიქაძე
დილა: მდივანი, აკოფიანი (ხაჩიშვილი 78), გაგნიძე, გ. ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, რევაზიშვილი (გ. გოჩაშვილი 70), ფეზაშვილი (გ. ტულუში 63), ეფოშვილი, დ. მისურაძე, ციციშვილი, ნორგუაშვილი
სათადარიგონი: ილურიძე, ა. ხმალაძე, ხოხობაშვილი, გრიგალაშვილი
გაფრთხილება: მისურაძე (89)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; ჯ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. თანანაშვილი

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

7 ნოემბერს საქართველოს თასის მერვედფინალური ეტაპის პირველ მატჩში „დილამ“ 2:0 სძლია გორში „გორდას“. გუშინ ეს გუნდები სათასო, საპასუხო მატჩში შეიბნენ „ფოლადზე“, შაბათს კი რუსთავშივე ეროვნული ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთურთს.

ბადრი ჯაფარიძე რუსთავიდან

გორელი ხვიჩა გაგნიძე და ანგარიშის გამთანაბრებელი ბიძინა ივეჩიანი

თემურ ბუიღლიშვილი და თემურ ჯაფარიძე მოგებულებს პრიზებს ურიგებენ

ზესტაფონი
21 ნოემბერი
14 საათი
ფეტალურგი
200 (ტევადობა 10 000)

ფეტალურგი 1:4 კოლხეთი

პირველი მატჩი 0:6

0:1 ქანტურიძე (24), **1:1** მოდებაძე (27), **1:2** ქანტურიძე (48), **1:3** მაღლაკელიძე (49), **1:4** თედეგი (81)
ფეტალურგი: ნიქაბერიძე, გაფაშელიძე, მერებაშვილი, მახათაძე, ორმოცაძე, მემარნიშვილი, ფანცსაფი, აჭარაძე (ბაზაძე 53), ქანკვეტაძე (ბურუშიძე 75), მოდებაძე, კვანტრიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე; ბაქრაძე
კოლხეთი: ჩქმა, ბ. ჩიტაია, ტორჩინავა (ქუნთელია 46), ბაბაკი, მაღლაკელიძე, კიკალიშვილი, გოგაშვილი, ახალკაცი (თოფურია 71), შავგულიძე, ე. გვასალია (თედეევი 57), ქანტურიძე
სათადარიგონი: მ. გვასალია; ხუჭუა, კრასოფკი
მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); კ. თბილელი, ო. ხეცაძე (ორივე თბილისი); ი. აფციაური (ფოთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან

ამ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა ორი კვირის წინ გაირკვა. „კოლხეთმა“ შინ ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანა მეორეჯგუფელ, თანაც ფოთში შესუსტებული შემადგენლობით ნასტურრევ მეტოქეს. ამიტომაც საპასუხო მატჩი ოდენ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თუმც საფიქრალი იყო, რომ

თოთხმეტში თოთხმეტი, ოთხში კი თხუთმეტი

„მეტალურგი“ საშინაო შეხვედრაში წინასწარ კაპიტულაციაზე არ დათანხმდებოდა და უწინდელზე უკეთესად გაირჯებოდა. ეს ვარაუდიც გამართლდა, ოღონდ ნაწილობრივ.

კოლხებმა საპასუხო მატჩისთვის დისკვალიფიცირებულნი ფანჩულიძე და გოროზია მოისაკლისეს. და არა მხოლოდ ესენი, მთავარი გუნდის შემადგენლობაში სათასო შეხვედრებში თამაშის უფლებადაკარგული კვირკველია (მეთექვსმეტედფინალში „კოლხეთის“ წინააღმდეგ მისსავე ფარმკლუბის შემადგენლობაში ითამაშა), ღაღანიძე, რომელიც საერთოდ არ ჩასულა ზესტაფონში და მეკარე მამუკა გვასალია, ოღონდ ეს უკანასკნელი სათადარიგოებში მაინც ირიცხებოდა. მთლად ოპტიმალური არც მასპინძელთა შემადგენლობას ერქვა, „მეტალურგმა“ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა.

პირველი ნახევარი ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში გაილია. შუა ტაიმამდე მეტოქეებმა თითო საგოლე მომენტი გააცუდეს. მერე კოლხები დაწინაურდნენ. მარჯვენა ფლანგიდან ახალკაცის ზუსტი გადაცემის შემდეგ ჭანტურიძემ მეტოქის საჯარიმოს წინა ხაზიდან შეუჩერებლივ და ზუსტად დაარტყა ნიქაბერიძისგან მარცხენა დაბალ კუთხეში. მასპინძლებმა სამ წუთში გაქვითეს ეს გოლი. მოდებაძე სტუმართა საჯარიმოს კუთხესთან კოლხთა გამოცდილ ლიბეროს ტორჩინავას იოლად დაუსხლტა და მერე ვეღარც ჩემიამ იხსნა თავისიანები.

ზღვისპირელთა უპირატესობა შესვენების შემდეგ უფრო გამოიკვეთა. მათ საგრძნობლად უმატეს ტემპს და ამ გააქტიურებამ უმალ შედეგიც გამოიღო. „მეტალურგის“ კარი წუთში ორჯერ დაილაშქრა. ჯერ იყო და შავგულიძემ მარცხენა ფრთაზე გრძელი რეიდის შემდეგ კარგად გაჭრა კარის გასწვრივ, მასპინძლები თითქოსდა მზად იყვნენ მოსაგერიებლად, მოიგერიეს კიდეც, მაგრამ მეტად უხეიროდ და ეს შეცდომა მათ ჭანტურიძემ არ აპატია — კოლხმა ახლოდან მეორედ შეარხია ზესტაფონელთა კარის ბადე. მაღლაკელიძის გოლიც მასპინძელთა დაცვაში „ჩავარდნას“ მოჰყვა. კოლხი მარცხენა მცველი ნიქაბერიძესთან პირისპირ აღმოჩნდა და მისთვის ბურთის თავზე გადაგდება არ გასჭირვებია.

„მეტალურგსაც“ ჰქონდა გატანის შანსი, თანაც ორი, მაგრამ ორივე გამოუყენებელი დარჩა. 62-ე წუთზე მოდებაძემ კარიდან წინ გამოსული ჩემია შენიშნა, დაახლოებით 40 მეტრიდან დაურტყა და... ხარიხას მოახვედრა. ალბათ, მემარნიშვილიც გაიტანდა, ფოთელთა მეკარეს ნახტომში კუთხურზე რომ არ გადაეგდო ძლიერად დარტყმული. ეს ორი ეპიზოდი, თორემ, როგორც ვთქვით, მეორე ტაიმში მოედანზე „კოლხეთი“ დომინირებდა. სტუმართა მეოთხე გოლი შეცვლაზე შესულმა თედეევმა მიითვალა. გოგიაშვილმა იგი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და...

„კოლხეთმა“ თასის მეთექვსმეტედ და მერვედფინალის ოთხ მატჩში 15 ბურთი გაიტანა. შედარებისთვის: ფოთელებს ჩემპიონატის თოთხმეტ შეხვედრაში სულ 14 აქვთ გატანილი.

კიდევ ერთი დაბრუნდება...

ფოთი
21 ნოემბერი
14 საათი
არგვანი
300 (ტევადობა 3 000)

თსუ 0:0 სამგურალი

პირველი მატჩი 0:2

თსუ: გუდუნავა, ხარებავა, ეპრალიძე, ე. ალადაშვილი (ყვიციანი 46), არეშიძე, სვანძე, რ. გოცირიძე, წულუნავა, მესხი, ადამია, ბაბალაძე
სათადარიგონი: მაჩარდაშვილი; მორჩილაძე
სამგურალი: ბოდორკა, ბერიძე, ქელეხე, თორია, მ. ჯინჭარაძე, ლ. ქობულაძე (ფხაკაძე 46), ლორღლაძე, დარსაძე, ბაბუნაშვილი, კიკვიძე (ჯიჯგავა 84), ქუთათელაძე (ოდესეთიანი 70)
სათადარიგონი: გიორგაძე ლევნდელი, მაჭარაძე, ბარბაძე
გაფრთხილება: ლონდლაძე (47), ყვიციანი (87), ბაბუნაშვილი (88)
გაძევება: ყვიციანი (88)
მსაჯები: მ. მალალურაძე ლ. სილაგავა (ორივე ბათუმელი), ბ. ბერეკაძე ჯ. ბუშაშვილი (ორივე ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელეხე

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

გუშინ თსუ-ს იმ ორბურთიანი დ[illegible] ფიციტის აღმოფხვრა სურდა, ორი [illegible] რის წინ წყალტუბოში, „სამგურალ[illegible] სგან“ რომ მიიღო, მაგრამ სტუდენტებ[illegible] თვის დაუძლეველ ზღუდედ იქცნენ სტ[illegible] მრები და ალალიც იყო მათთვის თა[illegible] გათამაშების მომდევნო წრეში გასვ[illegible]

მართალია, „არმაზზე“ მოთამაშე „[illegible] მგურალმა“ მეტოქეს გოლი ამჯერ[illegible] ვერ გაუტანა, მაგრამ არც გაუშვა [illegible] ორი თამაშის ჯამში საბოლოოდ გა[illegible] რჯვებული გაემგზავრა მცხეთიდან.

ბინდური თამაში იყო, ნერვიული. ეპ[illegible] ციებს აჰყვნენ მასპინძლები და უსა[illegible] სიტყვებიც ხშირად ისმოდა მინდორ[illegible]

მასპინძლებს პირველ ტაიმში ალად[illegible] შვილი დაუშავდათ, რომელსაც საპა[illegible] ორთაბრძოლისას ტვინი შეერყა. ტა[illegible] ჩაამთავრა თუ არა, გულისრევაც დაუ[illegible] და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქ[illegible]

მეორე ტაიმში სტუმარ კიკვაძეს [illegible] უსისხლიანდა ტუჩი და მწვრთნელმ[illegible] ფეხბურთელის შეცვლა გადაწყვიტა.

რამდენიმე ფეხბურთელი (ორივე [illegible] რიდან) შემთხვევით გადაურჩა ტრავ[illegible] უხეშობით კი განსაკუთრებით მასპ[illegible] ლები გამოირჩეოდნენ.

არადა, თსუ-მ ისე დაიწყო, იფიქ[illegible] დით, ორბურთიანი სხვაობის გაბათლ[illegible] და გამარჯვება არ გაუჭირდებოდ.

გოცირიძემ საგოლედ ვერ დარტ[illegible] ხელსაყრელი პოზიციიდან, ბოდოკიან[illegible] პირისპირ გასულმა წუწუნავამ მეკა[illegible] ვერ აჯობა. ამის შემდეგ სტუმართა [illegible] ვლემარე დაცვამ გამოიღვიძა, მეკარე [illegible] დოკიაც პოზიციურად უშეცდომოდ [illegible] ჯებოდა და „სამგურალის“ კართან [illegible] ფათიც მეტი აღარ შექმნილა.

მასპინძლები მთელი თამაშის მან[illegible] ლზე ფლობდნენ უპირატესობას, მაგ[illegible] ქაოსურად უტევდნენ და წყალტ[illegible] ოელებსაც საქმეს უადვილებდნენ.

სტუმრები სისწრაფეში ჯაბნიდნენ [illegible] ტოქეს. მოხდენილად ამოჭქონდათ [illegible] რთი თავიანთი საჯარიმოდან და სწ[illegible] ფადვე გადადიოდნენ კონტრიერიშებ[illegible]

განსაკუთრებით ორ სტუმარს გამ[illegible] რჩევდი. ბაბუნაშვილი და ქუთათელაძ[illegible] ტოქისთვის მოუხელთებელნი იყვნენ [illegible] რველი „სამგურალის“ იერიშებს წარ[illegible] რთავდა, ხოლო მეორემ მოსვენება [illegible] კარგა თსუ-ს მცველებს, რომლებიც [illegible] რად ჯარიმდებოდნენ მასთან ბრძოლ[illegible]

ორჯერ ახალაძის, ერთხელაც არ[illegible] ძის კარს მცირედით აცილებული სა[illegible] რიმო დარტყმები — აი, რითაც თსუ [illegible] მორჩა მეორე ტაიმში. სტუდენტებმ[illegible] ვა სახეირო ვერაფერი გაუხერხეს.

„სამგურალი“ კი აშკარად არ აფ[illegible] ვებდა თამაშს, ფეხბურთელები ს[illegible] თარ ფეხებს მოუფრთხილდნენ. ანც[illegible] იყო გასამწვავებელი, მეტოქე აშკ[illegible] ვერ თამაშობდა თავის ფეხბურთს.

საბოლოოდ დაბრიყვა ქვედალგ[illegible] წოდებით უფროსი მეტოქე არც [illegible] გასაკვირი. „სამგურალს“ ჰყავს ფეხ[illegible] რთელები, რომლებსაც უმაღლეს ლ[illegible] ში თამაშის გამოცდილება ბევრ ს[illegible] დენტზე გაცილებით მეტი აქვთ. და [illegible] დევ, წყალტუბოელებს ხომ სათასო [illegible] ნდის რეპუტაცია აქვთ, რაც გუშ[illegible] დამტკიცეს და გაიმარჯვეს. და თუ გ[illegible] ხულისთვის აშკაშინდელ სათამაშო [illegible] რმას შეინარჩუნებენ, სულ არ გაკ[illegible] რდება, უმაღლეს ლიგაში აღზევდ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი: მაგი ბუღალტერია და სულ პატარა სიხარული

ლოკომოტიველი თორნიკე აფციაური და თენგიზ პატარაია

გურამ ცუცქირიძის ფოტო

ბოლნისი
21 ნოემბერი
14 საათი
თეიმურ სტეფანია
500 (ტევადობა 3 000)

სიონი 2:0 დინამო

პირველი მატჩი 0:4

1:0, 2:0 მოსეშვილი (48, 90)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი (ბარნოვი 46), გამეცემლიძე, მ. სამხარაძე, მოსეშვილი, კ. მეტრეველი (წივწივაძე 46), ჩაგელიშვილი, ჯაფარიძე (კენჭოშვილი 62)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დემურიშვილი
დინამო: ჩიხრაძე (ბათიაშვილი 46), თ. მაისურაძე, ზაზიაშვილი, კანდელაკი, ზამთარაძე, ბურდული, რუხაძე, სიჭინავა (მ. ჯინჭარაძე 46), მაზიაშვილი, გ. ვ. მიქაძე, კ. გოგოლაძე (გადელია 82)
სათადარიგონი: ვაშაკიძე, ზირაქიშვილი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. გრუაშვილი

კობა ინასარიძე ბოლნისიდან

სექტემბრის შემდეგ „სიონი" „დინამოს" უკვე მეოთხედ შეხვდა. აქამდე ყველა მატჩი ქვეყნის ათგზის ჩემპიონებს მოეგოთ, მათ შორის წინა პარასკევს, თბილისში, გამანადგურებელი ანგარიშით. ის თამაში ჩემპიონატისა გახლდათ და აქ ეგებ არც უნდა გვეხსენებინა, მაგრამ ბოლნისელთათვის შოკისმომგვრელი გამოდგა და მოსალოდნელი იყო, ოთხი დღის შემდეგ იმავ მეტოქესთან მასპინძლებს კბილებით ებრძოლათ და ქომაგთათვის 0:9 წაგება დაევიწყებინათ. ინტრიგადაც ამას თუ ჩავთვლით, თორემ თასის მერვედფინალის პირველ მატჩშიც არ დაუკლია „დინამოს" ხელი „სიონისთვის" და ბოლნისს ოთხბურთიანი ფორით ესტუმრა. ამხელა სხვაობის გაბათილება კი, მოგეხსენებათ, ერთობ ძნელი საქმეა, მით უფრო, თუ მეტოქედ „დინამო" გყავს.

მოლოდინი არ გამართლდა, მთელი მატჩი დუნედ, მონოტონურად წარიმართა. თბილისელებს რა ენაღვლებოდათ და მასპინძლებიც, აშკარად იგრძნობოდა, შეგუებულნი იყვნენ, რომ მეოთხედფინალში მათი ადგილი არ იყო.

პირველ ტაიმზე საერთოდ არაფრის თქმა არ ღირს. ერთადერთი ისაა ალსანიშნი, ბურდულმა რომ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და მიქაძის საკმაოდ კარგად დარტყმული თავური ვოლკოვმა მოიგერია.

შესვენებაზე მწვრთნელებმა ერთბაშად ოთხი შეცვლა გააკეთეს, რევაზ არველაძემ მეკარე ბათიაშვილსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება, სპარტაკ არჩვაძემ კი ბარნოვ-წივწივაძით გააძლიერა შემადგენლობა. მატჩიც შედარებით გამწვავდა და სამ წუთში მასპინძლებიც დაწინაურდნენ: ჯაფარიძის ჩინებული პასი მოსეშვილმა გამოიყენა — ბათიაშვილთან პირისპირ დარჩენილს გატანა აღარ გასჭირვებია. მერე „დინამო" გააქტიურდა, რამდენჯერმე სახიფათოდაც დაემუქრა „სიონს", მაგრამ ვოლკოვმა იყოჩაღა და სტუმრები უგოლოდ დატოვა.

თამაშიც ნელ-ნელა მთავრდებოდა. „სიონი" მინიმალური სხვაობით მოგებითაც კმაყოფილი იყო და „დინამოც" არ განიცდიდა ამ ანგარიშით წაგებას.

საბოლოო წერტილი კი თამაშს იმავ ბახვა მოსეშვილმა, ბოლნისელთა კაპიტანმა ულამაზესი გოლით დაუსვა. მსაჯის მიერ წამატებულ დროს სამხარაძემ მარცხნიდან საჯარიმოში ჩააწოდა, მოსეშვილი გაფრინდა და ბათიაშვილისგან შორეულ კუთხეში თავით გაიტანა.

ახლა ეს ვიკითხოთ — შედგა რევანში? მთლად არა, მაგრამ ბოლნისელთათვის „დინამოს" დამარცხება, თუმც ორი მატჩის ჯამში წაგება, თავისთავად ხომ ძალიან გასახარია...

ბოლნისელთა დუბლის გამტანი ბახვა მოსეშვილი (მარცხნივ)

ძველვარსკვლავთა ღამე

თბილისი
21 ნოემბერი
14 საათი
ირონნული
300 (ტევადობა 70 900)

ლოკომოტივი 5:0 გურია

პირველი მატჩი 1:0

1:0 ხუროძე (9), 2:0 რუსია (14), 3:0 გილაური (42), 4:0, 5:0 ხუროძე (45, 52)
ლოკომოტივი: ალანაძე, გილაური, ხიზანიშვილი (ლ. ქელიძე 46), აბრამიძე, თოდუა, ბალაშვილი (აფციაური 46), კვარაცხელია (დ. არჩვაძე 46), ქიქველიშვილი, რუსია, გოგიჩაიშვილი, ხუროძე
სათადარიგონი: ლომაია; გოშაროვი, პარამონოვი, გ. შენგელია
გურია: მერკვილიშვილი (ნ. შეყრილაძე 65), ფიცურია, პატარაია, ჯულელი, ლორია, სულაკაძე, ჯღარკავა (დ. მინაშვილი 46), ჩხეტია, ენდელაძე (კიწურაშვილი 46), ვოსკანოვი, კირკიტაძე
სათადარიგონი: კუკულაძე, ძნელაძე, გ. სამხარაძე
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ჯანელიძე

ვახტანგ ბზიკაძე

ცემენ, რად ცემენო. არ ცემენ და ისევ რადო...

— ცოდონი არიან მსაჯები, ყველა ამათ უწყრება, ფეხბურთელებიც, მწვრთნელიც, პრეზიდენტიც, მაყურებელიც და პოლიციელიც. რაც ამათ ცემა-ტყეპა აქვთ, ვინ დათვლის, მაგრამ ასე უინტერესო თამაშის ხილვას, მგონი, ისევ ის ცემა-ტყეპიანი სჯობია — ცხადია, ხუმრობაგარევით დაიჩივლა ფედერაციის საამმატჩო ინსპექტორმა ჯონი ჯანელიძემ.

— ჩვენი უბედურება ის კი არაა, ერთი გუნდი მეორეს დიდი უპირეტესობით რომ უგებს, უბედურება ისაა, რომ ორივე გუნდი საკუთარ ლიგაში ლიდერია — „ლოკომოტივი" პირველში, „გურია" კი მეორეში — გუშინდელ მასხარაობას სერიოზული დასკვნაც დაურთო ჯანელიძემ.

და საქმე განა მხოლოდ ანგარიშშია. ანგარიშის მარცხენა ნაწილი ორნიშნაც იოლად იქნებოდა, ლოკომოტიველებს რომ არ ენამუსათ.

ირლანდიელმა ჯონ სტეპლტონმა ერთხელ საკუთარ კარში თავით ბურთი რომ ჩაჭრა, ახსნა ასეთი მოძებნა: ისეთი კარგი ჩაწოდება იყო, არგატანა საცოდაობა იქნებოდაო.

რკინიგზელ ცეზარ ხუროძეს საკუთარ კარში არ გაუტანია, პირიქით, სამჯერ დალაშქრა მეტოქისა, მაგრამ ბოლო გოლის გატანა ჩამწოდებელმა თანაგუნდელმა მამუკა რუსიამ მაინც უსაყვედურა და ცეზარის პასუხიც სტეპლტონისას ჰგავდა — აბა, რა მექნა, ამის არგატანა შეიძლებოდაო?

ხუროძემ ბოლოსწინაც რუსიას ჩაწოდებით გაიტანა, პირველი კი აქვსენტი გილაურის პასით. გილაურივე ასისტენტობდა რუსიას მეორე გოლისას, მესამე კი სოლორეიდით შეაგდო და ხუროძესთან ერთად შეიქნა მატჩის უდავო თანაგმირი.

მაგრამ ამ გოლებს აკლდა თავისი წილი პეწი და ხალისი. „ლოკომოტივი-გურია 2", რომელიც ოფიციალურად თასის მფლობელის ფარმ-კლუბია, სახარჯოდ კი ლანჩხუთში გადახვეწილი ზესტაფონელის, ვასილ ხაჩაპურიძისაა, ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

ინერტულობის მიზეზი გურულთა თავკაცმა ზაზა გაურიელიძემ ასე ახსნა: ჩვენ თასისთვის ბრძოლას თავიდანვე არ ვაპირებდით, მთელი ყურადღება უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე გვაქვს გამახვილებულიო.

მოგეხსენებათ, ვეტერანი ვარსკვლავების, ივანე ჯულელის, დავით ჩხეტიას, მამუკა ჯღარკავას, ზვიად ენდელაძის და მალხაზ ვოსკანოვის „გურია" „ცხინვალთან" ერთად ლიდერობს პირველ ლიგას და ოდენ მოგებათა რაოდენობებით დაწინაურებულ მეტოქეს პარასკევს ლანჩხუთში ელოდება.

სხვათა შორის, საიდუმლოდ არც ის დარჩენილა, რომ გურულებს ბოლოხანს პრეზიდენტი და კუთვნილი გასამრჯელო ენატრებათ. როგორ მოახერხებს ასეთ სიტუაციაში „გურია" ძველი დიდების დაბრუნებას, ძნელი სავარაუდოა.

ერთი სიტყვით, „გურია" დაღიოდა, „ლოკომოტივი" კი აჩქარებული ნაბიჯებით ქმნიდა მომენტებს და პირველ ტაიმში უმოწყალოდ გაჰქონდა. შესვენებაზე იყო დირექტივა — არ გაიტანოთ! ხუროძემ მაინც გაიტანა და ეს იყო ყველაზე ლამაზი გოლი. იქნებ იმიტომაც, სწრაფ, ლამაზ კომბინაციას ურჩობის დემონსტრაციაც რომ ერთვოდა.

და ერთიც: რევაზ ძოძუაშვილი სათადარიგოთა სკამის ნაცვლად ტრიბუნაზე იჯდა და გუნდს, რომელსაც სურდოშეყრილი ლევან სილაგაძე აკლდა, ისე ხელმძღვანელობდა.

გურამ ცუცქირიძის ფოტო

გურული თენგიზ პატარაია (№3) და ლოკომოტიველი დავით არჩვაძე

ბადრი ბუთელაძის ფოტო

ფოცხვერიამ მერანისთვის ოპერაცია გადადო

მიუხედავად ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისა, ექვსეულში მოხვედრის შანსი ჯერაც არ დაუკარგავს თბილისის „მერანს“ და მეთორმეტე ეროვნულში ავჭალელთა მთავარი ამოცანა კვლავაც უძლიერესთა მარაქაში მოხვედრაა. საამისოდ მერანელებმა მიხეილ ფოცხვერიაც ჩამოიყვანეს უკრაინიდან, მაგრამ ამ ნიჭიერმა ფორვარდმა მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება მოასწრო საქართველოს ჩემპიონატში — 4 ნოემბერს, „კოლხეთი“ — „მერანი“ შეხვედრაში შესაცვლელი შეიქნა, მას ნაოპერაციევი მუხლი დაუშავდა.

ტრავმა ისეთი აღმოჩნდა, რომ მიხეილ ფოცხვერიამ სამი დღის წინ განაახლა ვარჯიში, მაგრამ მუხლის ხელახლა ოპერაცია მაინც გარდაუვალია. ფეხბურთელმა კი გუნდის მძიმე სიტუაციაში მიტოვება არ ინება — წლეულს მეთორმეტე ეროვნულის კიდევ სამი ტურია ჩასატარებელი და ფოცხვერიას სურვილია, ამათგან ბოლო, მე-17 ტურში მაინც დაეხმაროს „მერანს“, როცა ავჭალელები თსუ-ს უმასპინძლებენ 3 დეკემბერს. მხოლოდ ამის შემდეგ აღმოჩნდება მიხეილ ფოცხვერია ქირურგის ხელში.

როგორც შევიტყვეთ, ტრავმის მიზეზი ისიცაა, რომ პირველი ოპერაცია მთლად წარმატებულად არ ჩატარებულა.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი 12 ფრე

10 ტური

აღმოსავლეთი

ზოვეტი 0:1 ცხუმი
ძაბუკიანი 2:0 ხალიბი
სამგორი 1:3 თბილისი 2
ასკ 4:2 კავკასიონი
აკადემია 2:0 ლოკომოტივი 3

ლოკომოტივი 3	9	7	1	1	21:7	22
ჭაბუკიანი	9	7	0	2	28:8	21
აკადემია	9	6	2	1	18:6	20
ალბანი	9	4	2	3	20:14	14
ცხუმი	9	4	2	3	6:4	14
ხალიბი	7	3	2	2	8:10	11
ზოოვეტი	9	2	2	5	10:13	8
სამგორი	9	2	2	5	10:19	8
თბილისი 2	8	2	2	4	7:16	8
ასკ	9	2	0	7	13:25	6
კავკასიონი	9	1	1	7	10:29	4

ცენტრალური

ვარძია 4:0 საბურთალო
მესხეთი 1:0 ოლიმპიკი
დილა 2 0:2 დინამო 2
ს.ა.იბერია 0:0 ამირანი
ვალენსია 83 0:5 ვიტ ჯორჯია 2

დინამო 2	10	7	1	2	29:9	22
ამირანი	8	6	1	1	16:9	19
ვიტ ჯორჯია 2	9	5	2	2	27:8	17
ს.ა.იბერია	9	4	4	1	16:9	16
ვალენსია 83	9	4	2	3	14:13	14
მრეტები	9	4	1	4	8:9	13
მესხეთი	9	4	1	4	7:15	13
ოლიმპიკი	9	3	0	6	10:9	9
ვარძია	8	2	2	4	5:8	8
დილა 2	9	0	4	5	6:21	4
საბურთალო	9	0	2	7	4:32	2

დასავლეთი

მერცხალი 0:1 დინამო 2 სოხუმი
სქური 1:1 მზიური
სამეგრელო 1:1 სულორი
ლაზიკა 1:3 ინტერი
კოლხეთი 2 1:0 სალხინო
გურია 2 3:1 ბათუმი 2

მზიური	10	8	1	1	29:12	25
სქური	10	7	2	1	23:7	23
ლაზიკა	10	7	1	2	34:18	22
ინტერი	10	5	2	3	24:11	17
კოლხეთი 2	10	5	1	4	18:11	16
დინამო 2 სოხუმი	10	3	3	4	15:16	12
ბათუმი 2	10	3	2	5	15:18	11
გურია 2	10	3	2	5	18:30	11
მერცხალი	10	2	3	5	11:15	9
სამეგრელო	10	2	3	5	8:18	9
სულორი	10	2	1	7	10:38	7
სალხინო	10	1	3	6	13:24	6

ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, ბგრეოგე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-28-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი 12 ლიგა — მეორე ფრე

15 ტური

ავთანდილ წითელი

ექვს მატჩში 11 გოლი, ამდენივე გაფრთხილება და ოთხი გაძევება — ასეთია პირველი ლიგის ჩემპიონატის XV ტურის მონაგარი. წინა ტურის მსგავსად, გუნდები მშვიდობიანად არც ამჯერად გაყრილან — ოთხ მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს, ორ შემთხვევაში კი სტუმრები დარჩნენ გახარებულნი. ექვსეულისთვის ბრძოლა ეშხში კი შევიდა, მაგრამ ამ დაძაბულ ბატალიებს ერთი გუნდი გამოაკლდა, „გურიასთან“ შინაურ სარბიელზე წაგებით „ხობმა“ პრაქტიკულად დაკარგა უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლის შანსი.

„ხობი“ — „გურიას“ მატჩის დაძაბულობაზე ერთადერთ გოლთან ერთად ისიც მეტყველებს, რომ ამ შეხვედრის არბიტრმა ავთანდილ ორდინიძემ ექვსჯერ გაიკრა ჯიბეზე ხელი და სამი ფეხბურთელი გასახდელის გზას გაუყენა. პირველად ეს 30-ე წუთზე მოხდა, როცა არბიტრმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის სერგო ორბელაძე გააძევა და „ხობს“ კაცნაკლულ მეტოქეზე გამარჯვების ჩინებული შანსი გაუჩნდა. ოდინიძემ წითელი ბარათი საქმეში 87-ე წუთზეც ჩართო, როცა ერთმანეთის გინებით გართული მასპინძელი — ზაზა აიანადი და ალანჩხუთელი ონისე შველიძე დააშოშმინა. მატჩიც ცხრამეტმა ფეხბურთელმა დაასრულა.

„გურია“ 30-ე წუთიდან კაცნაკლულობის მიუხედავად, თავგამოდებით იბრძოდა და ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე პატარაიამ ანგარიშის გახსნაც შეძლო. „ხობმა“ მეორე ნახევარში გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა კი მოიპოვა, მაგრამ არც იმდენად დალაგებული, სტუმრებისთვის განსაკუთრებული საშიშროება შეექმნა. ამ მოგებით „გურიაც“ „ცხინვალს“ არ ჩამორჩა და კვლავაც სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა.

„ცხინვალმა“ კი კვლავაც გაიმარჯვა საშინაო მატჩში და მორიგი სამი ქულა მიითვალა, თუმც გვარიანი ოფლის ღვრა მოუხდა აუტსაიდერ „ივერიასთან“. ანგარიში მე-40 წუთზე სტუმრებმა გახსნეს — ვლასოვმა აუღებელი დარტყა დავით მაისურაძეს, გოლმა მასპინძლები არ გატეხა და ტაიმის ბოლოს „ცხინვალის“ ერთ-ერთმა მეგოლემ ბეჟან ბოჭორაძემ ანგარიში გაათანაბრა. ბოლო წუთზე გატანილმა ახალი ძალა შემატა მასპინძლებს მეორე ნახევარში და რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტის გაცუდების შემდეგ „ცხინვალი“ ნასუაშვილმა დააწინაურა. დარჩენილ დროში ისევ მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ პაატა ხვდელიძეს მეტი გოლი აღარ გაუშვია და მატჩიც 2:1 დასრულდა.

ზესტაფონში გვარიანად შერცხვენილი „ზუგდიდი“ („მეტალურგმა“ 7:2 გაიმარჯვა) ფავორიტად ითვლებოდა ბოლოადგილოსან „თბილისთან“ საშინაო მატჩში და ბადრი თუთბერიძის შეგირდებმაც უპრობლემოდ სძლიეს მეტოქეს. „ზუგდიდი“ მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა, ქულით ჩამორჩება მეხუთე ადგილოსან „მეტალურგს“ და, ბუნებრივია, ექვსეულში მოხვედრის რეალურ შანსსაც ინარჩუნებს.

გვარიანად გაუბატონდა სამტრედიელი „ოკეანე“ სოფელ მარნის საწვრთნელ ბაზაზე „მეტალურგს“, ის კი არა, მასპინძლებს ჩემპიონატში მესამე გამარჯვებასთან თხუთმეტიოდე წუთი აშორებდათ, 75-ე წუთამდე ზესტაფონელები ამაოდ ცდილობდნენ იმ გოლის გაქვითვას, რომელიც კრავეიშვილმა მე-18 წუთზე გაიტანა. სტუმრები გვაზავამ და ფირცხალაიშვილმა იხსნეს და მეთექვსმეტე ტურში მათი გუნდი გულმშვიდად დაუხვდება ზესტაფონში „ხობს“.

ერთნაირი ანგარიშით იმარჯვა ლიდერთა ექვსეულის კიდევ ორმა წარმომადგენელმა. „მილანმა“ ძველი ანაგაში „თორს“ მოუგო, ქობულეთში კი დაძაბულ მატჩში „შუქურამ“ „სამგურალი“ გატეხა.

ძველ ანაგაში „მილანის“ საგრძნობი უპირატესობა მეტოქეზე მხოლოდ ტოკლიკიშვილის 43-ე წუთზე გატანილით აისახა, არადა, 54-ე წუთზე კოტე მელქაძეს თერთმეტმეტრიანი დარტყმა რომ არ გაეცუდებინა, მასპინძლებს მატჩის აუღელვებლად ჩამთავრებაც შეეძლო.

„სამგურალმა“ კი დასანანი გოლი გაუშვა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე და მეორე ტაიმში ვერაფერი შეცვალა. ქუთათელაძის და დარსაძის მცდელობას წყალტუბოელთათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

მეთექვსმეტე ტური პარასკევს, 24 ნოემბერს გაიმართება, გამორჩეულ ინტერესს ლანჩხუთური მატჩი იწვევს. „გურია“ პირველადგილოსან „ცხინვალს“ მასპინძლობს.

პაატა კვანტალიანი



ხობი
13 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 12 000)



ვარანი
13 ნოემბერი
15 საათი
საქართველოს ბაზა
100 (ტევადობა 1 000)



ძველი ანაგა
13 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 3 000)

ხობი 0:1 გურია

0:1 პატარაია (40)
ხობი: შ. გოგია, ჯამბურია (აბაკელია 52), ფიფია (ხორავა 46), ლ. ჯაბუა, ა. ჯიქია, ხურცილავა, ვართაგავა, ეროშიაძე, ქუთა, ქოქინაძე, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: თოლორდავა, ბერაია, ხაფალია
გური: მერკვილიშვილი, ვასკანოვი, ორბელაძე, ძნელაძე, ჯღარკავა (შველიძე 67), სულაკაძე, კირკიტაძე, ჩიტია (კუკულაძე 80), ენდელაძე, ფაცურია, პატარაია (მინაშვილი 73)
სათადარიგონი: შეყრილაძე, სამხარაძე
გაფრთხილება: ქოქინაძე (27), ქუთა (42), ხორავა (85)
გაძევება: ორბელაძე (30), შველიძე (87), აიანადი (87)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუაშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ქიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი)

ვარანი 1:2 მეტალურგი

1:0 კრავეიშვილი (18), 1:1 გვაზავა (75), 1:2 ფირცხალაიშვილი (87)
ოკეანე: თავაძე, ტონია, მესიაჩენკო, თოდუა, მაღლაკელიძე, ლორთქიფანიძე, ცომაია, კრავეიშვილი, ს. გოგია, ფხაკაძე, ჯიქია (გაბედავა 50, მალალურაძე 85)
სათადარიგონი: ქკუასელი, ჯულაყიძე, ჩიგ ოგიძე, ზ. ფირცხალაიშვილი
მეტალურგი: ოდიკაძე, გოგაძე, მერებაშვილი, გურეშიძე, ბაქრაძე, აბაზაძე, კაციაშვილი, აფარიძე, ამაშუკელი (ორმოცაძე 90), გ. გვაზავა, დ. ფირცხალაიშვილი (ბერძენიშვილი 88)
სათადარიგონი: ნიქაბერიძე, ფანცხავა, მოდებაძე
გაფრთხილება: თოდუა (51), გვაზავა (76), ფირცხალაიშვილი (88)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ო. ხეკაძე, ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

მილანი 1:0 თორი

1:0 ტოკლიკიშვილი (43)
მელქაძემ ვერ გიტანა პენალტი (54)
მილანი: გ. სომხიშვილი, ტარუაშვილი, მელქაძე, კობაიძე, თელიაშვილი, მ. სომხიშვილი (ბერდიევი 54), ყვინთა (გ. ჩიტაური 83), ლუდუშაური, მეტონიძე, ინასარიძე, ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: ლონდაძე, გოძიაშვილი, დ. კაპანაძე, შავგულიშვილი, კიკვიძე
თორი: ლაბაძე, ლეკიშვილი, კობესაშვილი, ელესაშვილი, სეფერთელაძე, გ. ლომაძე, გ. ლუმბერიძე (ზარანდია 46), ვარდიაშვილი, ჯანაშია, ჯ. ფირცხალავა, თალაკვაძე
სათადარიგონი: სულავა; ნაქარეიშვილი
გაფრთხილება: ელისაშვილი (76)
მსაჯები: მ. მისურიძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შალვა ბერიძე (ქუთაისი)



ფოთი
13 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 000)



გორი
13 ნოემბერი
15 საათი
ქართლი
150 (ტევადობა 2 000)



ზუგდიდი
13 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 200 (ტევადობა 7 500)

შუქურა 1:0 სამგურალი

1:0 კაკალაძე (45)
შუქურა: გოგუა, გეგეშიძე, ოქროპირიძე, კარატკოვი, ქუტაძე, ჩელებაძე, ბაფუნაშვილი, ჯ. ბერიძე, ვალიანავი (ჩახუნაშვილი 88), კალანდაძე, კაკალაძე (კორშელაძე 74)
სათადარიგონი: ბერმინოვი; ლომთათიძე, ბოლქვაძე, კვირკველია, მესხიძე
სამგურალი: ბოდოკია, ქელეიძე, ბერაძე, მ. ჯინჭარაძე, ფხაკაძე (გოლეთიანი 72), ქობულაძე, დარსაძე, კიკვიძე, ბაბუნაშვილი, ლონდაძე, ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე; დ. ჯიქია, თირქია, ლეონჯილია, მაჭარაძე, ბარაბადე
გაფრთხილება: ქობულაძე (26), ჩელებაძე (60), ქუტაძე (87), ჩახუნაშვილი (90)
მსაჯები: ზ. ანაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)

ცხინვალი 2:1 ივერია

0:1 ვლასოვი (40), 1:1 ბოჭორაძე (45), 2:1 ნასუაშვილი (61)
ცხინვალი: დ. მაისურაძე, არუთინიანი (მოსიაშვილი 66), რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, ბოჭორაძე (ჩაჩიბაია 77), მურადელი, მარგიევი, მარლიშვილი, ნასუაშვილი, გეგერკორეშვილი
სათადარიგონი: ქქესანაშვილი; კობაური, წიქარიძე, ზ. მაისურაძე
ივერია: ხვედელიძე (ბალიანი 46), ვაჩლავაშვილი (ჯუმბაძე 69), მელაძე, ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი, გოგოლაძე (ჩალაძე 46), ჯობაძე, ვლასოვი, მინაძე, ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე
სათადარიგონი: ბლიაძე, დ. ხაჩიძე
გაფრთხილება: მელაძე (68)
მსაჯები: ზ. ჯვარიძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ს. აფციაური (დუშეთი); ა. მეშკოვი (თბილისი)

ზუგდიდი 2:0 თბილისი

მატჩის ოქმი იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში“

გომბარდირები

13 - გვირჯიშვილი	ცხინვალი
გ. გვაზავა	მეტალურგი
11 - ქუთათელაძე	სამგურალი
ბოჭორაძე	ცხინვალი
9 - ტოკლიკიშვილი	მილანი

პირველი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ცხინვალი	15	10	1	4	40:17	23	31	8	8	0	0	31:5	26	24	7	2	1	4	9:12	-3	7
2 გურია	15	9	4	2	22:18	4	31	7	6	1	0	15:6	9	19	8	3	3	2	7:12	-5	12
3 მილანი	15	9	3	3	22:10	12	30	8	8	0	0	18:2	16	24	7	1	3	3	4:8	-4	6
4 შუქურა	15	8	3	4	20:12	8	27	8	6	2	0	14:1	13	20	7	2	1	4	6:11	-5	7
5 მეტალურგი	15	7	5	3	23:15	8	26	7	6	1	0	17:4	13	19	8	1	4	3	6:11	-5	7
6 სამგურალი	15	7	3	5	23:12	11	24	7	6	1	0	19:4	15	19	8	1	2	5	4:8	-4	5
7 ზუგდიდი	15	7	3	5	23:21	2	24	8	6	2	0	18:7	11	20	7	1	1	5	5:14	-9	4
8 თორი	15	6	2	7	14:14	0	20	7	4	1	2	10:6	4	13	8	2	1	5	4:8	-4	7
9 ხობი	15	3	5	7	9:17	-8	14	8	2	5	1	3:2	1	11	7	1	0	6	6:15	-9	3
10 ოკეანე	15	2	3	10	13:31	-18	9	8	2	2	4	6:11	-5	8	7	0	1	6	7:20	-13	1
11 ივერია	15	2	3	10	8:27	-19	9	7	2	3	2	5:6	-1	9	8	0	0	8	3:21	-18	0
12 თბილისი	15	2	1	12	5:28	-23	7	7	2	0	5	4:8	-4	6	8	0	1	7	1:20	-19	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ფიგურა

ქორწილი, ოთხი სასიამოვნო, ერთი უსიამოვნო და ერთიც უცნაური ამბავი

— როგორც იქნა, პრემიერლიგაში პირველად მოიგო „დერბიმ“. მართალია, თავისზე უსუსურ „ბრედფორდთან“, მაგრამ მაინც. ქინქლაძემ მთელი მატჩი ითამაშა და თავისიანებს შორის საუკეთესო იყო. „დერბი ივნინგ ტელეგრაფის“ ჟურნალისტებმა მას „მნიშვნელოვანი ფიგურა“ უწოდეს.

— „ფრაიბურგმა“ პატარა სენსაცია მოახდინა, სტუმრად ანდრეას ბრემეს „კაიზერსლაუტერნი“ დაამარცხა და მეთოთხმეტედან მეთერთმეტე ადგილზე აცოცდა. ცქიტიშვილსა და იაშვილს ტრავმების გამო არ უთამაშიათ, კობიაშვილმა კი თავისიანების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

— „კიოლნს“ დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული არჩილ არველაძე. ჯერჯერობით მინდორზე მხოლოდ ბოლო 15 წუთი დაჰყო. მისმა გუნდმა კი „ჰანზა“ გაანადგურა.

— ფორმას იბრუნებს შოთა არველაძე. თავისი ტყუპისცალის ყოფილ კლუბ „ბრედასთან“ სულ 13 წუთი ითამაშა და გატანაც მოასწრო.

— ვულვერჰემპტონელი თემურ ქეცბაია კი დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. ექიმებმა თემურს მუხლი საგულდაგულოდ შეუმოწმეს და როგორც ჩანს, ქირურგების ჩარევა გახდება საჭირო.

შაბათს მრავალტანჯულმა „დერბიმ“ გაიხარა. „ცხვრებმა“ „ბრედფორდს“ მალკოლმ კრისტისა და რორი დელაპის გოლებით მოუგეს. ორივეში დიდი წვლილი ქინქლაძეს მიუძღვოდა. გაზეთმა „გარდიანმა“ გიო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა და დათვალა, რომ ქართველის 51 პასიდან 44 ზუსტი ყოფილა. ბოლო ნახევარ საათში კი 20-დან 19 ზუსტი გადაცემა შეუსრულებია.

„უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო. აქამდე არ მოგვეგო და ეს ფსიქოლოგიურად გვთრგუნავდა — ამბობს ქინქლაძე — ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ, გუნდმაც ჩინებულად ითამაშა. პირველმა გოლმა ხომ მთლად ფრთები შეგვასხა“.

„დერბის“ მართლაც კარგ თამაშს, ერთი წვრილმანიც მოწმობს: მცველი კრის რიგოტი „გარდიანისვე“ მტკიცებით, მოწინააღმდეგე ფეხბურთელებს 20-ჯერ შებმია და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა.

იმავე დილას გიოს შინ „სიტი“ — „მანჩესტერის“ თამაშის პირველი ტაიმი უნახავს და თავის ყოფილ გუნდს, თურმე მხურვალედ ქომაგობდა, მაგრამ... „ძალიან მინდოდა „სიტის“ მოეგო. ცუდადაც არ უთამაშიათ, მაგრამ ბექემის ადრეულ გოლს ვერაფერი მოუხერხეს“ — თქვა ქინქლაძემ.

ახლა სხვა ამბებზეც ვთქვათ. შვეიცარიაში კვლავ გაიტანა ქართველმა. ამჯერად ზუსტი დარტყმა მიხეილ ყაველაშვილს გამოუვიდა, თუმცა მისმა და ჯამარაულის „ციურიხმა“ შინ „სიონთან“ წააგო. ხომერიკის „არაუ“ კი „ქსამაქსს“ 2:0 მოუგო, მაგრამ ლევანს თავი არაფრით გამოუჩენია.

უკრაინაში პირველი წრე დამთავრდა. გასულ კვირაში მხოლოდ რამდენიმე გამოტოვებული მატჩი გაიმართა. სიმფეროპოლის „ტავრიამ“ ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადანაცვლებულ დონეცკის „შახტარს“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. უფრო მეტიც, რამდენჯერმე ერთობ სახოფადოთაც შეუტია. მთავარი „ამრევი“ კი ვასილ გიგიაძე გახლდათ. ქართველს დასაწყისშივე შეეძლო გატანა, როცა დონეცკელებმა არასწორად შეასრულეს ხელოვნური თამაშგარე, მაგრამ ასეთ საჩუქარს, ეტყობა, არც თავდამსხმელი ელოდა და მცველმა ოკორონკვომ დასწრო. მერე „ტავრიას“ უფრო სახიფათო ჩხვლეტა გამოუვიდა. მრავალსულიან კომბინაციას გიგიაძის საჯარიმოში შეჭრა მოჰყვა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარე ვირტის „ცხრიანს“ ულულ ოდნავ ასცდა. საბოლოოდ, თამაში უგოლოდ დამთავრდა.

კიევის „დინამომ“, რომლის მწვრთნელები ბოლო დროს შემადგენლობის უკეთესი ვარიანტის პოვნას ცდილობენ, „კრივბასს“ შაკიხისა და იაშკინის გოლებით სტუმრად 2:0 მოუგო და პირველი წრე ამით დაამთავრა. დემეტრაძე სათადარიგოთა შორის იჯდა, ხოლო კალაძემ მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა. მიზეზი? ბრძოლა იმდენად უხეში ყოფილა, კახას პალიანიცასთან შეჯახებისას ტრავმა მიუღია და მინდორიც ამიტომ დაუტოვებია. საბედნიეროდ, სერიოზულად არ დაშავებულა. კიეველებმა 30 ქულა მოაგროვეს და ამდენივე ქულიან „შახტართან“ პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

ეს მატჩი ხუთშაბათს გაიმართა, კვირას კი მთელი გუნდი ქეიფობდა. ღამის კლუბ „საიგონში“ 22 წლის უზბეკი თავდამსხმელის მაქსიმ შაკიხისა და მისი მომხიბლავი თანამემამულე ალესიას ქორწილი იყო. ფეხბურთელებს შვებულება დაწყებოდათ და აბა, რატომ არ მოილხენდნენ? „დინამო“ 18 დეკემბერს შეიკრიბება და საკუთარ ბაზაზე, კინჩა-ზასპაში დაიწყებს მზადებას. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ეროვნული გუნდის უკეთ მომზადებისთვის მეორე წრე, შესაძლოა ათი დღით ადრე დაიწყოს, ანუ 18-ის ნაცვლად სეზონი 8 მარტს განახლდეს.

კიდევ ერთი სიახლე. უფფ-მ იმსჯელა და დაადგინა, რომ მომავალი სეზონიდან უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა ორით გაიზრდება. როგორი ფორმულით გადავლენ ერთიდან მეორე სისტემაზე, დეკემბერში გაირკვევა.

აზერბაიჯანში კი ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ამ უქმეებზე ჩემპიონატის ტური არ ჩატარებულა, ქვეყნის თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები გაიმართა. ჩვენებურთაგან ამ ეტაპზე მხოლოდ ძებისაშვილისა და თვალაბეიშვილის „ხაზარი“ მონაწილეობს, რომელმაც სტუმრად „შილიავერს“ 5:2 მოუგო. თურმე ამას წინათ, „ხაზარში“ ბრაზილიელი მიუყვანიათ გასასინჯად. ამბობენ, 24 წლის ადრიანო ოლივეირა „კრუზეირუს“ სათადარიგო გუნდში თამაშობდაო. მწვრთნელ სამირ ალეკპეროვს ოლივეირა ძალიან მოსწონებია და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი უფრენია, მოთამაშის სერტიფიკატი გამოგვიგზავნეთ და კონტრაქტიც გავაფორმოთო. მაგრამ აზერბაიჯანის საფეხბურთო დიდმოხელის, ოქტაი ზეინალოვის თქმით, ბრაზილიელები სერტიფიკატს არ აგზავნიან, რადგან ასეთი სახელ-გვარის მოთამაშეს საერთიდ არ იცნობენ... გამოდის, ოლივეირა არა თუ პროფესიონალი, მოყვარულიც არ ყოფილა და შესაძლოა, სულაც პლაჟის ფეხბურთიდან წამოიყვანესო. „ხაზარის“ ვიცე-პრეზიდენტი ისახან ისახანლი კი ამბობს, ბრაზილიიდან სერტიფიკატს ველიო...

ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები მიიჩნევენ, რომ „ხაზარი“ ბრაზილიელს მაინც დატოვებს. თუ ასე მოხდა, მაშინ ჩვენებურებს სამხრეთამერიკელი თანაგუნდელი ეყოლებათ. და კიდევ, ოლივეირა აზერბაიჯანის პირველი უცხოელი იქნება (თუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებს არ ჩავთვლით). ორი წლის წინათ „ქაიფაზსა“ და „ნეფთჩიში“ ვინმე ნიგერიელი ჯეიმსი ისინჯებოდა, მაგრამ მალევე სამშობლოში გაუბრუნებიათ.

არ ვიცი, მაგრამ ამ ადრიანო ოლივეირას ამბავი თბილისის „დინამოში“ დე სოუზას ჩამოყვანის ისტორიას მახსენებს. გახსოვთ ორი მატჩი „ზიმბრუსთან“?

და კიდევ, წინა ტურში კილასონიებისა და წიკლაურის „თურანთან“ სათამაშოდ „ყარაბაღი“ არ გამოცხადდა. ასა-ს სადისციპლინო კომიტეტის დადგენილებით, „ყარაბაღი“ 6 მილიონი მანათით (დაახლოებით 1 300 დოლარი) დაჯარიმდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ კლუბი ისედაც გაკოტრების პირასაა, შესაძლოა, ჩემპიონატს საერთოდ გამოეთიშოს. ძალიან გეწყინათ?

სოლომონ გულისაშვილი

სახელი	გვარი	გუნდი		სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
გერმანია										
ბუნდესლიგა										
ალექსანდრე	იაშვილი	ფრაიბურგი		ს	ლაუტერნი 2:0	0	ტრავმირებულია	11	2	11
ლევან	კობიაშვილი	ფრაიბურგი		ს	ლაუტერნი 2:0	90		13	1	11
ლევან	ცქიტიშვილი	ფრაიბურგი		ს	ლაუტერნი 2:0	0	ტრავმირებულია	11	0	11
არჩილ	არველაძე	კიოლნი		შ	ჰანზა 5:2	15	შეცვლაზე ითამაშა	9	1	10
მეორე ბუნდესლიგა										
მიხეილ	საჯაია	როიტლინგენი		ს	ქემნიცი 3:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	1	0	4
ინგლისი										
პრემიერლიგა										
გიორგი	ქინქლაძე	დერბი		შ	ბრედფორდი 2:0	90	გააფრთხილეს, საგოლე პასი	10	1	19
რატი	ალექსიძე	ჩელსი		ს	ჩარლტონი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	14
პირველი დივიზიონი										
თემურ	ქეცბაია	ვულვზი		ს	ბლეტბერნი 0:1	0	ტრავმირებულია	11	3	21
შოტლანდია										
პრემიერლიგა										
გიორგი	ნემსაძე	დანდი		შ	სენტ მირენი 5:0	90		15	1	5
ჰოლანდია										
უმაღლესი ლიგა										
შოთა	არველაძე	აიაქსი		ს	ბრედა 3:0	13	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	7	3	4
გოგა	გახოკიძე	პსვ ეინდჰოვენი		ს	ჰერენვენი 4:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	3
ბელგია										
უმაღლესი ლიგა										
გელა	შეყილაძე	ლიერსი		შ	სტანდარდი 1:1	90		9	1	7
ლაშა	ჯაკობია	აალსტი		ს	ვესტერლო 1:1	0	ტრავმირებულია	0	0	15
შვეიცარია										
უმაღლესი დივიზიონი										
გოჩა	ჯამარაული	ციურიხი		შ	სიონი 1:3	90		18	7	8
მიხეილ	ყაველაშვილი	ციურიხი		შ	სიონი 1:3	90	გოლი	16	7	8
ლევან	ხომერიკი	არაუ		შ	ქსამაქსი 2:0	27	შეცვლაზე ითამაშა	17	6	9
რუსეთი										
თასის მერვედფინალი										
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი		შ	ლადა 4:1	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	
უკრაინა										
უმაღლესი ლიგა										
კახა	კალაძე	დინამო		ს	კრივბასი 2:0	45	შეცვალეს	8	0	2
გიორგი	დემეტრაძე	დინამო		ს	კრივბასი 2:0	0	სათადარიგო	12	8	2
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია		შ	შახტარი 0:0	45	შეცვლაზე ითამაშა	10	1	11
ვასილ	გიგიაძე	ტავრია		შ	შახტარი 0:0	89	შეცვალეს	7	2	11
ისრაელი										
უმაღლესი ლიგა										
კობა	წიტაიშვილი	ი. რიშონი		შ	მაკ. ნეთანია 2:2	90		?	3	9
პოლონეთი										
უმაღლესი ლიგა										
მამია	ჯიქია	რუხი		ს	გროცლინი 2:0	88	შეცვალეს	7	0	14

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

„მნიშვნელოვანი ფიგურა“ გიორგი ქინქლაძე

შოთა არველაძემ გოლების გატანა გაიხსენა

ინგლისი

XIV ტური

ქოვენთრი 0:1 იფსვიჩი

0:1 უილსონი (90)

ქოვენთრი: კირკლენდი, უილიამსი, ბრინი, კონჯერი, ედვორთი, ტომპსონი, ტელფერი, ჩიპო, ბაჯი, ბელამი, რუსელი (ალოიზი 68)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, მაკგრილი (ბრეშბლი 70), ვენუსი, პრეიდარსონი, ჯ. რაიტი (როიზერი 68), ჰოლანდი, მეჯილტონი, კლაპამი, შოუკროფტი, სტიუარტი

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

გაფრთხილება: ჩიპო, უილნისი

19 322 მაყურებელი

მანჩესტერი	14	10	3	1	36:10	33
არსენალი	14	8	4	2	23:12	28
ლესტერი	14	7	5	2	14:8	26
ლივერპული	14	7	3	4	28:21	24
იფსვიჩი	14	7	3	4	20:14	24
ასტონ ვილა	13	6	4	3	16:11	22
ჩარლტონი	14	6	3	5	21:20	21
ნიუკასლი	14	6	2	6	15:14	20
ტოტენჰემი	14	6	2	6	19:21	20
სანდერლენდი	14	5	5	4	14:16	20
ლიდსი	13	5	4	4	20:19	19
ვესტ ჰემი	14	4	6	4	18:15	18
ევერტონი	14	5	3	6	17:20	18
ჩელსი	14	4	5	5	25:20	17
საუთჰემპტონი	14	4	5	5	19:24	17
სიტი	14	4	2	8	15:25	14
ქოვენთრი	14	3	2	9	13:29	11
მიდლსბრო	14	2	4	8	17:24	10
დერბი ქაუნთი	14	1	7	6	18:28	10
ბრედფორდი	14	1	4	9	5:22	7

ჩეხეთი

მე-15 ტური: ტეპლიცე — ბლშანი 3:1; ბრნო — ლიბერეცი 3:1; პრეიბრამი — ბანიკი 1:3; იაბლონეცი — პლზენი 2:0; ბუდეიოვიცე — სინოტი 1:1; ფოტკოვი — ბოჰემიანსი 2:1; სლავია — დრნოვიცე 0:0; სიგმა — სპარტა 0:1

სპარტა	13	12	0	1	37:10	36
ტეპლიცე	14	8	3	3	26:13	27
პრეიბრამი	15	7	3	5	23:17	24
ლიბერეცი	15	7	3	5	24:20	24
სინოტი	14	5	6	3	22:17	21
სიგმა	13	5	5	3	21:13	20
სლავია	12	5	4	3	16:13	19
ბოჰემიანსი	15	4	7	4	20:19	19
ჟიტკოვი	14	5	4	5	21:23	19
ბლშანი	14	4	4	6	16:18	16
დრნოვიცე	15	4	4	7	14:19	16
იაბლონეცი	15	3	7	5	14:21	16
ბანიკი	15	3	6	6	14:27	15
ბუდეიოვიცე	14	2	6	6	14:26	12
ბრნო	13	3	2	8	13:19	11
პლზენი	15	1	6	8	10:30	9

ავსტრია

მე-20 ტური: რაპიდი — ტიროლი 2:2; ადმირა — აუსტრია 1:0; ზალცბურგი — ბრეგენცი 5:0; რიდი — გრაცერი 2:1; შტურმი — ლინცერი 2:1

ტიროლი	19	11	4	4	37:15	37
აუსტრია	21	11	4	6	36:20	37
რაპიდი	19	10	5	4	34:21	35
ზალცბურგი	19	9	4	6	30:24	31
გრაცერი	19	9	3	7	28:25	30
რიდი	19	8	5	6	33:27	29
შტურმი	19	8	2	9	33:28	26
ბრეგენცი	21	5	4	12	27:43	19
ადმირა	20	4	4	12	16:47	16
ლინცერი	20	3	5	12	19:43	14

იუგოსლავია

მე-13 ტური: პარტიზანი — ოფკ 4:1; ბუდუჩნოსტი — ცრვენა ზვეზდა 0:2; ნაპრედაკი — ჟელეზნიკი 3:1; ზემუნი — ჩუკარიჩკი 1:0; პაიდუკი — ვოივოდინა 2:0; ობილიჩი — რადი 1:0; სარტიდი — ზეტა 3:0; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — მილიციონარი 1:0; რადნიჩკი (ნიში) — სუტიესკა მატჩი / ტაიმის შემდეგ 0:2-ზე შეწყდა

პარტიზანი	12	10	0	2	33:10	30
ცრვენა ზვეზდა	12	9	3	0	28:5	30
ობილიჩი	13	8	2	3	20:14	26
ოფკ	13	7	2	4	19:14	23
სარტიდი	13	6	2	5	16:20	20
პაიდუკი	13	5	4	4	22:10	19
მილიციონარი	13	5	2	6	12:14	17
ჟელეზნიკი	13	5	2	6	19:24	17
ჩუკარიჩკი	13	5	1	7	18:16	16
სუტიესკა	12	5	1	6	13:23	16
კრაგუევაჩი	13	5	1	7	11:22	16
ვოივოდინა	13	4	3	1	12:11	15
ზეტა	13	3	6	4	16:17	15
ზემუნი	13	3	6	4	14:15	15
რადი	13	4	2	7	14:22	14
ბუდუჩნოსტი	13	4	1	8	10:16	13
ნაპრედაკი	13	3	3	7	11:25	12
ნიში	12	2	3	7	10:20	9

უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-3 ტური: ტატაბანია — ფერენცვაროში 0:5; დიორ ეტო — ვაშაში 1:0; ვიდეოტონი — დებრეცენი 3:1; ზალაეგერსეგი — დუნაფერი 0:1; მტკ — ჰონვედი 1:1; უიპეშტი — შოპრონი 2:1

ფერენცვაროში	3	2	1	0	7:0	11
დუნაფერი	2	2	0	0	3:1	11
ვიდეოტონი	3	2	1	0	5:1	9
დიორ ეტო	3	2	0	1	4:4	8
უიპეშტი	2	1	0	1	3:3	8
მტკ	2	0	2	0	1:1	8
ვაშაში	3	1	0	2	2:4	7
ტატაბანია	3	0	1	2	3:10	7
ჰონვედი	3	1	1	1	6:5	5
შოპრონი	3	0	2	1	3:4	5
ზალაეგერსეგი	2	1	0	1	3:3	4
დებრეცენი	3	0	0	3	4:8	3

რუმინეთი

მე-14 ტური: უნივერსიტატია — დინამო 1:3; რაპიდი — არჯეში 0:1; ოცელული — ჩაპლაული 1:1; გლორია — ბრაშოვი 1:0; ნაციონალი — ბაკუ 2:1; სტიაუა — გაც მეტანი 2:0; ფორქატა — როკარი 4:1; ასტრა — პეტროლული 0:0

სტიაუა	14	9	3	2	27:16	30
პეტროლული	14	7	3	4	19:14	24
უნივერსიტატია	14	7	3	4	16:14	24
არჯეში	14	7	3	4	18:17	24
ფორესტა	14	6	5	3	26:22	23
დინამო	14	6	3	5	28:25	21
ბრაშოვი	14	6	3	5	9:8	21
რაპიდი	14	4	6	4	13:12	18
ასტრა	14	5	3	6	14:14	18
გლორია	14	5	3	6	16:19	18
ნაციონალი	14	5	2	7	20:22	17
როკარი	14	5	2	7	23:28	17
ოცელული	14	4	4	6	18:19	16
ბაკეუ	14	4	4	6	19:21	16
ჩაპლაული	14	3	5	6	15:23	14
გაც მეტანი	14	1	4	9	7:15	7

გერმანია

II ბუნდესლიგა. XIII ტური

ზაარბრიუკენი 3:3 ვალდჰოფი

0:1 კლაუცი (15), 1:1 ტომპიოლერი (26), 2:1 ხოჯი (28), 2:2 კლაუცი (38), 3:2 ხოჯი (54), 3:3 სანტოსი (77)

ჰანოვერი 4:2 არმინია

1:0 შიმაკი (1), 1:1 ლაბადია (5), 2:1 შიმაკი (16), 3:1 დინზუი (40), 4:1 ლინგუ (71), 4:2 ვიშნიარეკი (86)

ნიურნბერგი	13	10	3	0	27:9	33
ჰანოვერი	13	7	4	2	24:12	25
ზანქტ პაული	13	7	3	3	32:21	24
როიტლინგენი	13	6	3	4	26:25	21
ობერჰაუზენი	13	6	2	5	20:17	20
ფიურტი	13	5	4	4	22:16	19
ალემანია	13	5	4	4	19:17	19
ზაარბრიუკენი	13	5	4	4	21:22	19
ვალდჰოფი	13	4	5	4	18:21	17
გლადბახი	13	3	7	3	20:17	16
დუისბურგი	13	4	4	5	18:17	16
არმინია	13	4	4	5	18:18	16
ალენი	13	3	6	4	20:25	15
ულმი	13	4	2	7	17:20	14
მაინცი	13	3	4	6	13:19	13
ოსნაბრუკი	13	2	4	7	12:23	10
კიკერსი	13	1	6	6	7:19	9
ქემნიცი	13	2	3	8	12:28	9

იტალია

სერია B. XII ტური

ვონცა 1:1 პიაჩენცა

0:1 კაჩა (54), 1:1 ჯანჩი (79)

ჩიტადელა 2:2 ტრევიზო

0:1 როკი (18), 1:1 კავერძანი (34), 2:1 ჟირარდელი (71), 2:2 პიანუ (90)

კოზენცა	12	8	2	2	18:10	26
ვენეცია	12	5	7	0	19:12	22
კიევო	12	6	4	2	15:9	22
კალიარი	12	5	5	2	21:14	20
სამპდორია	12	5	5	2	17:12	20
ანკონა	12	6	2	4	16:13	20
ემპოლი	12	6	2	4	14:12	20
ტერნანა	12	5	4	3	16:14	19
პიაჩენცა	12	5	3	4	15:11	18
კროტონე	12	5	2	5	14:16	17
სიენა	12	4	4	4	18:17	16
ჩიტადელა	12	3	6	3	17:17	15
პისტოიეზე	12	4	3	5	14:15	15
სალერნიტანა	12	4	2	6	14:14	14
ტორინო	12	3	4	5	13:18	13
ტრევიზო	12	3	3	6	12:18	12
ჯენოა	12	2	5	5	10:13	11
მონცა	12	3	1	8	12:20	10
პესკარა	12	0	6	6	9:16	6
რავენა	12	0	6	6	12:25	6

სერია C1/B. XI ტური

სავოია 0:2 აველინო

ჩემი სერა ჩემთან



სერა ფერერი ერთხელაც გადარჩა

რა ხანია, კატალონიელი რეპორტიორები „ბარსელონას“ ოფისის წინ ბოლთას სცემენ და ელიან იმ წუთს, როცა საშუალება მიეცემათ, მკითხველს ახალი ცნობა მიაწოდონ — ლორენს სერა ფერერი კლუბიდან დაითხოვესო.

პრეზიდენტ ხუან გასპარის ნათქვამს თუ ვირწმუნებთ, ჟურნალისტებს დიდხანს მოუწევთ ოფისის წინ ხეტიალი, რადგან გასპარი მწვრთნელის გაგდებას არ აპირებს. არადა, მიზეზი ნამდვილად არსებობს — „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, პრიმერა-დივიზიონში მეცხრეა, ორ თვეში შვიდი მატჩი წააგო...

გასპარი კი აცხადებს: „რაიმე რადიკალური ზომების მიღებას არ ვაპირებ. მწვრთნელმა, ფეხბურთელებმა და საერთოდ ყველამ კრიზისიდან თავის დაღწევის გზების ძიება ერთად უნდა განვაგრძოთ. დარწმუნებული ვარ, გამოსავალს მალე მივაგნებთ, ძველებურად ვითამაშებთ და ქომაგებს ვასიამოვნებთ“.

თუ პრეზიდენტის ამ სიტყვებით ვინმე კმაყოფილი დარჩა, უპირველესად სერა ფერერი. მან ისიც აღიარა, „სარაგოსასთან“ წაგების შემდეგ ვფიქრობდი, რომ მომხსნიდნენო, ახლა კი გული მიეცა და ასეთ რამეებს ამბობს: „მწვრთნელისთვის პრეზიდენტის მხარდაჭერაზე მნიშვნელოვანი არაფერია. მისმა სიტყვებმა ძალიან გამამხნევა. ახლა გაათმაგებული ძალით განვაგრძობ გუნდის შენებას. კაცმა რომ თქვას, ბევრიც არაფერი გვჭირდება — უბრალოდ, უკეთ უნდა ვითამაშოთ და ბევრი გოლი გავიტანოთ“.

ფერერს რომც არ ეთქვა, ისედაც ცხადია, რომ გამარჯვებაზე მეოცნებე გუნდს გოლები უნდა გაჰქონდეს და საერთოდაც, კარგი თამაში და გოლები ძალიან ზოგადი განცხადებაა, მწვრთნელს კი უფრო კონკრეტულად არაფერი უთქვამს.

სამაგიეროდ, ბევრს ლაპარაკობენ და მსჯელობენ გულშემატკივრები. ისინი მწვრთნელს უპირველესად ტაქტიკას უწუნებენ და ეჭვის თვალით უყურებენ კლუბის ახალშენაძენებს: მარკ ოვერმარსს, ემანუელ პეტის, ივან დე ლა პენიას, ხერარდ ლოპესსა და ალფონსოს. ამბობენ, მათი გადაბირებით კლუბს გაძლიერება არ დასტყობიაო.

ბოლო ერთ თვეში ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ხუან გასპარი კბილებით იცავს ლორენს სერა ფერერს.

ხუთშაბათს „ბარსელონას“ უეფას თასზე ბელგიურ „ბრიუგესთან“ უწევს თამაში და თუ წააგო... ყოველ შემთხვევაში, კატალონიელი რეპორტიორები პოსტიდან ფეხს არ იცვლიან.

გიორგი დარჯანია

ჟარდელს ისევ ექაჩებიან

ვან ჰოიდონკი + 15 მილიონი = ჟარდელი

ლისაბონის „ბენფიკა“ თურქული „გალათასარაიდან“ ბრაზილიელი თავდამსხმელის მარიო ჟარდელის გადასაყვანად არაფერს იშურებს. პორტუგალიელებს ეს ფეხბურთელი ჯერ კიდევ „პორტუში“ თამაშისას მოუვიდათ თვალში, თუმც მაშინ ბენფიკელებს თავიანთი სურვილი საქვეყნოდ არ გაუმჟღავნებიათ — „პორტუ“ ჟარდელს მთავარ კონკურენტს, ცხადია, არ დაუთმობდა. ამ ზაფხულს ბრაზილიელი „გალათასარაიში“ გადავიდა და „ბენფიკამაც“ სტამბოლელთა ხელმძღვანელობას მიმართა, ჟარდელი დაგვითმეთ და 30 მილიონ დოლარს ჩამოგიყაჭავთო. თურქები ასეთი თანხის ხსენებამ კარგ გუნებაზე მოიყვანა, თუმცა ბოლოს მაინც თავი შეიკავეს — ახლა არა და სეზონის ბოლოს სიამოვნებით დაგელაპარაკებითო. ამის შემდეგ ლისაბონელებიც თითქოს გაჩერდნენ, მაგრამ დროებით. „ბენფიკას“ წარმომადგენლები ამ კვირის მიწურულს თურქეთში ჩასვლას და გალათასარაის“ უფროსობასთან შეხვედრას აპირებენ. თანაც ახალი წინადადებით უნდა მიმართონ: 15 მილიონი ამერიკული დოლარი და ჰოლანდიელი თავდამსხმელი პიერ ვან ჰოიდონკი მარიო ჟარდელის სანაცვლოდ, ასეთია „ბენფიკას“ სურვილი, რომელსაც თურქები ალბათ დათანხმდებიანო, იუწყებიან უცხოური საგენტოები.

მაგრამ სრულიად შესაძლებელია, მხარეებმა მოილაპარაკონ, ფეხბურთელიც თანახმა იყოს, მაგრამ ტრანსფერი მაინც არ შედგეს. თუ ასე მოხდა, ჩათვალეთ, რომ საქმეში ჰოლანდიური „ვიტესის“ ხელი ურევია.

საქმე ისაა, რომ ვან ჰოიდონკი „ბენფიკაში“ „ვიტესიდან“ ამ ზაფხულს გადავიდა, პორტუგალიელებმა კი ჰოლანდიურ კლუბს სატრანსფერო თანხა ბოლომდე ჯერაც ვერ გადაუხადეს — „ვიტესისა“ კიდევ 6 მილიონი დოლარი მართებთ. ასე რომ, თუ არნემელებმა მოინდომეს, მარტო ტრანსფერს კი არ ჩაშლიან, „ბენფიკას“ უეფასგან დიდ პრობლემებს შეუქმნიან.

მარიო ჟარდელი კი იმედოვნებს, რომ „ბენფიკა“ და „გალათასარაი“ მოილაპარაკებენ, არც „ვიტესი“ შეუშლით ხელს და მალე ისევ პორტუგალიაში დაბრუნდება.

კანუ მზადაა

ლონდონის „არსენალის“ ნიგერიელმა ვარსკვლავმა ნვანკო კანუმ განაცხადა, რომ მზადაა თავისი ქვეყნის ნაკრებში დაბრუნდეს. კანუ ეროვნული გუნდიდან სექტემბერში მას მერე მოკვეთეს, რაც თავდამსხმელმა სიდნეიში გამართულ ოლიმპიადაზე წასვლა იუარა.

მას მერე ნიგერიული სპორტის ჩინოვნიკებმა ნაკრების თავკაცი ჯო ბონფრერე აიძულეს, კანუ გუნდიდან დაეთხოვა. ბონფრერე ამისი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. განაწყენებულმა კანუმაც, სულ რომ კალთები დამახიონ, ნაკრებში აღარ დავბრუნდებიო, თქვა, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შეცვალა. თან, მისი მიწვევა ბონფრერესაც სურს.

„ვიცი, ოლიმპიადაზე თამაში კანუსაც სურდა, მაგრამ „არსენალის“ ხელმძღვანელობამ გადააფიქრებინა. მისი ბრალი არ არის. ამიტომ ნაკრებში უნდა დაბრუნდეს“ — ამბობს ბონფრერე იმ ხალხის გასაგონად, ვინც ფეხბურთელის წინააღმდეგია.

„ბედნიერი ვარ, რომ ნიგერიელად დავიბადე. მთელი ცხოვრება ნიგერიელადვე დავრჩები. მზად ვარ, ჩემი ქვეყნის და ნაკრების ღირსება დავიცვა ნებისმიერ დროს, როცა საჭირო ვიქნები“ — ამბობს კანუ.

უშველეს, მაგრამ კომაშია

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ბერტოლოტი სიკვდილს გადაურჩა, თუმცა ჯერჯერობით ისევ კომაშია — თქვეს ექიმებმა.

თუ როგორ მოხვდა იტალიური სერია C-ს „მოდენას“ 33 წლის ნახევარმცველი ფრანჩესკო ბერტოლოტი ჰოსპიტალში, გუშინდელ „სარბიელიდან“ გეცოდინებათ, თუმცა ორი სიტყვით მაინც შეგახსენებთ: კვირას, „კომოსა“ და „მოდენას“ მატჩის შემდეგ ბერტოლოტიმ და მასპინძელთა კაპიტანმა მასიმილიანო ფერინიომ იჩხუბეს, რის შედეგადაც მოდენელმა იატკს თავი დაარტყა და გრძნობა დაკარგა.

დამნაშავე, ცხადია, უკვე დაკითხეს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მას ჯერჯერობით უცნობი ვადით დისკვალიფიკაცია გამოუწერა, „კომომ“ კი გუნდიდან მოკვეთა, თუმცა: „ამაზე არც ვფიქრობ. ახლა ჩემი გონება ფრანჩესკოს დასტრიალებს. ვიმედოვნებ, რომ იგი მალე მომჯობინება“ — ამბობს ფერინიო, რომელმაც ისიც თქვა, ამის გამკეთებელი თუ ვიყავი, ვერც წარმოვიდგენდიო.

ასე თუ ისე, ინგლისურ ქალაქ ბლეკბერნში დაბადებული ბერტოლოტი ჯერ გონზე ვერ მოსულა, კომოს პოლიციამ კი სისხლის სამართლის საქმე აღძრა. რამდენად დამძიმდება ეს საქმე, ფეხბურთელის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

REUTERS

ფრანჩესკო ბერტოლოტი გონზე ჯერაც ვერ მოსულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმი მილიონებს ითხოვს

„ლევერკუზენის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი გერმანიაში დაბრუნებას და სასამართლოში ჩივილს აპირებს. გემახსოვრებათ, დაუმი მის გარშემო ატეხილ „კოკაინის სკანდალს“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაექცა. იქ გერმანელი სპეციალისტი სამი კვირის მანძილზე იმალებოდა, მერე კი ხელახალი ანალიზი ჩაიტარა. ამერიკელმა ექიმებმა მის ორგანიზმში ნარკოტიკების კვალს ვერ მიაგნეს, რამაც დაუმს ხასიათი გამოუკეთა. როგორც გერმანული პრესა იუწყება, მწვრთნელი ბრძოლისთვის ემზადება.

კრისტოფ დაუმი ჩივილს აპირებს

უახლოეს მომავალში გერმანიის ერთ-ერთი ქალაქის (სავარაუდოდ, ფრანკფურტის) სასამართლოში სარჩელი შევა, რომელიც ქვეყნის საფეხბურთო კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული — დაუმი გერმანული ფეხბურთის მამებს კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებს.

ნაცნობი ამბავია: მიმდინარე წლის 2 ივლისს საფეხბურთო კავშირის ოფისში საგანგებო თათბირი ჩატარდა. გადაწყდა, რომ ეროვნული გუნდი კრისტოფ დაუმისთვის ჩაებარებინთ, მაგრამ რადგან მას იმ დროს ხელშეკრულება „ლევერკუზენთან“ ჰქონდა, რომელიც მწვრთნელის გაშვების წინააღმდეგი იყო, ნაკრების თავკაცად ამავე კლუბის მენეჯერი რუდი ფიოლერი დანიშნეს. 2001 წლის 1 ივნისიდან კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა — დაუმს „ლევერკუზენთან“ ხელშეკრულება დაასრულებდა და ფიოლერსაც პირნათელი შეცვლიდა.

ახლა დაუმი ამბობს, საფეხბურთო კავშირმა ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო, კონტრაქტზე ხელიც მომაწერინაო. ამიტომ თავისას ითხოვს.

„აქამდე კრისტოფი ვერაფერს მოითხოვდა. ცხადიც იყო, მას ნარკომანობაში ადანაშაულებდნენ. ახლა კი თავისი სამართლე დაამტკიცა, იგი სრულიად მართალია, ამიტომაც კონტრაქტი უმიზეზოდ არის დარღვეული“ — განმარტავს დაზარალებულის ადვოკატი როლფ შტანკევიცი.

სწორედ ამიტომ დაუმი საფეხბურთო კავშირისგან კომპენსაციას ითხოვს, თანაც ერთობ სოლიდურს — 6,5 მილიონ ამერიკულ დოლარს.

საფეხბურთო კავშირს კი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფიოლერს ხელშეკრულება 2002 წლის აგვისტომდე გაუგრძელა, თავისი აზრი აქვს. მის ხელმძღვანელთა თქმით, დაუმსა და კავშირს შორის არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს. რა კონტრაქტი, რის კონტრაქტი, დაუმი რომ ნაკრების მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, მხოლოდ ეიმ სხდომის ოქმში არის აღნიშნული, რაც არაფერს ნიშნავსო, ამბობენ ისინი. თუმცა „ლევერკუზენის“ ყოფილი თავკაცი მაინც თავისაზე დგას. სხვათა შორის, მას იურისტებიც უჭერენ მხარს.

თუ დაუმი მართლა შეძლებს თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ნარკოტიკებთან დაკავშირებით, რის გამოც კონტრაქტი დაირღვა (თუ იგი არსებობდა), მას სრული უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი თანამდებობის აღდგენა ანუ ნაკრების მწვრთნელობა ან მატერიალური კომპენსაცია.

როგორც აღვნიშნეთ, უახლოეს მომავალში დაუმი გერმანიაში ჩავა და ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს. სიმართლეც მაშინ გაირკვევა.

საინტერესოა, სასამართლოც რომ დაუმის მხარეს დადგეს და კონტრაქტის აღდგენა მოითხოვოს, რუდი ფიოლერი რას იზამს. მერე ისიც ხომ არ იჩივლებს?

ვანო ოქროპირიძე

არის თუ არა ეს კრიზისი?

ჯერ არაო, ამბობს ოტმარ ჰიცფელდი

რა ხდება „ბაიერნში“, რატომ არის გუნდი კრიზისში? — აინტერესებთ გერმანიაში, თუმცა ბავარიული კლუბის ხელმძღვანელები ზუსტად ვერაფერს ამბობენ.

„არა, ეს კრიზისი არ არის. კრიზისი მაშინ იქნებოდა, გუნდი რომ დაშლილი და დემორალიზებული იყოს. ცხადია, ყველაფერი წესრიგში ვერ არის, მაგრამ არც ისე საშიშია საქმე, როგორც ბევრი ხატავს. ბიჭები მინდორზე იბრძვიან, მეტოქესაც სჯობნიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შედეგს არ ეტყობა — ასე ხსნის გუნდის წარუმატებლობას ოტმარ ჰიცფელდი და იქვე დასძენს — თითქოს ცალაც გვაკლია. ეს რაღაცა ქილერის ინსტინქტია. ადრე ბევრო სხვანაირები ვიყავით, მეტოქეს არ ვინდობდით“.

ხუთი მარცხი ცამეტი მატჩიდან, მხოლოდ 22 ქულა 39 შესაძლებლობიდან — სხვა გუნდი იქნებ კმაყოფილიც ყოფილიყო ამ მონაგარით, მაგრამ არა „ბაიერნი“. კლუბი, რომლის წლიური ბიუჯეტიც 300 მილიონი მარკაა, ამ შედეგს მიღწევად ვერ ჩათვლის. ბავარიელებმა შაბათს შინ ფრანკფურტის „აინტრახტთან“ წააგეს, ეს კი ბოლოს 24 წლის წინ მოხდა. კმარა — თქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა, ჰიცფელდი დაიბარეს და მკაცრად მოსთხოვეს, დროა, გუნდი ძველებურად ათამაშდესო.

კარების არასწორი შერჩევა — „ბაიერნის“ წარუმატებლობას ამითაც ხსნიან. ჩირიაკო სფორცასა და ვილი სანიოლის შეძენა სეზონის წინ მიუნხენელებს 27,5 მილიონი გერმანული მარკა დაუჯდათ (მათ გარდა ბავარიელებმა ჯერ-ჯერობით რამდენიმე მოთამაშე დაიმატეს, რომელთა სანაცვლოდაც ფული არ გადაუხდიათ). ყველაზე დიდ იმედებს სფორცაზე ამყარებდნენ. მას დაცვა უნდა შეედუღაბებინა, ლოთარ მათეუსი შეეცვალა, მაგრამ... „ბაიერნმა“ წლეულს ხელოდ ერთ მატჩში შეინახა საკუთარი კარი მშრალად. ამაში კი, პირველ ყოვლისა, სფორცას ადანაშაულებენ. „იგი ჰერბერტ ფონ კარაიანს ჰგავს, მთელი მატჩის განმავლობაში დგას და თამაშს ისე დირიჟორობს“, „მას 10-ნომრიანი მაისურა აცვია, რომელიც არ დაუმსახურებია“, „მისი შეძენა უაზრობა იყო“ — აი, რას წერს გერმანული პრესა სფორცაზე. „იგი გუნდს ჯერ კიდევ ვერ შეეწყო“ — ამართლებს შეგირდს ჰიცფელდი.

ჩემპიონატის სტარტზე განცდილი მარცხები გუნდში ბევრი ტრავმირებულის ყოლას ბრალდება. „ბაიერნი“ მართლაც ლაზარეთს ჰგავდა, მაგრამ ახლა თითქმის ყველა გამოჯანმრთელდა, მათ შორის შტეფან ეფენბერგიც, რომელიც მინდორს ორი კვირის წინ დაუბრუნდა. მაგრამ მას მერე ბავარიელებს თამაში ვერ მოუგიათ. მიზეზად კი... ეფენბერგს ასახელებენ: „ეფე“ ფორმაში ვერ არის, აშკარად დამძიმებულია, ზედმეტი წონა აწუხებს. მისმა მოედანზე გამოსვლამ კი მეჰმეთ შოლს ფუნქციები შეუზღუდა. შოლი აშკარა ლიდერი იყო, ახლა კი ზოგჯერ ძირითადშიც ვერ ხვდება“ — ასეთია კიდევ ერთი ვერსია.

კლუბის ხელმძღვანელობას კი სხვა აზრი აქვს. ვიცეპრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს აზრით, ზოგიერთი ფეხბურთელი ისე არ თამაშობს, როგორც შეუძლია: „მათ ვარსკვლავური ავადმყოფობა შეჰყრიათ და ახლა ამ დაავადებით იტანჯებიან.“ რუმენიგე კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებს — წადით და მწვრთნელს ჰკითხეთ, იმან უკეთ იცისო. დაახლოებით ამავეს ფიქრობს „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი.

აი, გუნდის მენეჯერი ული ჰაინესი კი „ბაიერნის“ წარმატებების გასაღებს შტეფან ეფენბერგში ეძებს. „მის გარეშე ვერც ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ და ვერც ბუნდესლიგას. აშკარაა, იგი ფორმაში ვერ არის, მაგრამ ეს გასაკვირი სულაც არ არის, „ეფეს“ ხომ ბევრი გაუცდა. მას ორი-სამი კვირა კიდევ სჭირდება. რაც მთავარია, ბევრი უნდა ითამაშოს. რაც მეტს ითამაშებს, მით მალე შევა ფორმაში“ — ამბობს იგი.

ოტმარ ჰიცფელდზე კი ძვირი ჯერჯერობით არავის დასცდენია. ეს გარკვეულწილად ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ბავარიელთა კარგი შედეგის გამოხდება, მაგრამ მომავალ მატჩებში წარუმატებლობას მწვრთნელს ალბათ აღარ აპატიებენ. „აინტრახტთან“ წაგების მეორე დღეს იგი ბეკენბაუერმა დაიბარა და კარგა ხანს ესაუბრა. ამას ორშაბათს ჩატარებული 45-წუთიანი თათბირი მოჰყვა. როგორც ამბობენ, ჰიცფელდს ფეხბურთელები გვარიანად შეუხურებია და თუ „ბაიერნს“, როგორც ოლივერ კანი ამბობს, მხოლოდ ცოტა ცეცხლი და აგრესიულობა აკლია, მაშინ დღეს მიუნხენში, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ფრანგული „ლიონის“ წინააღმდეგ, ბავარიულმა ვულკანმა უნდა ამოხეთქოს.

მოხდება თუ არა ასე, არის თუ არა „ბაიერნი“ კრიზისში? ბევრი რამ ამაღამ „ოლიმპიაშტადიონზე“ გამოჩნდება.

ვანო ოქროპირიძე

ფეხბურთის რუბრიკა

ფრანგულ „მარსელს“ დროებით მწვრთნელის ყოფილი ასისტენტი კრისტოფ გალტიე უხელმძღვანელებს. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც თავკაცმა, ბრაზილიელმა აბელ ბრაგამ გუნდი დატოვა. „კლუბში ლუის ფერნანდესის და სხვა სპეციალისტების მოწვევაზე საუბრობდნენ, თუმც ჯერჯერობით ვერაფერი გაირკვა და გუნდს დროებით მე ვუხელმძღვანელებ“ — განაცხადა გალტიემ, რომელმაც ადრე, „მონაკოსა“ და „მარსელის“ შეხვედრისას, მინდვრიდან გასასვლელ დერეფანში მომხდარ ინციდენტში აქტიური მონაწილეობისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ინგლისელი მცველი სოლ კემპბელი სეზონის ბოლოს „ტოტენჰემს“ ალბათ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს, ვინაიდან ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი უსრულდება. ლონდონელები ჯერაც იმედოვნებენ, რომ იგი შეთანხმებას გაახანგრძლივებს, თუმცა მწვრთნელი ჯორჯ გრემი სხვაგვარად ფიქრობს და აცხადებს, რომ 26 წლის კემპბელი ალბათ „უაით ჰართ ლეინის“ დატოვებას არჩევს. მცველს, რომელიც „ტოტენჰემში“ შვიდი წელიწადია თამაშობს, ახლა ტრავმა აწუხებს და გუნდს დაახლოებით 10 შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

გერმანულმა „მიუნხენ 1860“-მა მეორებუნდესლიგური „ულმიდან“ ფორვარდი საშა როსლერი შეიძინა და 23 წლის ფეხბურთელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიუნხენელებს „რუსენბორგიდან“ იან დერეკ სორენსენის ყიდვა სურდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და მას შემდეგ არჩევანი როსლერზე შეაჩერეს. არ გამორიცხავენ, რომ სორენსენი დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდეს.

იტალიის ჩემპიონ „ლაციოს“ სურს „უდინეზეში“ განათხოვრებული ორი ფეხბურთელი — სტეფანო ფიორე და ჯულიანო ჯანიკედა მაშინვე დაიბრუნოს, როგორც კი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. ეს მოთამაშეები რომაულმა კლუბმა სეზონის დაწყების წინ იყიდა, თუმცა მაშინ მათი „უდინეზეში“ დატოვება ამჯობინა, ახლა კი ფიორესა და ჯანიკედას დედაქალაქში გადაყვანას თავად „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი ითხოვს.

ბელგიელი ფორვარდი ემილ მპენზა „შალკე 04“-ს მხოლოდ ზამთრის შესვენების შემდეგ დაეხმარება. ფეხბურთელი, რომელმაც სეზონში 6 გოლი გაიტანა, რამდენიმე კვირის წინ დაშავდა.

ავსტრალიელი ჰარი კიუელი „ლიდს იუნაიტედს“ დაახლოებით სამ კვირაში დაუბრუნდება. ფორვარდი წინა სეზონის ბოლო შეხვედრის შემდეგ არ გამოჩენილა მინდორზე. „კიუელმა მართლაც დიდი დრო გააცდინა და მეტად სასიხარულოა, რომ ნავარაუდევზე ადრე გამოჯანმრთელდა“— განაცხადა ლიდსელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ. ავსტრალიელის სხვა კლუბში გადასვლაზე ბევრს საუბრობდნენ, თუმცა მან ამ ზაფხულს „ლიდსთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე გააგრძელა.

პორტუგალიელი ფორვარდი პედრო პაულეტა დაშავდა და „ბორდოს“ „ვერდერის“ წინააღმდეგ უეფას თასის შეხვედრაში ვერ დაეხმარება. მან საფრანგეთის ჩემპიონატის გასულ ტურში „რენს“ ორი გოლი გაუტანა, მაგრამ შემდეგ კუნთი დაეჭიმა და ალბათ „სედანთანაც“ ვერ ითამაშებს. პაულეტამ წლეულს ჩემპიონატში 9, ხოლო ევროთასებზე 3 გოლი გაიტანა.

რუსი ანდრეი კანჩელსკისი შეიძლება „რეინჯერსიდან“ გაუშვან. ჯერ იყო და იგი თანაგუნდელ ფერნანდო რიკსენს წაეჩხუბა, რის გამოც კლუბმა დაჯარიმა, შემდეგ კი სარეზერვო გუნდში თამაში იუარა. „დანფერმლაინთან“ კანჩელსკისი არ ვათამაშე, თუმცა ამის მიზეზი რიკსენთან ჩხუბი არ ყოფილა. მან სარეზერვო გუნდში თამაშზე უარი განაცხადა“ — თქვა გლაზგოელთა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა. შეგახსენებთ, რომ კანჩელსკისი „რეინჯერსმა“ 1998 წელს „ფიორენტინისგან“ 7,8 მილიონ დოლარად შეიძინა. მაშინ იგი კლუბის ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე იყო. რუს ნახევარმცველს მანამდე „მანჩესტერ იუნაიტედში“ და „ევერტონშიც“ უთამაშია.

არგენტინელი „ბოკა ხუნიორსის“ მცველის უგო იბარას ყიდვა „ვალენსიას“ სურს. სააგენტოების ცნობით, პრიმერადივიზიონელებს ფეხბურთელი გადაახლებით 5 მილიონი დოლარი დაუჯდებათ. სავარაუდოა, რომ 26 წლის ფეხბურთელის ტრანსფერი მომავალ კვირაში, მადრიდის „რეალსა“ და „ბოკა ხუნიორს“ შორის საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრის შემდეგ გადაწყდება.

ინგლისური „სანდერლენდი“ შვედური „ელფსბორგის“ ნახევარმცველ ანდრიას სვენსონთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. 24 წლის ფეხბურთელი იმედს გამოთქვამს, რომ ყველაფერი მალე გადაწყდება. სვენსონმა ახლახან დასრულებულ შვედეთის ჩემპიონატში 10 გოლი გაიტანა. როგორც ამბობენ, პრემიერლიგელები მის სანაცვლოდ 2 მილიონ დოლარს გაიღებენ.

ინგლისური „ლესტერის“ ფორვარდი არნარ გუნლაუგსონი ტრავმის გამო დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. არადა, 27 წლის ისლანდიელი ბოლოს კარგ ფორმაში იყო და პრემიერლიგის სამ მატჩში ორი გოლი გაიტანა. „არნარი მართლაც დაგვაკლდება. ბოლო სამი კვირაა, იგი ძლიერად თამაშობდა“ — განაცხადა „ლესტერის“ თავკაცმა პიტერ ტეილორმა.

რუსეთის ვიცე-ჩემპიონ „ლოკომოტივს“ უეფას თასის შეხვედრაში, შესაძლოა, გამოჯანმრთელებული დმიტრი ლოსკოვი დაეხმაროს. „ფეხბურთელი სულ ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც იმკურნალა. ხუთშაბათამდე მას კიდევ გასინჯავენ და ზუსტად იტყვიან, შეძლებს თუ არა „რაინ ვალეკანოს“ წინააღმდეგ თამაშს“ — განაცხადა მოსკოვური გუნდის მწვრთნელმა იური სიომინმა. სამაგიეროდ, გამოირიცხა ესპანელებთან ანდრეი სოლომატინის თამაში — მცველს მუხლის ტრავმა აწუხებს.

თურქმა ფორვარდმა ოქთაი დერელიოღლუმ „ლას პალმასი“ წინა თვეში დატოვა, ახლა კი „ტრაბზონსფორში“ ჩაირიცხა და თურქულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოქთაი ესპანურ გუნდში ამ ზაფხულს გადავიდა, თუმცა ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო იძულებული გახდა „ლას პალმასიდან“ წასულიყო. უკლუბოდ დარჩენილი ფეხბურთელი ბოლოს ნაკრებშიც ვეღარ მოხვდა, არადა იგი ეროვნული გუნდის ძირითადი მოთამაშე გახლდათ. აღვნიშნოთ, რომ ოქთაი „ტრაბზონში“ 1992-93 სეზონში თამაშობდა.

ბულგარელი კრასიმირ ბალაკოვი „შტუტგარტმა“ 4300 დოლარით დაჯარიმა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი მწვრთნელ რალფ რანგნიკს შეეკამათა. თავკაცმა იგი „მიუნხენ 1860“-თან შეხვედრაში შეცვალა, რაც ნახევარმცველს არ ესიამოვნა. ასეთი საქციელისთვის ბულგარელი შესაძლოა სხვაგვარადაც დასჯონ. „თუ მწვრთნელი რაიმე სადისციპლინო სასჯელს მოითხოვს, კლუბი მას მხარს დაუჭერს“ — განაცხადა „შტუტგარტის“ ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ამ დღეს სტუმრობა სჯობდა

AP ტორონტოდან

ტორონტო — შარლოტი. ტორონტოელმა მაიკლ სტიუარტმა (მარცხნივ) ჯამაალ მალუას ბურთი გააგდებინა

20 ნოემბერი

ბოსტონი 90:114 ფილადელფია

ბოსტონი: ვილიამსი (11), ბათი (25 ქულა, 12 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (26 ქულა, 8 პასი, 5 ჩაჭრა), რეთლიფი (28 ქულა, 5 დაფარება), მაკკი (17)

ტორონტო 64:100 შარლოტი

ტორონტო: კარტერი (20)

შარლოტი: მაშბურნი (25), მალუა (16)

იუტა 98:107 დალასი

იუტა: რასელი (17), მელოუნი (13 ქულა, 12 მოხსნა)

დალასი: ფინლი (29), ნოვიცკი (20 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (17 ქულა, 17 პასი)

ვანკუვერი 92:95 დენვერი

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 14 მოხსნა), ბიბი (18)

დენვერი: მაკდაიესი (21 ქულა, 10 მოხსნა), ვან ექსელი (20 ქულა, 14 პასი)

კლიპერსი 85:86 ნიუ ჯერსი

კლიპერსი: ოდომი (24 ქულა, 11 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: მარბერი (28), მარტინი (19 ქულა, 15 მოხსნა)

ჯერაც დაუმარცხებელი „ფილადელფია სიქსერზი“ მთელი არსებით მიილტვის ლიგის რეკორდისკენ, სეზონის სტარტზე ზედიზედ 15 გამარჯვებისკენ, რომელიც შორეულ 1948 წელს „ვაშინგტონ კეპიტალზმა“ დაამყარა და შედარებით ახლო წარსულში, 1993 წელს „ჰიუსტონ როკეტსმა“ გაიმეორა. რეკორდის მაძევრებს საჭირო მოგებათა ორი მესამედი უკვე მოუგროვდათ. ამ ორშაბათს მათ უკვე მეათე მეტოქე, „ბოსტონ სელტიქსი“ გაამწარეს. „რეკორდი? მისი გამეორება ან გაუმჯობესება ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ ამის თქმა გაცილებით იოლია, ვიდრე შესრულება. რაც უფრო შორს წავალთ, მით უფრო გაგვიჭირდება თამაშის მოგება. ყველას სურს, თავად შეიქნეს ჩვენი პირველი მძლეველი და ჩვენს წინააღმდეგ ყველა ორმაგად მობილიზებული გამოდის. არ გვიკვირს, არავის უნდა, მათი წაგების ხარჯზე დავაშოთ რეკორდი“ — ამბობს „სიქსერზის“ ლიდერი ალენ აივერსონი. ასეცაა, „ფილადელფიას“ ახლა უფრო გაუჭირდება თამაშების მოგება, მაგრამ ერთი კია, მან მიზნისკენ მიმავალი გზიდან „ბოსტონი“ ჩვეული სილაღით ჩამოიშორა. თავად აივერსონს არც ამჯერად მოუგროვდა უსაშველოდ ბევრი ქულა, თუმც როგორც ადრეც მრავალჯერ უთქვამს, ეს არ აღელვებს თავისი გუნდის წარმატებების ფონზე.

„ბოსტონ სელტიქსი“ კარგა ხანია, ამაოდ ლამობს საშუალო გუნდების მარაქაში გარევას. ამის გამო მწვრთნელ რიკ პიტინოს წყალი შეუდგა და იგი ცდილობს, გუნდი როგორმე წინ წამოსწიოს. „ბოსტონიც“ ყოველ მატჩს დიდძალ ენერგიას ახარჯავს, მაგრამ ჯერჯერობით ხელშესახებ შედეგს ვერ მიაღწია, დღეისთვის მოგება-წაგებების ბალანსი უარყოფითი აქვს.

ეს შეხვედრა მასპინძლებმა, ისევე როგორც ყველა წინა მატჩი, უდიდესი შემართებით დაიწყეს, მაგრამ პირველივე წუთებიდან ცხადი გახდა — ისინი „ფილადელფიას“ ვერ მოუგებდნენ. სტუმრებმა არც ამჯერად გადაუხვიეს ჩვეული გზიდან, მომხდურთ მკაცრი დაცვა შეაგებეს და შედეგიც მალე გამოჩნდა. სტუმრმა ჯორჯ ლინჩმა მასპინძელთა ლიდერ პოლ პირსს სულ თავბედი აწყვეტინა (პირსმა შეხვედრა 9 ქულით დაასრულა), მისი თანაგუნდელი თეო რეთლიფი კი მეორე ლიდერს, ანტუან უოლკერს აედევნა და სულ 13 ქულას დაუჯერა. ორი მთავარ მექულის უსაქმურობის შემყურემ, სათადარიგო ერიკ ვილიამსმა სცადა, თავისი გუნდის უხეირო თამაში გამოეცოცხლებინა, მაგრამ მისმა გარჯამ მხოლოდ იმისთვის იკმარა, რომ „ბოსტონს“ პირველი მეოთხედი ექვსი ქულის სხვაობით — 21:27 წაეგო.

მეორე მეოთხედში მასპინძლები გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჩვეულებრივ აივერსონის ჩრდილში მყოფმა აარონ მაკკიმ აიწყვიტა და თავისი საერთო მონაგრიდან — 17 ქულიდან, 16 ამ თორმეტწუთიანში გაახერხა. ტაიმის მიწურულს მან ზედიზედ ოთხი უპასუხო ბურთი ჩაუგდო „სელტიქსს“ და ტაიმების გასაყარზე „ფილადელფია“ 59:44 დაწინაურდა. მასპინძელთა რბევას აივერსონმა არაოფიციალურად დაუსვა წერტილი, როცა მესამე მეოთხედში ერთი მონაკვეთი თავისიანებს 10:2 მოაგებინა. „სიქსერზი“ 23-ქულიანი უპირატესობის შემდეგ დაწყნარდა და მასპინძლებსაც მისცა თამაშის საშუალება. დარჩენილ ოც წუთში საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ფილადელფიამ“ ახლაც, ისევე როგორც ყველა სხვა თამაშში, გადაბიჯა ასქულიან ზღვარს.

„ბოსტონთან“ შეხვედრით „ფილადელფიამ“ ოთხმატჩიანი გასვლითი სერია გახსნა. დღემდე დაუმარცხებლები ახლა შარლოტს, ატლანტას და სან ანტონიოს ეწვევიან და იქ შეეცდებიან თავიანთი უძლეველობის დამტკიცებას.

საერთოდ, 20 ნოემბერი სტუმართა დღე გახლდათ. ამ დღეს გამართულ ხუთ შეხვედრაში მასპინძლები ამაოდ ირჯებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შინ ისეთი გუნდები თამაშობდნენ, როგორებიც არიან „იუტა ჯაზი“ და „ტორონტო რეპტორზი“.

ორშაბათს ტორონტოს დარბაზ „ეარ კანადა სენთერში“ მისული 18 ათასამდე ქომაგი შინ შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა. შთაბეჭდილებები კი კარგიც იყო და ცუდიც. ჯერ კარგზე ვთქვათ: კანადელებმა იხილეს საკუთარი ქვეყნის საკალათბურთო წიაღში დაბადებული ტალანტის, „შარლოტის“ ახალბედა ჯამაალ მალუას გაბრწყინება. მალუას ურიგოდ არ უთამაშია, თავის გუნდს 16 ქულა, 8 მოხსნა და 3 დაფარება მოუტანა. რაც შეეხება ცუდ ამბებს, მათ კარგი აშკარად გადასწონეს. იგივე მალუამ, რომელსაც აქამდე ხეირიანი არაფერი ჰქონდა გაკეთებული, მაინცდამაინც მშობლიური ქალაქის გუნდთან გამოიდო თავი. და რაც ყველაზე უფრო აშფოთებთ ტორონტოელთ, ეს მათი გუნდის უმოწყალოდ განადგურებაა — „ტორონტომ“ შინ 64:100 წააგო. ასეთი რამ კლუბის ხუთწლიან ისტორიას არ ახსოვს. იყო დრო, როცა „რეპტორზი“ აღმოსავლეთის ყველაზე ცუდი გუნდი გახლდათ და მას ყველა ჩაგრავდა, მაგრამ ერთ თამაშში ქულათა ასე მცირე რაოდენობა არასდროს მოუგროვებია. მასპინძელთა განადგურების უმთავრესი მიზეზი შეტევაში მათი უსუსური თამაშია. ისინი საშინლად ისროდნენ, თამაშიდან სროლების მხოლოდ 27 პროცენტი ჩააგდეს. თანაგუნდელებს მაგალითს ისევ გუნდის ლიდერი ვინს კარტერი აძლევდა, რომელმაც წინა მატჩში 48 ქულა მიითვალა. ახლა კი, მართალია, „რეპტორზზე“ ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა, მაგრამ 22 სროლიდან სულ 7 ჩააგდო. მისი შეგირდები რომ შეტევაში უკბილოდ თამაშობდნენ, „ტორონტოს“ მწვრთნელი ლენი ვილკენსიც აღიარებს: „დღეს ძალიან უხეიროდ გავისარჯეთ. ეს შეიძლება ცუდ სროლებს დავაბრალოთ. არ წაგვივიდა ბურთი და ამაში საგანგაშო არაფერია, ასეთი რამ ყველას მოსვლია, მაგრამ რა ვუყოთ დაცვას, რომელმაც დღეს მეტოქეს ბურთი ვერ წაართვა? ამ დღეებში რამდენჯერმე ვნახავთ მატჩის ჩანაწერს და დასკვნებსაც გამოვიტანთ.“

სოლტ ლეიკ სიტის დარბაზი „დელტა სენთერი“, სადაც „ჯაზი“ სტუმრებს უხვდება-ხოლმე, ისეთი ადგილია, იქ გამარჯვება ნებისმიერ გუნდს უჭირს. აი, „დალას მავერიქსმა“ კი, რომელიც ბოლო ათი წელია, პლეი ოფში მოხვედრას ამაოდ ლამობს, ეს მოახერხა. წლეულს „დალასი“ უფრო სოლიდური ჩანს, ვიდრე ბოლო ათი წლის განმავლობაში. იგი მომწიფდა პლეი ოფისთვის და ეს ღირსსახსოვარი გამარჯვებაც ტეხასელთა აღმავლას მოასწავებს. ჯერ კიდევ მრისხანე „იუტასთან“ მთლიანად გუნდმა კარგად ითამაშა, განსაკუთრებით კი გამთამაშებელმა სტივ ნეშმა. მის რიგიან თამაშს სასწრაფოდ ახალი სათაურიც გამოუძებნეს: „ახალი სტოქტონის დაბადება“. „ახალმა სტოქტონმა“ აშკარად აჯობა ძველს, შეტევაშიც არ გააზარა და თანაგუნდელებსაც დაეჭილი პასები ჩამოურიგა, ისეთი, რომ მაიკლ ფინლისა და დირკ ნოვიცკის ჩაგდების მეტი არაფერი დარჩენოდათ. თავად ჯონ სტოქტონმა 14 ქულა და ოდენ 6 პასი გაახერხა, რაც მისი გადაცემების მთავარი ადრესატის, კარლ მელოუნის შედეგიანობასაც დაეტყო. ამას ისიც დაერთო, რომ 229-სანტიმეტრიანმა დალასელმა შონ ბრედლიმ მელოუნს სამჯერ დაუფარა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „იუტას“ თავისი თამაში დაეკარგა.

სტუმრად მოიგო გასვლით თამაშებში აქამდე გაუხარელმა „დენვერმა“. ორი დღის წინ „ნაგითსმა“ თვით „ლეიკერსი“ დაჯაბნა, მანამდე „ჩიკაგოს“ სძლია და ახლა კოლორადოელები ზედიზედ სამი გამარჯვებით იწონებენ თავს. რაც შეეხება „ვანკუვერს“, ის ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა.

ირაკლი ფირაყვილი

გინება გაქაჩვით: ფასი 300 ლარი

საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატი

მეათე საკალათბურთო ჩემპიონატის მერვე ტურში სსუ — „დინამოს“ მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა დავით ანდრიაძემ სოხუმელი გოგიტა ბერია კამათისთვის ტექნიკურით დააჯარიმა. ამან კიდევ უფრო გაახელა სსუ-ელი და არბიტრს აგინა, რის გამოც ანდრიაძემ იგი საერთოდ დაითხოვა მოედნიდან. გაავებული მოთამაშე არც ამის შემდეგ დაცხრა, შესვენებაზე ანდრიაძეს საცემრად მიეჭრა, თუმც, მსაჯის ბედად, იქვე მდგომებმა მალევე შეპოჭეს კალათბურთელი. ყოველივემ, ცხადია, ძალიან განარისხა კალათბურთის ფედერაცია და ბერიას მკაცრი სასჯელითაც დაემუქრა.

ორშაბათს, 20 ნოემბერს, ვერის ბაღში ფედერაციის სადისციპლინო კომისია სწორედ ამ საკითხის განსახილველად შეიკრიბა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ კალათბურთელი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს და დაეკისროს ფულადი ჯარიმა 300 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, ბერიას პირობითი დისკვალიფიკაციაც მისცეს სეზონის ბოლომდე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსგავსი საქციელის განმეორების შემთხვევაში მის მიმართ სანქციები ერთიორად გამკაცრდება.

დისციპლინარებმა სსუ-ს მთავარ მწვრთნელ ვაჟა კვარაცხელიასაც დაუქნიეს თითი. იგი სასტიკად გაფრთხილეს და გუნდში წესრიგის დამყარებისკენ მოუწოდეს.

FFBB საფრანგეთი

მურეშანი პოში დაბრუნდა

VI ტური

დიჟონი — ბურგი 106:59, მონპელიე — ლე ავრი 88:69, რასინგი — გრაველინი 69:81, სტრასბური — შალონი 90:51, ბეზანსონი — ევრე 101:94, ლე მანი — ანტიბი 98:81, პო ორტეზი — შოლე 92:74, ვილერბანი — ნანსი 79:74

საფრანგეთის ჩემპიონატში კვლავ ორხელისუფლიანობაა. „ვილერბანმაც“ და „ლე მანმაც“ მორიგი მატჩები მოიგეს და კვლავ დაუმარცხებელნი არიან ექვსი ტურის შემდეგ.

„ანტიბს“ დიდი არა, მაგრამ მცირე იმედი მაინც ჰქონდა, რომ „ლე მანს“ პირველ მარცხს აგებდა. ჰოდა, მათ იმედებს გაწონასწორებული დასაწყისის შემდეგ საფუძველიც გაუმაგრდა. მოლინარის თანაგუნდელებმა მეტოქეს დროის მცირედი მონაკვეთი 8:0 მოუგეს და მალე 23:10 დაწინაურდნენ. ვენსან კოლეს შეგირდებს პანიკა არ შეტყობიათ და ჩამორჩენის აღმოფხვრა დაიწყეს. საწადელსაც მიაღწიეს და ტაიმი ერთი ქულითაც მოიგეს (44:43). შესვენების შემდეგ „ანტიბმა“ საერთოდ ვეღარ შეძლო მათი შეჩერება და საბოლოოდ 17 ქულით წაგო.

„ვილერბანს“ „ლე მანთან“ შედარებით უფრო ძლიერი მეტოქე ჰყავდა, მაგრამ იგი საკუთარ „ასტრობალში“ მაინც არ შერცხვა. თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით მათი ფრთა, ამერიკელი ჯო სტივენსი აქტიურობდა. პირველ თხუთმეტ წუთში მის ანგარიშზე უკვე 20 ქულა (ჯამში 22) იყო და „მწვანეები“ 43:18 გაიჭრნენ წინ. თუმც საფრანგეთის ნაკრების ცენტრის, სირილ ჟულიანის არყოფნის მიუხედავად, „ნანსი“ დანებებას არ აპირებდა და ტაიმის ბოლო მონაკვეთში ანგარიშის 16 ქულამდე შემცირებაც შეძლო. შესვენების შემდეგ კარგა ხანს გუნდები ერმანეთს უზუსტობაში ეჯიბრებოდნენ და ანგარიშში სხვაობა თითქმის არ შეცვლილა. დასკვნით მეოთხედში ლოტარინგიელებმა ძლიერ გამოიდეს თავი, მაგრამ შეხვედრის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს.

უკვე კარგა ხანია ბევრი ელოდება შარშან ელიტაში აღზევებული და მშვენიერი სეზონის ჩამტარებელი „სტრასბურის“ აფეთქებას და ალზასელებმა ახლაღა გაამართლეს მოლოდინი. ამ აფეთქებას კი „შალონი“ ემსხვერპლა. პირველ ტაიმში სტრასბურელები შეუვალნი იყვნენ დაცვაში და შეტევაშიც თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა. ჰოდა, „შალონმაც“ 20 წუთში მხოლოდ 16 ქულა მოინადირა და 26-ით ჩამორჩა. ვერც შესვენების შემდეგ ივარგეს შალონელებმა და წლეულს ყველაზე მძიმე მარცხიც იწვნიეს.

ამ ტურში ანგარიშში უფრო დიდი სხვაობა დიჟონში დაფიქსირდა, სადაც პრო A-ს დებიუტანტი „ბურგი“ სტუმრობდა. ალენ ტინეს შეგირდებმა თავიდანვე 11:0 გაუშვეს წინ მასპინძლები და მერე რაღას დაეწეოდნენ. მოულოდნელად წაგო დედაქალაქურმა „რასინგმა“, რომელმაც „გრაველინის“ ბაღლებს — ალექსანდერსა და სტრონგს (ერთად 34 ქულა) ვერაფერი დაუპირისპირა.

გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე „შოლეს“ მძლეველი „პო ორტეზი“ მოკალათდა. მის თამაშს ამერიკიდან საფრანგეთში სამკურნალოდ ჩამოსული რუმინელი გოლიათი გეორგე მურეშანიც (230სმ) დაესწრო. „ნიუ ჯერსის“ ცენტრი ადრე პოლთა ღირსებას იცავდა და „პალე დე სპორში“ მის გამოჩენას ქომაგები ოვაციით შეხვდნენ. თავიდან სტუმრები კი დაწინაურდნენ, მაგრამ მე-10 წუთზე მასპინძლები 23:18-ს იგებდნენ. აქ ისინი მოდუნდნენ და „შოლემ“ სამი წუთის 8:0 მოგების შემდეგ სამქულიანი უპირატესობა მიიპოვა. თუმცა იმ დღეს „პო ორტეზი“ გაცილებით უკეთ ირჯებოდა და საბოლოოდ იოლადაც გაიმარჯვა.

გაიოზ თალაქვაძე

ვილერბანი	6	6	0	473:390	12
ლე მანი	6	6	0	543:492	12
დიჟონი	6	4	2	500:426	10
ნანსი	6	4	2	497:450	10
რასინგი	6	4	2	467:445	10
პო ორტეზი	6	4	2	495:483	10
შალონი	6	4	2	454:451	10
შოლე	6	3	3	461:448	9
ანტიბი	6	3	3	484:489	9
სტრასბური	6	2	4	458:428	8
გრაველინი	6	2	4	484:501	8
ბეზანსონი	6	2	4	474:510	8
ლე ავრი	6	2	4	413:482	8
ევრე	6	1	5	502:539	7
მონპელიე	6	1	5	476:553	7
ბურგი	6	6	0	444:436	6



პო ორტეზი — შოლე. მატჩის წინ პოელი როჯერ ესტელერი (№9) გეორგე მურეშანს მიესალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთი

გამოჩენა დაფარებით

VI ტური

ანტბირლიკი — ქომბასანი 80:96, ალთაი — ქარშიაქა 77:75, დარუშაფაკა — ფენერბაჰჩე 69:66, ბეშიქთაში — გალათასარაი 82:60, ბუიუქ კოლეჯი — ტელეკომი 78:89, ეფესი — ტროი 91:74

ულქერი 90:75 მაჩიდენოსი

ულქერი: ერდოგანი (9), ჰენდლოტენი (18), ფაჩულია (2), გოლიოვიჩი (14), ერდენი (21), ტიულერი (2), გონლუმი, ილდირიმი (12), სარიჯა (12)

მაიდენოსი: მემისოღლუ, ჩელიკი, მესჯიდილი, ტაშინარი (10), კლაიდი (10), თასსოზი (9), იაგოდნიკი (25), რობინსონი (19), გულაი (2)

საქართველოს ნაკრებისა და სტამბოლის „ულქერის“ 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ ამ სეზონში პირველად ითამაშა თურქეთის ჩემპიონატში. მისი დებიუტი ანკარის „მაიდენოსის“ წინააღმდეგ შედგა. ზაზამ სამი წუთი ითამაშა, ერთხელ ესროლა საშუალო მანძილიდან და ჩააგდო, ერთიც დაფარება მიითვალა. ულქერელთა შორის საუკეთესო იყო ამერიკელი ცენტრი ბენჯამინ ჰენდლოგტენი, რომელმაც 18 ქულას 13 მოხსნაც დაურთო.

ამიერიდან თურქეთის ჩემპიონატში დაუმარცხებელი არავინაა. ლიდერმა, სტამბოლის „ფენერჰაჩემ“ თანაქალაქელ „დარუშაფაკასთან“ წააგო და სატურნირო ცხრილში პირველმა დაუთმო. იგივე რაოდენობის ქულები აქვთ „ულქერს“ და „ეფესს“. ამ უკანასკნელმა იოლად სძლია იზმირის „ტროის“, ხოლო მისმა ხორვატმა გამთამაშებელმა დამირ მულაომეროვიჩმა 20 ქულა გააკეთა.

თურქეთის ჩემპიონატის მომდევნო, მეშვიდე ტური 2 დეკემბერს გაიმართება. „ულქერი“ იზმირში „ალთაის“ ესტუმრება. მანამდე კი თურქეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. თურგაი დემირელმა, რომელიც ფედერაციას 1992 წლიდან თავკაცობს, პოსტი შეინარჩუნა. მან 77 ხმით აჯობა მეორე კანდიდატს, ნურ დანიშმენდს.

დარუშაფაკა	6	5	1	503:443	11
ფენერბაჰჩე	6	5	1	508:463	11
ეფესი	6	5	1	478:445	11
ულქერი	6	5	1	498:424	11
ბეშიქთაში	6	4	2	510:457	10
ტელეკომი	6	3	3	501:452	9
ტროი	6	3	3	497:491	9
ქომბასანი	6	3	3	450:499	9
ანტბირლიკი	6	2	4	443:549	8
ალთაი	6	2	4	465:508	8
ქარშიაქა	6	2	4	509:527	8
მაიდენოსი	6	2	4	470:494	8
გალათასარაი	6	1	5	445:495	7
ბუიუქ კოლეჯი	6	0	6	465:495	6

ესპანეთი

VI ტური

ფორუმი — ტაუ 78:90, ესტუდიანტესი — პამესა 84:79, ბრეოგანი — კოსტა-ბლანკა 95:82, ორენსე — ფუენლაბრადა 83:94, ბარსელონა — კანარიასი 105:83, ხიხონი — რეალი 66:79, ხუვენტუდი — კანტაბრია 82:62, კასერესი — უნიკახა 92:98, ხირონა — კახა სან ფერნანდო 90:69

უნიკახა	6	5	1	558:460	11
პამესა	6	5	1	503:456	11
ბრეოგანი	6	4	2	505:493	10
ბარსელონა	5	4	1	478:409	9
ფუენლაბრადა	5	4	1	437:376	9
ესტუდიანტესი	5	4	1	439:416	9
ხუვენტუდი	6	3	3	478:486	9
ტაუ	5	3	2	436:416	8
რეალი	5	3	2	399:383	8
ხირონა	6	2	4	474:488	8
ფორუმი	6	2	4	505:526	8
ორენსე	6	2	4	468:489	8
კასერესი	6	2	4	446:476	8
სან ფერნანდო	6	2	4	462:493	8
კანარიასი	6	2	4	449:510	8
კანტაბრია	6	2	4	439:509	8
კოსტაბლანკა	6	1	5	449:511	7
ხიხონი	5	1	4	379:407	6

საბერძნეთი

მშვიდობას და მეგობრობას ცხრა ნახვრეტი გაუჩნდა

TELEBASKET

პანიონიოსი — პაოკ. თეოდოროს პაპალუკასი (ბურთით) და პაოკელი ჯოზეფ ბლერი

V ტური

მილონი — აეკ 82:104, პანიონიოსი — პაოკ 77:69, პერისტერი — ნიარ ისტი 76:71, პანათინაიკოსი — დაფნი 78:74, არისი — მარუსი 90:83, ირაკლიონი — მაკედონიკოსი 103:91

ოლიმპიაკოსი — ირაკლისი გადადო

გსმენიათ, კალათბურთის მატჩის გადადების მიზეზი წვიმა ყოფილიყოს? დღევანდელობას ვგულისხმობთ, თორემ ადრე კალათბურთს ღია ცის ქვეშ თამაშობდნენ და წვიმა მაშინაც მოდიოდა. საოცარია, მაგრამ კვირას წვიმამ მატჩი ჩაშალა. თანაც სად — პირეოსში, ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და კომფორტულ „მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეში“.

იმ დღეს პირეოსში წვიმდა. ადგილობრივი „ოლიმპიაკოსის“ და სალონიკის „ირაკლისის“ კალათბურთელებმა თავი „მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეს“ შეაფარეს და მალე მის მოედანზე გასახურებლად გამოვიდნენ. იატაკი ერთიანად დასველებულიყო, ხოლო მოთამაშეებს ფეხი უსრიალებდათ. მათ დარბაზის მოხელეებს მიმართეს, ისინიც ჭერში აძვრნენ და აღმოაჩინეს, რომ ნაგებობის სახურავს ცხრა ადგილას დიდი ნახვრეტი გასჩენოდა, საიდანაც წვიმა ჩამოდიოდა. სახელდახელო შეკეთება ვერ მოხერხდა, ამიტომ მატჩი გადაიდო. ვარაუდობდნენ, რომ შეხვედრა მეორე დღეს, ორშაბათს გაიმართებოდა, მაგრამ მოტყუვდნენ. იმ დილით საბერძნეთის ნაკრებმა ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადება დაიწყო. გუნდების ბერძენი მოთამაშეებიც იქ წავიდნენ. გარდა ამისა, „ოლიმპიაკოსშიც“ და „ირაკლისშიც“ მრავლად არიან უცხოელები, რომლებსაც იგივე მატჩებისთვის თავ-თავიანთი ქვეყნების ნაკრების შეკრებაზე მიეჩქარებოდათ. ასე რომ, „ოლიმპიაკოსი“ — „ირაკლისი“ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

სხვა მატჩები კი დაუბრკოლებლივ გაიმართა. აღსანიშნავია ათენის აეკ-ის ზედიზედ მეხუთე მოგება. იუგოსლავიელი მილან გუროვიჩის 20 ქულას ესტონელმა მარტინ მიუურსეპმა 16 წამატა და დედაქალაქელებმა შანსი არ დაუტოვეს ლიგის დებიუტანტ „მილონს“.

ძალიან გაუჭირდა ჩემპიონ „პანათინაიკოსს“. „დაფნის“ წინააღმდეგ მას არ ჰყავდა ყელკო რებრაჩა, ფრაგისკოს ალვერტისი, იორგოს ბალოიანისი და ოდედ კატაში — ყველა ტრავმირებულია. მეორე ტაიმის მესამე წუთზე „პანათინაიკოსი“ 39:52 აგებდა. მოგვიანებით იუგოსლავიელმა დეიან ბოდიროგამ სამი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო იტალიელმა ნანდო ჯენტილემ ბოლო წუთზე ზედიზედ ოთხი საჯარიმო გამოიყენა და ფავორიტი აუტსაიდერთან სამარცხვინო წაგებისგან იხსნა. მატჩის დამთავრებამდე 16 წუთით ადრე მსაჯმა ნიკოს კარუცისმა ფეხი ამოიბრუნა და მუშაობის გაგრძელება ვეღარ მოახერხა. შეხვედრაც უცნაურად, ერთი არბიტრით დასრულდა.

აეკ	5	5	0	448:366	10
პანათინაიკოსი	5	1	4	416:361	9
ოლიპიაკოსი	4	4	0	357:308	8
პერისტერი	4	4	0	324:296	8
პანიონიოსი	5	3	2	439:417	8
პაოკ	5	2	3	350:365	7
მილონი	5	2	3	453:494	7
ირაკლისი	4	2	2	346:328	6
ირაკლიონი	4	2	2	347:350	6
არისი	4	2	2	339:355	6
მარუსი	4	1	3	340:361	5
ნიარ ისტი	5	0	5	379:424	5
დაფნი	4	0	4	306:352	4
მაკედონიკოსი	4	0	4	336:403	4

სლოვენია

ასპროცენტიანი ცქიტიშვილი

IX ტური

ტრიგლავი — როგლა 72:71, კემოპლასტი — ლიკა კავა 95:77, კრაშკი ზიდარი — პივოვარნა 92:77, ჰელიოსი — კრკა 70:82, ოლიმპია — ზაგორიე 91:57

სავინსკი 74:97 სლოვანი

სავინსკი: კობალე, ნიუტონი (11), რუჩიკი (17), სიმიჩი (8), მეისონი (2), ბელინა (9), ჩმერი (13), გორიუბი (6), ციზეი (8)

სლოვანი: ნოვაკი (4), ლაკოვიჩი (17), ფაკელი (3), გრბუშიჩი (16), ჯურკოვიჩი (10), პავიჩი (19), მარავიჩი (10), კოკალი (7), **ცქიტიშვილი (11)**

ლიუბლიანის „სლოვანი“ პოლზელაში, „სავინსკისთან“ სათამაშოდ შეთხელებული შემადგენლობით და წარმატების მცირე შანსით გაემგზავრა. გუნდს სამი ტრავმირებული წამყვანი მოთამაშე აკლდა — ვლადიმერ ბოისა, დავით უგრეხელიძე და ბოიან კოვაჩი. მიუხედავად ამისა, ლიუბლიანელებმა გუნდური თამაშის შესანიშნავი მაგალითი წარმოადგინეს, მასპინძლები პირწმინდად დაჩაგრეს და, ცხადია, გაიმარჯვეს.

„სლოვანი“ თავიდანვე დაწინაურდა და მეტოქისთვის ინიციატივა წუთიათაც არ დაუთმია. ეს დაცვაში კარგმა თამაშმა და ფარის დაპყრობამ განაპირობა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სმილიან პავიჩმა (10 მოხსნა) და ნიკა ცქიტიშვილმა (8 მოხსნა). სლოვანელთა ეულად დარჩენილმა ქართველმა 25 წუთი ითამაშა და მატჩი ასპროცენტიანი მაჩვენებლებით დაასრულა: ოთხიდან ოთხი ორქულიანი და ერთიდან ერთი სამქულიანი ჩააგდო.

სლოვენიის ნაკრები ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობს და ამიტომ ქვეყნის ჩემპიონატში 2 დეკემბრამდე შესვენებაა. ამ დღეს „სლოვანი“ „ზაგორიეს“ ესტუმრება. იქამდე დაშავებულ ქართველ ლეგიონერებს ტრავმების მოშუშების საშუალება მიეცემათ. უგრეხელიძეს, მოგეხსენებათ, კოჭი ამოუბრუნდა და ფიზიოთერაპიითაა დაკავებული. გუშინ პირველად ივარჯიშა, მაგრამ მცირე დატვირთვით. უფრო რთულადაა ბოისას საქმე: მარცხენა მუხლი კვლავ აწუხებს, ექიმებს კი საბოლოოდ ჯერ არ უთქვამთ, საოპერაციოა თუ არა. პასუხის მოლოდინში ვლადიმერი დარბაზში მაინც მიდის, ოღონდ მხოლოდ სროლაში ვარჯიშობს: ტკივილის გამო სირბილი და მოედანზე სწრაფი გადაადგილება არ შეუძლია.

კრკა	9	9	0	809:669	18
ოლიმპია	9	8	1	825:590	17
სლოვანი	9	6	3	732:681	15
კრაშკი ზიდარი	9	6	3	700:711	15
პივოვარნა	9	5	4	788:714	14
სავინსკი	9	4	5	726:796	13
კემოპლასტი	9	3	6	784:757	12
ტრიგლავი	9	3	6	689:726	12
ჰელიოსი	9	3	6	723:784	12
როგლა	9	3	6	688:772	12
ზაგორიე	9	2	7	664:793	11
ლიკა კავა	9	2	7	673:808	11

იტალია

VI ტური

ტრიესტი — სკავოლინი 94:87, აეროპორტი — სიენა 83:85, კორდივარი — ბენეტონი 89:76, აველინო — კინდერი 82:94, ფორტიტუდო — იმოლა 101:52, მიულერი — მონტეკატინი 82:84, ადეკო — სნაიდერო 87:84, რიმინი — ვარეზე 90:86, კანტუ — რეჯანა 81:83

ფორტიტუდო	6	6	0	508:388	12
კინდერი	6	5	1	528:455	11
კორდივარი	6	5	1	506:469	11
ბენეტონი	6	4	2	498:448	10
მონტეკატინი	6	4	2	510:498	10
რიმინი	6	4	2	501:517	10
სიენა	6	4	2	465:483	10
სკავოლინი	6	3	3	534:483	9
მიულერი	6	3	3	557:550	9
აეროპორტი	6	3	3	498:510	9
რეჯანა	6	3	3	514:531	9
აველინო	6	2	4	502:503	8
სნაიდერო	6	2	4	503:515	8
ტრიესტი	6	2	4	476:497	8
იმოლა	6	2	4	483:565	8
ვარეზე	6	1	5	514:546	7
ადეკო	6	1	5	441:526	7
კანტუ	6	0	6	477:531	6

გერმანული ფირმის OTTO

OTTO SCHWAB VERSAND

ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ

კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან

მისამართი: აღმაშენებლის 172 (გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 95 17 95; 8 77 45 97 29
გმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე

www.otto.de

იყიდება
ბილიარდის მაგიდა
(1.50×2.80)
ძარგ მდგომარეობაში

☎ 95 00 66 (16 საათის შემდეგ)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს, 23 ნოემბერს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

		ინგლისი. II დივიზიონი			
		22 ნოემბერი			
23.45	005	როვერსი-მილუოლი	2,5	3,0	2,5
23.45	006	სტოკი-ბრენტფორდი	1,6	3,3	5,3
		ინგლისი. III დივიზიონი			
		22 ნოემბერი			
23.45	008	კარდიფი-ლინკოლნი	1,5	3,5	6,0
		იტალია. სერია B			
		23 ნოემბერი			
23.45	009	ჯენოა-ტორინო	2,2	2,6	3,5
		ჩეხეთი			
		22 ნოემბერი			
16.30	010	სინოტი-სპარტა	4,4	3,2	1,65
		დანია. თასის 1/8 ფინალი			
		22 ნოემბერი			
22.00	011	ვიბორგი-ოდენსე	2,0	3,2	3,3
		პოლონეთი. თასის 1/8 ფინალი			
		22 ნოემბერი			
15.00	012	ოდრა-პოლონია	3,5	3,5	1,5
15.00	013	შლიონსკი-ლეგია	3,1	3,0	2,2
15.00	014	პლოცკი-რაძიონკოვი	1,9	3,1	3,6
		ჩემპიონთა ლიგა. 1-ლი ტური			
		22 ნოემბერი			
21.00	505	სპარტაკი-არსენალი	2,5	3,0	2,5
23.45	506	ბაიერნი-ლიონი	1,35	4,0	7,5
23.45	507	ანდერლეხტი-ლაციო	3,5	3,0	2,0
23.45	508	ლიდსი-რეალი	2,5	2,9	2,6
		უეფას თასი. 1-ლი მატჩები			
		23 ნოემბერი			
19.30	510	ლოკომოტივი-რაიო ვალეკანო	2,1	3,0	3,2
20.30	511	ოსიეკი-სლავია	2,0	3,0	3,5
20.30	512	პარმა-მიუნხენ 1860	1,45	3,5	7,0
21.30	513	შახტარი-სელტა	2,5	3,0	2,5
22.15	514	ლევერკუზენი-აეკ	1,35	4,0	7,5
22.15	515	ნანტი-ლოზანა	1,35	4,0	7,5
22.30	516	პსვ-პაოკ	1,45	3,5	7,0
23.00	517	ფეიენოორდი-შტუტგარტი	1,8	3,1	4,0
23.15	518	ოლიმპიაკოსი-ლივერპული	2,5	3,0	2,5
23.30	519	ალავესი-რუსენბორგი	1,6	3,4	4,7
23.30	520	ბრიუგე-ბარსელონა	2,9	3,0	2,2
23.45	521	რომა-ჰამბურგი	1,4	3,8	7,0
24.00	522	ბორდო-ვერდერი	1,8	3,0	4,2
00.15	523	ესპანიოლი-პორტუ	1,9	2,9	4,0
		უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა			
		23 ნოემბერი			
19.30	702	ლოკომოტივი -2,8	რ.ვალეკანო		-1,25
20.30	703	ოსიეკი -2,3	სლავია		-1,35
20.30	704	პარმა -1,15	მიუნხენ 1860		-4,0
21.30	705	შახტარი -7,5	სელტა		-1,05
22.15	706	ლევერკუზენი -1,2	აეკ		-3,5
22.15	707	ნანტი -1,2	ლოზანა		-3,5
22.30	708	პსვ -1,25	პაოკ		-3,1
23.00	709	ფეიენოორდი -1,9	შტუტგარტი		-1,55
23.15	710	ოლიმპიაკოსი -5,0	ლივერპული		-1,1
23.30	711	ალავესი -1,3	რუსენბორგი		-2,5
23.30	712	ბრიუგე -5,0	ბარსელონა		-1,1
23.45	713	რომა -1,15	ჰამბურგი		-4,0
24.00	714	ბორდო -1,7	ვერდერი		-1,7
00.15	715	ესპანიოლი -1,7	პორტუ		-1,7
		კალათბურთი			
		22 ნოემბერი			
04.00	807	ბოსტონი-ჰიუსტონი	1,5	12,0	2,0
04.30	808	ატლანტა-ნიუ იორკი	3,1	12,0	1,25
04.30	809	შარლოტი-ფილადელფია	2,0	12,0	1,5
04.30	810	მაიამი-კლივლენდი	1,35	12,0	2,5
05.00	811	მილუოკი-პორტლენდი	2,0	12,0	1,5
05.00	812	მინესოტა-ვანკუვერი	1,15	12,0	4,0
05.30	813	სან ანტონიო-სიეტლი	1,1	12,0	5,0
06.00	814	ფინიქსი-ნიუ ჯერსი	1,1	12,0	5,0
06.00	815	იუტა-დენვერი	1,1	12,0	5,0
07.30	816	ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი	1,05	12,0	7,5
07.30	817	საკრამენტო-ჩიკაგო	1,05	12,0	7,5
		23 ნოემბერი			
05.00	818	ინდიანა-ტორონტო	1,35	12,0	2,5
		22 ნოემბერი			
04.00	906	ბუფალო-ფილადელფია	1,8	4,0	2,4
04.00	907	ვაშინგტონი-ვანკუვერი	2,1	4,0	2,1
04.30	908	ტორონტო-ედმონტონი	1,6	4,0	2,9
04.30	909	აილენდერსი-რეინჯერსი	2,1	4,0	2,1
04.30	910	პიტსბურგი-კაროლინა	1,5	4,0	3,2
04.30	911	ტამპა ბეი-ატლანტა	1,9	4,0	2,3
04.30	912	დეტროიტი-ბოსტონი	1,4	4,0	3,8
05.00	913	ნეშვილი-დალასი	2,3	4,0	1,9
05.00	914	მინესოტა-კალგარი	2,0	4,0	2,2
06.00	915	კოლორადო-კოლუმბუსი	1,3	4,0	5,0
07.30	916	ანაჰაიმი-ნიუ ჯერსი	2,3	4,0	1,9
07.30	917	სან ხოსე-ჩიკაგო	1,5	4,0	3,2
		23 ნოემბერი			
04.00	918	ოტავა-ედმონტონი	1,7	4,0	2,6
04.00	919	ატლანტა-მონრეალი	1,8	4,0	2,4
05.30	920	ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი	1,9	4,0	2,3

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდებიანი ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ქუთაისში

ამუშავდა «კროკოს» განახლებული ბიურო ძველ მისამართზე

პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

ბათუმში

კვლავ გაიხსნა «კროკოს» ბიურო ახალ მისამართზე:

მეგელ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

რა შნდა ქნას ოცნებაწართმეულმა კაცმა?

ისევ იოცნებოს. კურტანიძე ათენშიც ოქროსთვის ფაფა

...თბილისის აეროპორტი ოლიმპიელთა მეორე ჯგუფის დასახვედრად ემზადებოდა. იქაურობა სისხამ დილიდან მომლოდინე ხალხს აევსო. მოუთმენლად შესცქეროდნენ ტაბლოს და თვალს მალიმალ გამოსასვლელისკენ აპარებდნენ. როგორც იქნა, თვითმფრინავიც დაეშვა. ცოტა დრო აუცილებელ ფორმალობათა მოგვარებამ წაიღო და ოლიმპიელებიც გამოჩნდნენ. ელდარ კურტანიძე ძირითადი ჯგუფის შუაში მოქცეულიყო. თითქოს წელგამართული და თავაწეული მოაბიჯებდა, მაგრამ დაღვრემილი სახე და ლამის აცრემლებული თვალები სასოწარკვეთილებას და იმედგაცრუებას გამოხატავდა. არც იყო გასაკვირი — მას ხომ საგიდ მურთაზალიევმა ჭიდაობაში მიუღებელი ხერხებით და მსაჯების აშკარა მიკერძოებით გადაულობა ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა. მურთაზალიევის უღირსი საქციელის კვალი ჩაწითლებულ მარჯვენა თვალზე ეტყობოდა, ელდარის დასისხლიანებული სახე კი მთელმა მსოფლიომ ნახა. ამ კადრებმა მსაჯების გარდა ყველა აღაშფოთა. მათი უბასუხისმგებლობა რომ არა, ჩვენებური ალბათ ამ ბარიერსაც დაძლევდა — ლეკი ფალავანი ხომ მისთვის ყოველთვის დაბალი ღობე იყო (ყველა შეხვედრაში დაემარცხებინა). სწორედ ამიტომ კურტანიძეს მეზობლებმა ქუჩაზე ტრანსპარანტი დაახვედრეს — ელდარ, შენს ბრინჯაოს ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს.

— დრო ყველაფრის მკურნალია — ამბობს ელდარი — ცოტა შენელდა ის ტკივილი, რომელიც ჩემთან ერთად ჩემს გულშემატკივრებსაც მიაყენეს. ეს ზოგება რომ არ წაერთმიათ, მჯერა, საქართველოს ნანატრ ოლიმპიურ ოქროს მედალს მოვუტანდი. დღეს უფრო იოლია იმაზე ფიქრი, რისი გაკეთება შეიძლებოდა და რისი — არა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული ფედერაციაზეც, თუმც დღეს ისიც ისეთ მდგომარეობაშია, სასაყვედუროდ ენა როგორ მომბრუნდება. როცა მთლიანად სპორტში არ არის შემუშავებული სწორი სტრატეგია, კონკრეტულ ფედერაციას ბევრს ვერც მოსთხოვ. ალბათ უფრო მაინც ჩემი ბრალია, თავი ვერ მოვთოკე. ემოციებს არ უნდა ავყოლოდი და არ უნდა მენერვიულა. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად მაკლდა მომზადება. ეს რომ არა, ყველა უკანონობის მიუხედავად, მაინც მოვიგებდი. აი, ასეთი მიზეზი მოვუძებნე ამ წაგებას. ძალიან მწყდება გული... მეც და ჩემმა მწვრთნელმა შოთა კიკაბიძემაც იმდენი ვიშრომეთ... სამწუხაროდ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა.— ფსიქოლოგიურ მომენტზე კი ლაპარაკობთ, მაგრამ განა მოულოდნელი იყო მსაჯთა საქციელი? ასე რამდენჯერ გაუკეთებიათ თქვენთვის ან თქვენი თანაგუნდელებისთვის. იქნებ ან სხვა რამ მიზეზიც იყო. მით უფრო, ბოლო ორი წელიწადი ჩავარდნა გქონდათ.

— ჩავარდნა ყველა სპორტსმენის კარიერაშია. ეს ჩვეულებრივი ამბავია და არ უნდა გაგვიკვირდეს. სპორტში ყველაფერი ხდება. ამ ოლიმპიადაზე სჩემპიონოდ ვიყავი მომზადებული ყველა ასპექტში — ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც, რაც მთლიანად ვეტერანი წყალბურთელის — ნოდარ კურტანიძის დამსახურებაა. ბოლო ექვს თვეში მან ყველანაირი პირობა შემიქმნა მოსამზადებლად და მოსკოვიდან ჩემი მწვრთნელი შოთა კიკაბიძეც ჩამოიყვანა, რომელიც იქ ცსკა-ში მუშაობს. მან მომიწყო რამდენიმე შეკრება, დამაფინანსა კრასნოიარსკისა და კალინინგრადის საერთაშორისო ტურნირებზე. არც ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის დეპარტამენტის ამაგის დავიწყება შეიძლება. სწორედ მათი დახმარებით მოვიპოვე ეს მედალი, რითაც გავაჩუმე ოპონენტები, რომლებიც გამუდმებით ამტკიცებდნენ, კურტანიძის მატარებელმა უკვე ჩაიარაო, თუმც ვიმეორებ, სიდნეიში მეტიც შემეძლო.

იმ ჩავარდნას რაც შეეხება, მაშინ საქართველოში გაუსაძლისი პირობები იყო. როგორც გვამზადებდნენ, შედეგებიც ისეთი გვქონდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, სამედიცინო შემოწმება არ გვიტარდებოდა და 1998 წლის მსოფლიოს პირველობაზე ავადმყოფი მაჭიდავეს. მართალია, გუნდში ექიმი გვყავდა, მაგრამ მე კომპლექსურ გამოკვლევაზე ვლაპარაკობ, როცა სპორტსმენი ყოველმხრივ მოწმდება, თორემ მარტო პულსის გასინჯვა საქმეს ვერ შველის. ოლიმპიადამდე ექვსი თვით ადრე სწორედ ასეთი საჭირო პირობები შეგვიქმნეს — იყო ფინანსები, სამედიცინო გამოკვლევები და ოლიმპიადაზე მოპოვებული ეს ექვსი ბრინჯაოს მედალიც ამის შედეგია. ახლა წარმოვიდგინოთ, ასეთი პირობები ოთხი წელიწადი რომ გვქონოდა, სიდნეიში რამდენად უკეთესი შედეგები გვექნებოდა. მომავალშიც თუ ისე მოგვამზადებენ, როგორც იმ ექვს თვეში, მაშინ ათენიდან ოლიმპიური ოქროს მედლით დავბრუნდები. ეს ყველას უნდა სჯეროდეს, ოღონდ საჭიროა ხელშეწყობა. საამისოდ კი ოჯახში უნდა მოგვარდეს ურთიერთობა. ახლა ფედერაციაში არჩევნებია ჩასატარებელი, მაგრამ უნდათ, ყველაფერი ჩაფარცხონ და ისევ ძველი ხელმძღვანელობა დარჩეს. მე დიდ პატივს ვცემ მის ახლანდელ პრეზიდენტს, როგორც სპორტსმენს და პიროვნებას, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევ შემადგენლობის შეცვლას. არჩევნები ფედერაციაში აუცილებლად ჩატარდება.

ეს გარდაუვალია და მე ოლიმპიელთა სახელით პრეზიდენტის პოსტზე გოჩა ძახოზოვის კანდიდატურას დავასახელებ. მას დღემდეც ბევრი გაუკეთებია ქართული ჭიდაობისთვის და ახლაც კონკრეტული პროგრამით მოდის. გვჯერა, მისი მოსვლა საერთო საქმეს წაადგება.

— კი თქვით, რომ ამას სიტუაციიდან გამომდინარე ამბობთ, მაგრამ პიროვნული მომენტიც ხომ არ არის?

— არავითარი პიროვნული. დავით გობეჯიშვილთან არანაირი უთანხმოება არა მაქვს. უკვე გითხარით, რომ მას დიდ პატივსაც ვცემ როგორც სპორტსმენს, როგორც პიროვნებას და მისი გულისთვის, რომ იტყვიან, წყალშიც ჩავდგები. მაგრამ ვნახოთ, რა გაკეთდა მისი პრეზიდენტობისას დარბაზისთვის, რეგიონებში ჭიდაობის განვითარებისთვის, სპორტსმენებისთვის... ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, რაც ჩვენს ჭიდაობას არც ეკუთვნის და არც ეპატიება, რადგან ყველაზე მეტი მედალიც მოუპოვებია ოლიმპიადებზე და ყველაზე დიდი სიხარულიც მოუტანია ქომაგებისთვის. როცა არჩევანის საშუალება არის, რატომ არ უნდა გამოიყენონ?

— ელდარ, მინდა ამ ზოგადი საუბრიდან ისევ კონკრეტულს — საგიდ მურთაზალიევთან შეხვედრას მივუბრუნდეთ, რომელსაც ადრე ყოველთვის ამარცხებდით.

— ადრე რვა შეხვედრიდან ყველა მოვუგე. ამიტომ ეს ჩემი კარიერის ყველაზე დიდი მარცხია. რუსებს ამ ბინძური ხერხების გარდა სხვა გზა არც დარჩენოდათ. ბედის ირონიაა, რომ ისევ ქართველების — დიმიტრი მინდიაშვილისა და მიხეილ მამიაშვილის ხელით გავიწირე. ერთი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მეორე — ფედერაციის პრეზიდენტი. თუმც მათაც ის გააკეთეს, რაც ქვეყანამ დაავალა. ამაში არ ვამტყუნებ.

— მურთაზალიევის უნამუსობა და თქვენი დასისხლიანებული სახე მთელმა მსოფლიომ ნახა. რატომ არ გაგაპროტესტეთ შედეგი, ფაქტი ხომ სახეზე იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?

— რატომ არ გაპროტესტდა, ეს მეც მაინტერესებს. როცა სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მე მჭიმავდნენ და მირჩევდნენ შედეგის გასაჩივრებას, მეც ვკითხულობ — რატომ არ გაპროტესტდა?

— თქვენ მოითხოვეთ ეს?

— მაშინ ფსიქოლოგიურად ისე განადგურებული ვიყავი, ამის თავი არც მქონდა. ეს კითხვა მოგვიანებით გამიჩნდა, როცა ცოტათი დავწყნარდი. როცა სხვებს ჩაგრავენ, სპორტსმენს კი არ შეაქვს პროტესტი, მათ საამისოდ საგანგებოდ ჰყავთ ხალხი. ჩვენებმა რომ ეს არ გააკეთეს, ვის დავაბრალო, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ხალიჩაზე ცხოვრებისეული მიზანი, ოცნება წამართვეს. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო და განწირულის შეგრძნებაც დამეუფლა.

— ალბათ ამიტომ, თბილისში რომ ჩამოხვედით და გნახეთ, ისეთი სახე გქონდათ, ვიფიქრე, მარტო რომ დარჩეს, ალბათ, იტირებს-მეთქი.

— ასეა. აეროპორტში ჩემთვის მოულოდნელად ისეთი თბილი, არაჩვეულებრივი დახვედრა მოგვიწყვეს, ამ მარცხის ტკივილი უფრო გამიმძაფრდა. ეს თანაგრძნობის დახვედრა იყო. არადა, შეიძლებოდა, როგორც ჩემპიონს, ისე შემხვედროდნენ. ამის გაფიქრებამ ისე იმოქმედა, აეროპორტს სხვა კარი რომ ჰქონოდა, სიამოვნებით გავიპარებოდი. შინ მივედი და ჩემს ქუჩაზე პლაკატი დამხვდა გაკრული — ელდარ, შენს ბრინჯაოს ჩვენთვის ოქროს ფასი აქვსო, რომელიც მეზობლებს გაეკეთებინათ. ვაუკაცი ვარ, მაგრამ ამის დანახვაზე ცრემლები ვერ შევიკავე. ოჯახში კიდევ ჩემმა ბიჭმა მანუგეშა, მამიკო, ეს რა გიქნესო. ისე თბილად შემხვდნენ, ამას ნამდვილად არ ველოდი. თუმც ყველაფერმა ამან უფრო გამიმძაფრა სინანული ჩემპიონობის დაკარგვის გამო, თუმცა საიმისო სტიმულიც მომცა, რომ ათენში ოქროს მედალი ამ ხალხისთვის მოვიპოვო. ეს ჩემი კარიერის გვირგვინი და ოცნებების ახდენა იქნება.

— დაჯილდოების ცერემონიალზე მეტოქეს ხელი არ ჩამოართვით. იქნებ სჯობდა, პროტესტი უფრო მწვავე ფორმით გამოგეხატათ.

— ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შემეძლო. ამით ყველას დავანახვე, რა ულირსი მოწინააღმდეგე მყავდა, რომელსაც სპორტსმენის გარდა ყველაფერი შეიძლება ეწოდოს. თავს უფლება არ მივეცი, ოლიმპიური იდეალების შეურაცხმყოფელი საქციელი ჩამედინა. ან შეხვედრისას რომ ხელი გამერტყა, საერთოდ მომხსნიდნენ.

— მურთაზალიევთან შეხვედრას, გასაგები მიზეზით, წინ ვაყენებთ, მაგრამ თქვენ მანამდეც სახელოვანი მეტოქეები დაამარცხეთ.

— ხუთი შეხვედრიდან ოთხი ისეთ ფალავნებთან მქონდა, რომლებიც სხვადასხვა წლებში მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენ. წილისყრამ ნამდვილად არ გამიმართლა. თითქმის ყველა მოქმედი მსოფლიოს ექსჩემპიონი მე შემხვდა. მაგრამ ისე კარგად ვიყავი მომზადებული, არავისთან გამჭირვებია. მეოთხედფინალში ირანელი ალი რეზა ჰეიდარი რომ დავამარცხე, ხუმრობდნენ, კურტანიძეს ოფლი არც გამოდენიაო. მართალია, მას მხოლოდ 10 მოვუგე, მაგრამ მეტი არც მჭირდებოდა. ის ილეთი მაშინ გავუკეთე, როცა საჭირო იყო. როცა მოვისურვებდი, მაშინ გავუკეთებდი, მაგრამ თავი დავზოგე, რადგან რამდენიმე საათში მურთაზალიევთან მელოდა შეხვედრა.

— მურთაზალიევმა მერე თუ გნახათ?

— კი, მოვიდა. ჯერ ხომ ერთი ამბები იყო და როცა სიტუაცია შედარებით ჩაწყნარდა, მაშინღა მნახა და მითხრა, მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეო. მე ვუთხარი ბევრი მეტოქე მყავდა და კვლავაც მეყოლება, მაგრამ შენნაირ ულირსს არასდროს შევხვედრივარ, ფეხი რომ გადაგიბრუნდეს, ზედაც არ შემოგხედავ, ეს კარგად იცოდე-მეთქი.

— მერე რაო, რა გიპასუხათ?

— არაფერი. უბრალოდ, მითხრა, ეგეთები არ გვინდაო. ნაძირალა ხარ და იმიტომ გეუბნები ასე-მეთქი. მან მარტო ოქროს მედალი კი არა, მთელი ცხოვრების ოცნება და მიზანი წამართვა. ის პირად ცხოვრებაშიც ისეთია, როგორიც ხალიჩაზე. მასზე ლაპარაკიც არ ღირს. მე კი გეტყვით, რომ მტრის ჯინაზე და გულშემატკივართა გასახარად, სურვილს ათენში მაინც ავისრულებ.



სიდნეის ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გაბრაზებულმა ელდარ კურტანიძემ მისთვის მანამდე უსერხული მეტოქე პოლონელი მარეკ გარმულევიჩი იოლად დაამარცხა



ირაკლი თავაძე
ავთანდილ გურასაშვილის
ფოტოები

დათვები თუ ლოკომოტივაცია?

22 ოქტომბერი. თბილისი. ავლაბარი

საქართველოს თასის ფინალი

ლოკომოტივი 1 — დათვები

დღეს საქართველოს თასის ფინალში ბათუმის „დათვები“ და თბილისის „ლოკომოტივი 1“ შეებმებიან ერთმანეთს. თითქოს განგებამ ინება, რომ სწორედ მათ ებრძოლათ პირველობისთვის. კი მაგრამ, „სტუ-ყორნებიო“? — იკითხავთ. ცხადია, ფინალს ყოჩებიც დააშვენებდნენ, მაგრამ ზღვისპირელებმა მალხაზ ჭეიშვილის შეგირდები ნახევარფინალში გამოთიშეს გათამაშებას, ფინალურ მატჩს კი მხოლოდ ორი მონაწილე ჰყავს, ყველაზე გამორჩეული, ყველაზე ღირსეული.

დღეს თამაზ ფხაკაძის გუნდი თემურ ბენდიაშვილის საჩემპიონოდ გამზადებულ „ლოკომოტივ 1“-ს დაუპირისპირდება, ბათუმლები საქართველოს პირველი გუნდის წოდებას უკვე დაეშვიდობნენ, თასის მოგებით კი ასე თუ ისე ინუგეშებენ თავს. თავიდან იყო დიდი ამბიცია, სოლიდური და მყარი ფინანსური გარანტია, ახალი მთავარი მწვრთნელი და ახალი მორაგბეები, თითქოს ეს უნდა ყოფილიყო წარმატების საწინდარი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ზედიზედ მეორე ჩემპიონობისთვის „დათვები“ მზად არ იყვნენ და მხოლოდ თასისათვის ბრძოლას შემორჩნენ. თბილისელი რკინიგზელები სწორედ დღეს არიან ყველაზე უკეთეს ფორმაში. გუნდი ტრიუმფისთვის ემზადება, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, შარშანდელი ჩემპიონის წაქცევა არც ისე ადვილი საქმეა. თემურ ბენდიაშვილს ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა რა უნდა გაუჭირდეს, თანაც რკინიგზელებს რუსეთში გაჩემპიონებული ბობა კვინიხიძე და აჩიკო კობახიძე შეეშველებიან. „ლოკომოტივი 1“-ს თასის გარდა ჩემპიონობაც ამოუჭრია გულში და დღეს გაირკვევა, საბოლოო მიზანს სანახევროდ აისრულებს თუ...

მატჩის ბედს, ალბათ, ეგრეთ წოდებული საშემსრულებლო ოსტატობა გადაწყვეტს. არ მგონია, რაიმე უცხო და მოულოდნელი შესთავაზონ დღეს ერთმანეთს გუნდებმა. ის გაიმარჯვებს, ვისაც უკეთესი შემადგენლობა ეყოლება და უკეთ არის მომზადებული ფინალისთვის.

ბაჩო სვანიძე

ინგლისელებმა კაპიტანი მარტინ ჯონსონი აიტაცეს, ჯონსონმა კი ბურთი

ტიტუ! რა გაიტანა!

ტესტი

მარსელი, 18 ნოემბერი
60 000 მაყურებელი

საფრანგეთი	**42 (26)**
ახალი ზელანდია	**33 (24)**

საფრანგეთი: სადურნი, ბერნა-სალი, კომბა, რ. დურთი, გარბაჟოზა, ლამეზონი, გალტიე (კარბონო 73), მანი ფუიე, მონი (ბეტსენი 71), პელუ (კაპ.), ორადუ (ბრუზე 52), დე ვილიე, ლანდრო (აზაბი 80), მარკონე (კალიფანო 52)

3ლ — გარბაჟოზა (3), მანი (8), გალტიე (65), 3გ. და 5ს — ლამეზონი (11, 25, 27, 37, 73); 2ა — ლამეზონი (69, 80)

ახალი ზელანდია: კალენი, ჰოულეტი, უმაგა, გიბსონი, რეიშანა, მერთენსი, მარშალი, რობერტსონი, კრინი, ტორნი (რენდელი 50), მაქსველი (კელეჰერი 80), ბლეკედერი (კაპ.), სომერვილი (სლეიტერი 37), ოლივერი (ჰემეტი 79), ფიიკი

3ლ — მარშალი (14), ჰოულეტი (33), სლეიტერი (40); 3გ. და 4ს — მერთენსი (30, 41, 54, 78)

დროებითი შეცვლა: რ. დურთი — ბ. დურთი (31-36)

მსაჯი: კეპლენი (სამხრეთ აფრიკა)

„ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც მატჩის მნიშვნელობის ბრალია. ამ საბაზო შეცდომებმა კი ყველაფერი შეცვალეს. ძალიან მძიმე შეხვედრა იყო. ფრანგებმა მშვენიერი ლელოები გაიტანეს, წესებიც ბევრჯერ დაგვარღვევინეს და ჩვენზე გაცილებით ძლიერებადაც წარმოაჩინეს თავი“ — თქვა ახალზელანდიელთა კაპიტანმა ტოდ ბლეკედერმა.

„მატჩის ფაქტობრივად 17 ქულიანი ჩამორჩენით დაწყება დიდი ჰანდიკაპია. ბევრი შეცდომა გვქონდა, განსაკუთრებით შებოჭვებისას. ფრანგებმა ხისტად, ბრწყინვალედ ითამაშეს და გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ. მაყურებელიც დიდად დაეხმარათ. ერთი პირობა წინ გასვლაც შევძელით, მაგრამ ისინი უფრო ძლიერები იყვნენ, განსაკუთრებით მატჩის ბოლოს“ — მასპინძლების შექება არც „ოლ ბლექსის“ მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა დაიზარა. ახლა თავად მატჩის შესახებ, ბოლოს კი ფრანგთა თავკაცისა და კაპიტნის ნაუბარსაც გაგაცნობთ.

„ველოდრომზე“ შეკრებილი 60 ათასი ქომაგის გასახარად მასპინძლებმა ერთი კვირის წინ „სტად დე ფრანსზე“ განცდილი მარცხისთვის ულამაზესად აიღეს რევანში. მათ მთელი შეხვედრის მანძილზე აქცენტი შეტევაზე გააკეთეს და ასეთი გაბედულებისთვის შედეგიც შესაფერისი მიიღეს. „ლურჯებმა“ „შავების“ დაცვაში ნაპრალები მალე იპოვეს და პირველივე წუთებიდან დაიწყეს მათი ოსტატურად გამოყენება.

მე-3 წუთზე ლამეზონის დარტყმულ ბურთს მარცხენა ფრთაზე გარბაჟოზა დაეუფლა და წინ გაიჭრა. პატარა აბრაგანის შემდეგ ბურთთან პირველი ისევ ის იყო და კუნძულელებიც დაალელოვა. ხუთიოდ წუთში ღია შერკინებიდან ბურთი გალტიემ გამოიტანა და ოლივიე მანს მიაწოდა. მანმაც იოლად გაჭრა „შავების“ დაცვა და მეორე ლელო გაიტანა. კრისტოფ ლამეზონმა ორივეჯერ ზუსტად შეასრულა გარდასახვა, მე-11 წუთზე კი მეტოქის მიერ თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევის გამო დანიშნული საჯარიმოც გამოიყენა და საფრანგეთი 17:0 დაწინაურდა.

სამხრეთ ნახევარსფეროს მორაგბეებს, რა თქმა უნდა, ყურები არ ჩამოუყრიათ. მალე ენდრიუ მერთენსმა ლამეზონის აბრაგანის მერე დაიჭირა ბურთი და ჰოულეტს გადააწოდა. ამ უკანასკნელმაც აიწყვიტა, დაახლოებით 50 მეტრი ირბინა და ჯასტინ მარშალს იოლი ლელო გაატანინა. მერთენსმა ზუსტად გარდასახა.

ამას დამტყმელთა დასაქმება მოჰყვა. ლამეზონმა ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად, მერთენსმა ერთი და ანგარიში 23:10 გახდა. 32-ე წუთზე სტუმრებმა მარცხნიდან წამოიწყეს მორიგი იერიში. თავისი ნახევრიდან ბლეკედერმა ამოიტანა ბურთი, მერე მერთენსმა და გიბსონმა გააგრძელეს შეტევა, რომელიც ჰოულეტმა დააგვირგვინა. ამას ლამეზონმა კიდევ ერთი საჯარიმოთი უპასუხა, მაგრამ ზედ შესვენების წინ ანგარიშში სხვაობა ლამის მინიმუმამდე შემცირდა. სამმეოთხედელთა ცენტრში გადანაცვლებულმა ტანა უმაგამ სალელოე პასი მისცა თამაშში რამდენიმე წუთით ადრე ჩართულ გორდონ სლეიტერს და მანაც გარბაჟოზასა და კომბას წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო მიზნის მიღწევა. მერთენსმა ისევ გარდასახა ლელო და 26:24. „ჩვენ მათ ფიზიკურ ფორმამდე კიდევ ბევრი გვიკლია. მათ თითქმის ყოველთვის შეუძლიათ თამაშის შემობრუნება, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ქულით აგებენ“ — თქვა საფრანგეთის მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა.

თითქოს მისი სიტყვების დადასტურება უნდაო, მერთენსმა თავისიანები თამაშის განახლებისთანავე დააწინაურა. ათიოდ წუთის შემდეგ მანვე ერთი საჯარიმოც შეაგდო და 26:30. თუმცა ფრანგები არ შეშინებულან და ახლიდან დაიწყეს თითქმის მოპოვებული გამარჯვების შენება. ფაბიენ პელუს მიერ მოგებული მეტრების შემდეგ, „მამლები“ ბურთიან ფაბიენ გალტიეს ერთიანად მიაწვნენ და მას მეტოქის სალელოე მოედანზე ბურთის დადების შესაძლებლობა მისცეს. მერე ლამეზონს, ეტყობა, შარშანდელი მსოფლიოს თასის ნახევარფინალი გაახსენდა, როცა „შავებმა“ ძირითადად მისი არეკნების გამო წააგეს და 69-ე წუთზე „ტიტუმ“ თამაშიდან გაატარა ბურთი ახალი ზელანდიის ძელებს შორის. ამას მალე ერთი საჯარიმოც დაურთო და თავისიანები 39:30 დააწინაურა.

საფრანგეთის გამარჯვება ეჭვს თითქმის აღარ იწვევდა, მითუმეტეს, ინიციატივაც მის ხელთ იყო. რიშარ დურთსა და გალტიეს კიდევ შეეძლოთ „ოლ ბლექსის“ დალელოება, მაგრამ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდათ. სტუმრები კი დამარცხებას არ ეგუებოდნენ და მერთენსის მეოთხე ზუსტი საჯარიმოს შემდეგ უკანასკნელი შტურმისთვისაც მოემზადნენ — მათ ხომ ერთი გარდასახული ლელოც ჰყოფნიდათ მოსაგებად. თუმცა ბოლო შტურმი ფრანგული გამოდგა, რაც ლამეზონის არეკნით დასრულდა და მსაჯმა თამაშის განახლების შემდეგ პირველივე აუტისას საფინალო ჩასტვინა — 42:33.

ბერნარ ლაპორტი: „ვულოცავ ახალ ზელანდიას, მას ბრწყინვალე გუნდი ჰყავს, უნდა მივულოცო „ველოდრომის“ ქომაგებსაც, ჩვენ კიდევ დავბრუნდებით მარსელში. მისალოცნი არიან ჩვენი მორაგბეებიც, რომლებმაც მშვენივრად ითამაშეს, განსაკუთრებით შეხვედრის დასაწყისში და ბოლოში. გასულ შაბათსაც შეიძლებოდა მოგვგო, მაგრამ მაშინ ახალბედებივით ვითამაშეთ. ამჯერად კი გამოცდილი და ბრძენი ხალხივით გავისარჯეთ, გაცილებით ჭკვიანურად გამოვიყენეთ ჩვენი უპირატესობანი და მეტოქის სუსტი მხარეები“.

ფაბიენ პელუ: „არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო. ყოველთვის, როცა ცოტათი მაინც უკან დავახევინებდით მეტოქეს, ქომაგების ღრიანცელი გვამხნევებდა. ვგრძნობდით, რომ ჩვენ 60 ათასი ვიყავით, ისინი კი მხოლოდ თხუთმეტნი. ამან დაგვამშვიდა და თამაშის გაკონტროლება შევძელით. მართალია, ასეთი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ თავში არ უნდა აგვივარდეს. უძლიერესობამდე ჯერ კიდევ შორია“.

ლაპორტისა და პელუს გარდა მარსელელთა თავგადაკლული ქომაგობა სხვებმაც აღნიშნეს და, ფაქტობრივად, გადაწყდა კიდეც, რომ ეს საპორტო ქალაქი 2002 წლიდან მოყოლებული პერიოდულად ექვსი ერის პირველობის მატჩებსაც უმასპინძლებს. „ველოდრომზე“ „მამლები“ პირველად იტალიას შეებრძოლებიანო, თქვეს საფრანგეთის რაგბის ფედერაციაში.

ფაბიენ პელუმ ბურთი ჯასტინ მარშალს არ დაანება

აუ, სად წავიდა ტექნიკა!

ტესტი

თბილისი, 18 ნოემბერი
74 000 მაყურებელი

ინგლისი	**22 (12)**
ავსტრალია	**19 (9)**

ინგლისი: პერი, ლაჯერი, ტინდელი, კეტი, ჰილი (ბოლშოუ 57), უილკინსონი, ბრეკენი (დოუსონი 62), ბეკი, დალალიო, ჰილი, გრიფკოკი, ჯონსონი (კაპ.), ვიკერი, გრინინგი (რიგენი 80), ლეონარდი

1ლ — ლაჯერი (80); **1გ. და 1ს** — უილკინსონი (7, 15, 29, 54); **1ა** — უილკინსონი (40)

ავსტრალია: ლეითუმი, ბარკი, ჰერბერტი, მორტლოკი, როფი, კაფერი (ტრეი 40), კორდინგლი, სმიტი (ვოუ 77), ჯეფუ (კონორსი 60), უილიამსი, ილზი (კაპ.), გიფინი (კოგბეინი 79), დაისონი (ბანოუმი 31), ფოლი (ბოლი 41), იანგი

1ლ — ბარკი (44); **1გ. და 4ს** — ბარკი (18, 24, 31, 49)

დროებითი შეცვლები: ვიკერი — ფლეტბანი (22 — 25), უილიამსი — კონორსი (45 — 60)

გაფრთხილება: გიფინი (40), ლეითუმი (80), კოგბეინი (80)

მსაჯი: უოტსონი (სამხრეთ აფრიკა)



დან ლაჯერი ვიდეოგმირია

მატჩი ფაქტობრივად მორჩენილიყო, მაგრამ არავინ ზეიმობდა, გამარჯვებულის ვინაობა არავინ იცოდა, ყველაფერი ვიდეოარბიტრს უნდა გადაეწყვიტა. მასთან მოთათბირების ანუ ინგლისელთა ბოლო შეტევის ვიდეოფირზე ნახვის შემდეგ შეხვედრის მთავარმა მსაჯმა სამხრეთაფრიკელმა უოტსონმა ხელი ზეაღმართა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ელლო ჩათვალა და შესაბამისად გამარჯვება ინგლისელებს არგუნა. ასე და ამგვარად გადაწყვიტა პირველად ტესტების ისტორიაში მატჩის ბედი ტექნიკამ. დენ ლაჯერის ელლო ჩაითვალა და თვიქნემელმა მაყურებელმაც გამარჯვების აღსანიშნავად ომახიანი ყიჟინა დასცხო.

97 წუთის მანძილზე (მსაჯმა პირველ ტაიმს 7 წუთი წაამატა, მეორეს კი 10) ტერიტორიულ უპირატესობას თითქმის მუდმივად ბრიტანელები ფლობდნენ. თუმცა მათი შეტევები დიდხანს იმსხვრეოდა ავსტრალიელთა დაცვის ჯებირზე, სანამ ბოლოს და ბოლოს ლაჯერმა არ მოახერხა ამ ჯებირში ერთი ბეწო ნახვრეტის პოვნა. სამხრეთელები კი დაცვის გარდა მშვენიერი დამრტყმელითაც დაიკვეხნიან და მეტიუ ბარკიც აგროვებდა საჯარიმოებიდან ქულებს. თუმცა დამრტყმელთა დუელში მას ამჯერად ინგლისელმა ვიზავიმ აჯობა.

შესვენებამდე ჯონი უილკინსონმაც და ბარკმაც სამ-სამი საჯარიმო შეაგდეს. ამით ბედნიერნი ოზები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათ თითქმის ყოველმა შეტევამ მოუტანა ქულები. ავსტრალია იშვიათად გადადიოდა მასპინძელთა ნახევარზე, მაგრამ ინგლისი თითქმის ყოველთვის ჯარიმდებოდა, ძირითადად თამაშგარე მდგომარეობის წესის დარღვევის გამო.

ალბიონელები კი მოწინააღმდეგის 22 მეტრში რამდენიმე წუთითაც დასცემდნენ ხოლმე ბანაკს, მაგრამ სამი საჯარიმოს მეტს ვერც ისინი გამორჩნ[illegible] არადა, მატჩის ბოლოს გმირად ქცეულ ლაჯერს მარცხენა ფრთიდან სულ მცირე ორჯერ მაინც შეეძლო მეტოქის დალელოება, მაგრამ იგი შეტევას ბოლო ფაზაში სცოდავდა. უილკინსონმა სამჯერ შეაგდო საჯარიმო, მაგრამ ერთხელ მისი დარტყმული ძელმა მოიგერია.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ინგლისელთა დარმტყმელმა არეკნი გაიტანა და შესვენებაზე თავისიანები სამქულიანი უპირატესობით გაუშვა. არა და წინ შეიძლება ავსტრალია ყოფილიყო — რამდენიმე წუთით ადრე ბარკმა მეოთხე საჯარიმო გააცუდა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა გაცილებით უკეთ დაიწყეს. მათი პირველივე საფუძვლიანი იერიში ინგლისელთათვის ცუდად დამთავრდა. ჯო როფი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, ოსტინ ჰილიასა და მეტ პერის თავი არ გაასკვანინა და ბარკს სალელოე პასი ხონჩით მიართვა. ამ უკანასკნელსაც დიდი ხელწნა არ დასჭირვებია და თავისივე ელლოს გარდასახვას ხუთიოდ წუთში კიდევ ერთი საჯარიმო დაურთო და ავსტრალია 19:12 დაწინაურდა.

ინგლისმა ისევ შეუტია, მაგრამ უმრავი მომენტის მიუხედავად ელლო მაინც ვერ მოიმკო. მერე უილკინსონმა ერთხელაც ივარგა და თავისიანებს გამარჯვების იმედიც გაუღვივა.

მიმდინარეობდა მსაჯის მიერ დამატებული მეშვიდე წუთი. ისე, უნდა ითქვას, რომ ბატონ უოტსონს ზედმეტი ნამდვილად არ უთამაშებია გუნდები, რადგან ავტრალიელები მუდმივად დროის გაყვანას ცდილობდნენ. ჰოლა მეორე ტაიმის 47-ე წუთზე იან ბოლშოუმ გადაკიდა ბურთი მეტოქის დაცვის უკან, ლაჯერი კი მასთან პირველი გაჩნდა და...

დაახლოებით ორი წუთი დასჭირდ[illegible] მსაჯს ელლოს ყოფნა-არყოფნის გასარკვევად და ბოლოს ხელი ასწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონებმა წლეულს მეორე მარცხი იწვნიეს, სიმბოლური „ძუკის თასი“ კი ინგლისელებმა მოიპოვეს.

გაიოზ თალაკვაძ[illegible]

ჩეპჩუმბას სოლო

ტოკიოს ქალთა მარათონი, კვირას რომ შედგა, ორი ამბით გამოირჩა. ჯერ ერთი, პრინციპული დაპირისპირება ჰქონდათ 10 ათას მეტრზე სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონსა და მარათონის მესამე პრიზიორს, ანუ ეთიოპ დერარტუ ტულუსა და კენიელ ჯოის ჩეპჩუმბას; მეორეც, იაპონიის დედაქალაქის მარათონი ისტორიაში პირველად აფრიკელმა მოიგო. ეს უკანასკნელი ფაქტი სტატისტიკით დაუინტერესებელ მკითხველს არცთუ დააინტერესებს, მაგრამ მძლეოსნობის მოწონებით მაყურებლებს დასავლეთაფრიკელი მეზობლების ცხარე სამძლეოსნო ომებისთვის მუდამ ინტერესით უცქერიათ და ერთი მათგანი ხომ ტოკიოშიც შედგა.



ჯოის ჩეპჩუმბა

ჩეჩუმბა ფავორიტი იყო. ტულუ მარათონელობაზე ერთობ კი იქაჩება, მაგრამ მაინც უფრო პატარა დისტანციებზე მორბენალია, სიდნეიში თვისტომთა ხელშეწყობით გამომუშავებული ოქროც ამის დასტურია. ამიტომ კენიელის იაპონური გამარჯვება კანონზომერი ჩანს. დისტანციის მთელმა მეორე ნახევარმა მისი დომინირებით ჩაიარა, მანამდე ლიდერობდა ზედ სტარტიდან წინ გავარდნილი მასპინძელი და მარტში ნაგოიას მარათონის ვიცე-ჩემპიონი რეიკო ტოსა, რომელსაც რქებით მიწოლის ტაქტიკამ მხოლოდ 22-ე კილომეტრამდე უერთგულა. იქნებ ცოტა მეტიც გაექაჩა, მაგრამ მე-15 კილომეტრზე სანღო კაცისგან გადმოგდებული წყლის ბოთლი რომ ვერ დაიჭირა, ამან ფსიქოლოგიურად შეარყია და მალე ჩეპჩუმბა წამოწია. შორს არც ტულუ ნანდა. 27,5 კილომეტრი რომ ამოიწურა, ჩეპჩუმბამ შეტევა დაიწყო, ნელნელა ზრდიდა გარღვევას და არც ეთიოპსა და არც იაპონელს დასაწევად მინცდამაინც თავი არ მოუკლავთ. შესაბამისად, იხილა რა, რომ მდევრები უჯიგროდ მისდევდნენ, ჩეპჩუმბამაც ზომიერად და სოლიდურად განასრულა თავისი სოლო რეიდი და ფინიშის ხაზი ნაკლებ გამოსაჩენი შედეგით გადაკვეთა — 2 საათი, 24 წუთი და 02 წამი. ტოსამ ტულუ დაამარცხა და მეორე ადგილი დიდი უპირატესობით წაჰგვარა — 2:24,47-ით 2:26,38-თან. „ოლიმპიადიდან მხოლოდ ორი თვე გავიდა — თქვა ჩეჩუმბამ მასმედიასთან რბენის შემდგომი ბაასისას — ამიტომ ეს მარათონი იქაურის გაგრძელებაა. ძალიან კარგად მოვემზადე“.

მომზადება ჩეჩუმბას მართლაც ეტყობოდა. შეიძლება, ტოკიოს მარათონი შემთხვევით ვინმემ მოიგოს, მაგრამ ჩიკაგოსა და განსაკუთრებით ლონდონში უვარჯიშებლად ფონს გასვლა გამორიცხულია. ჩეჩუმბას კი ისინიცა აქვს მოგებული.

დავით გულუა

შეხვედრა ბორტთან: დეტროიტელი ირჟი ფიშერი (2) და ნეშვილელი კევინ ლინტნერი

ნმენდა მონრეალში

20 ნოემბერი

დეტროიტი — ნეშვილი 6:3

3:0 0:3 3:0

1:0 კოზლოვი 0'37 (6); 2:0 ბუცაევი 7'26 (1); 3:0 ლიდსტრიომი 7'52 (1); 3:1 რონნგი 25'18 (8); 3:2 ლეგვანდი 29'36 (3); 3:3 ლეგვანდი 29'56 (4); 4:3 მაკარტი 40'33 (2); 5:3 ლაპოინტი 44'59 (11); 6:3 ლიდსტრიომი 52'06 (2).

დალასი — ტამპა 6:2

0:0 5:1 1:1

1:0 ლაკოვიჩი 26'41 (1); 1:1 კუბინა 27'28 (5); 2:1 ლაიშენკო 32'21 (1); 3:1 კინი 33'55 (5); 4:1 მოდანო 35'13 (6); 5:1 ბალი 39'14 (12); 5:2 რიჩარდსი 58'21 (4); 6:2 ნუინდაიკი 59'59 (9).

ასეთ სირცხვილს ლიგის ყველაზე სახელოვან გუნდს ვინ აპატიებდა. ტორონტოსთან განცდილმა კრახმა (1:6) მონრეალის მესვეურთა მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო. ხუმრობა ხომ არ არის, თასის 24-გზის მფლობელმა ბოლო 11 მატჩიდან 10 წააგო და სატურნირო ცხრილის ბოლო, 30-ე (!) ადგილზე აღმოჩნდა. ცხადია, ბრალი თავკაცობას დაედო და გუნდის მფლობელმა, პიერ ბუავენმა მთელი შტაბი, მწვრთნელ ალენ ვინიოსა და გენერალურ მენეჯერ რეჟან უილის ჩათვლით, დაითხოვა. „ჩვენი გუნდისთვის ასეთი შედეგები მიუღებელია, ამიტომ სწრაფ და რადიკალურ ზომებს მივმართეთ“ - თქვა ბუავენმა პრესკონფერენციაზე. კინიოს მონრეალის ფარმ-კლუბის, კვებეკის თავკაცი მიშელ ტერიენი შეცვლის, მისი ასისტენტი 40 წლის სახელოვანი ფორვარდი გი კარბონო იქნება, რომელმაც კარიერა შარშან დაასრულა, ხოლო გენერალური მენეჯერის მოვალეობას ანდრე სავარი შეასრულებს. ვნახოთ, რას მოუტანს გუნდს ეს ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ მონრეალი ბოლო ორ სეზონში პლეი ოფს მიღმა დარჩა, თუმცა შარშან კანადელებმა სათასო საგზურისათვის ბოლომდე იბრძოლეს და შერისხული ვინიო „ჯეკ ადამს ტროფის“ მაძიებელიც კი გახლდათ.

დღის ორ თამაშში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა. დეტროიტმა უქმეებზე წაგებისთვის ნეშვილთან რევანში აიღო, თუმცა თამაშში საბოლოო გარდატეხა მხოლოდ მესამე პერიოდში შეიტანა. როგორც იქნა გატეხა ნავი გუნდისა და ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმა, რომელმაც წლეულს პირველი 20 მატჩი უგოლოდ ჩაატარა.

დალასმა კი ყველაფერი მეორე პერიოდში გადაწყვიტა, როდესაც მისთვის უზვეულოდ შედეგიანად ათამაშა (ბოლოს ერთ მესამედში 5 შაიბა „ვარსკვლავებმა“ 1999 წლის 5 ნოემბერს გაიტანეს). თანაც, ამჯერად ოთხივე ხაზის მოთამაშეებმა შეიტანეს წვლილი გამარჯვებაში და მწვრთნელ კენ ჰიჩკოკის ქებაც დაიმსახურეს.

სამუელ ლარიბიანი

დიდები ბავშვების კვალზე

ვაკეში, „ფალავანთა კლუბის“ თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის ხალიჩაზე ნორჩი კიოკუშინ კარატისტებისგან ესტაფეტა მოზრდილებმა აიღეს და კვირას ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლეს. ორგანიზატორი საქართველოს კიოკუშინ კარატეს ფედერაცია იყო ავიღილ შენგელიას ხელმძღვანელობით. თავიდან შეჯიბრი საჩვენებელ გასვლებში („კატა“) ჩატარდა და იგი ბატონმა კარატისტმა ანზორ ჩუბინაძემ მოიგო. მერე დაიწყო „კუმიტე“ - ანუ კონტაქტური ბრძოლები და მძაფრადაც ჩაიარა. ფოტო შავ-თეთრია, მაგრამ კიმონოებზე აშკარად ჩანს ლაქები. ეს ის სისხლია, რომელიც ნახევარფინალში ბრძოლით გატაცებულ თამაზ ობოლაშვილსა და ჯუმბერ კაკულიას წამოუვიდათ. მანამდეც იყო საინტერესო პაექრობები. მაგალითად, ოთხეფინალური დავით გეჯაძესა და ემზარ ნიქაცაძეს შორის. გეჯაძემ მოიგო, მაგრამ ნახევარფინალში მოუოდნელად წააგო. მოულოდნელადო ვამბობთ, რადგან იგი ბოლო დროს შეჯიბრებებზე მუდამ იმარჯვებდა. გეჯაძე ბრინჯაოს დაეპატრონა, ხოლო ფინალი ობოლაშვილსა და სოსო კუნდუხაშვილს შორის შედგა. ობოლაშვილი საქართველოს ჩემპიონიც ყოფილა და „კავკასიის თასიც“ მოუპოვებია, მაგრამ ფინალში კუნდუხაშვილი მოერია. ქვეყნის ჩემპიონიც ის გახდა.

ოთხი რჩეული: ჯუმბერ კაკულია, თამაზ ობოლაშვილი, დავით გეჯაძე, სოსო კუნდუხაშვილი

პიტერ კანინგემი და ქართველები დაქმოებილდნენ

ნოემბრის შუა რიცხვებში პრაღამ კიკბოქსინგის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. მრავალი ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი მოგროვდა, მაგრამ 13 ქართველი იყო კლუბ „ჯიქის“ ლეგიონელის, გოჩა ჯავახიას მეთაურობით. ჩეხეთის დედაქალაქში ჩვენების გამოსვლა რამდენიმე სპონსორმა უზრუნველყო. საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციის წევრები მადლობით მოიხსენიებენ: დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელს, თეიურ ლობაშვილს, სასაზღვრო ჯარების სამდივნოს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ბეიძეს, იოსებ ნატროშვილსა (ფირმა „ბალშენის“ პრეზიდენტი) და აგარის შაქრის ქარხნის დირექციას.

პრაღაში არ გამოსულა ყველაზე ტიტულიანი ქართველი კიკბოქსიორი, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ჩაკვეტაძე. 24 სექტემბერს მან პირველად საქართველოს ისტორიაში პროფესიულ რინგზე ჩემპიონის ქამარი მოიპოვა და იმავდროულად ხელი იტკინა. მისი დარჩენის მიზეზიც ეს იყო.

ქართველები პრაღაში კარგად გამოვიდნენ. მათ ანგარიშზე 7 მედალია — 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო, რაც, მართალია, წინა პირველობის 11 მედალზე (მათ შორის 5 ოქრო) ნაკლებია, მაგრამ მაინც აღსანიშნავი შედეგი გახლავთ.

პიტერ კანინგემმა ქართველებში გაიხარა

მსოფლიოს ჩემპიონი დედოფლისწყაროელი გიორგი წიკლაური გახდა, ხოლო ვიცე-ჩემპიონობა ზვიად გომიაშვილმა (სასაზღვრო ჯარებიდან), გიორგი ამოევმა და არჩილ ლაფაჩიშვილმა მოიპოვეს, ბრინჯაოს შალვა ავთანდილაშვილი და ალექსანდრე მღებრიშვილი დაეუფლნენ.

მხოლოდ სამი ვერცხლისმედალოსანი ვახსენეთ, მეოთხე ცალკე აღსანიშნავია. პრაღაში ჩინებულად იჩხუბა საუკუნეთა გასაყარის მაია წყნეთელმა — ელენე ბოლაშვილმა და დედოფლისწყაროელი გოგო პირველი ქართველი ქალი-პრიზიორი შეიქნა კიკბოქსინგის მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ახლა პრეტენზიებზე. ჩემპიონატის ქართველ მხილველთა თქმით, მსაჯობა ტენდენციური იყო და ამიტომ დარჩენილა უმეტესად ახალგაზრდებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ოთარ გოლობერიძე, მღებრიშვილის ოდენ ბრინჯაოც მათ ნამუსზე ყოფილა. შარშანდელზე მოკრძალებული შედეგის მიუხედავად, ქართველებს ლეგენდარული ამერიკელი კიკბოქსიორის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ პიტერ კანინგემის განსაკუთრებული ყურადღება მიუპყრიათ (იხილეთ ფოტო). დავიმეგობრდა და რჩევა-დარიგებებით გვამარგებდაო, გვითხრა გოჩა ჯავახიამ. ეს კარგი სტიმული იქნება საქართველოში კიკბოქსინგის უფრო განვითარებისთვის, თუმცა არსებულ მდგომარეობასაც არა უშავს: ფედერაციაში 15 ფილიალი და 2000 სპორტსმენია გაერთიანებული.

კვირის მოთამაშე

ტომი სალო (ედმონტონი)

ედმონტონელი ტომი სალო ყოველთვის საიმედო მეკარედ ითვლებოდა, მაგრამ უფრო მეტი სტიმული შემატა კლუბის ხელმძღვანელობამ, რომელმაც შვედ ჰოკეისტს სეზონის დასაწყისშივე კონტრაქტი განუახლა და გაცილებით უკეთესი პირობები შესთავაზა. წინა კვირაში სალომ მართლაც რომ გაიბრწყინა — სამი მატჩიდან ორში შთაუტი მიითვალა. განსაკუთრებით ძლიერად კი სენტ ლუისთან ითამაშა, როდესაც 29 დარტყმა მოიგერია და დამსახურებულად გახდა კვირის მოთამაშე. აღსანიშნავია, რომ განვლილი ექვსი კვირის განმავლობაში სალო მეორე მეკარეა, რომელმაც ეს წოდება დაიმსახურა.

საუკეთესო ძეძსეული. 13-21 ნოემბერი

ტომი სალო (ედმონტონი, 2); ლუბომირ სეკერში (მინესოტა, 1) — ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი, 2); ალეძ ტანგეი (კოლორადო, 1) — ჯო საკიჯი (კოლორადო, 2) — ვენსან დამფუსი (სან ხოსე, 1)

სატურნირო ვითარება

ჩრდილო - აღმოსავლეთი

ოტავა	19	10	4	0	5	63:46	24
ტორონტო	20	10	3	1	6	56:39	24
ბუფალო	18	10	2	1	5	50:42	23
ბოსტონი	19	6	2	2	9	45:71	16
მონრეალი	20	5	2	0	13	48:65	12

ატლანტა

პიტსბურგი	19	10	2	1	6	60:53	23
ფილადელფია	20	9	4	0	7	53:57	22
რეინჯერსი	19	10	0	0	9	66:60	20
ნიუ ჯერსი	19	8	3	0	8	63:55	19
აილენდერსი	18	6	2	1	9	39:51	15

სამხრეთ - აღმოსავლეთი

კაროლინა	19	6	3	1	9	44:57	16
ტამპა	18	6	2	1	9	52:69	15
ატლანტა	17	4	6	1	6	46:48	15
ვაშინგტონი	20	4	6	1	9	48:62	15
ფლორიდა	18	3	4	3	8	38:52	13

ცენტრი

სენტ ლუისი	19	13	3	0	3	59:34	29
დეტროიტი	21	12	1	1	7	61:51	26
ნეშვილი	20	7	5	1	7	45:51	20
კოლუმბუსი	21	7	1	1	12	42:65	16
ჩიკაგო	20	6	2	2	10	51:62	16

ჩრდილო - დასავლეთი

კოლორადო	21	14	3	0	4	65:44	31
ედმონტონი	23	12	3	0	8	65:58	27
ვანკუვერი	20	11	3	1	5	71:55	26
კალგარი	22	5	3	3	11	47:63	16
მინესოტა	21	5	3	1	12	44:59	14

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	21	11	6	0	4	63:46	28
სან ხოსე	18	12	2	0	4	52:39	26
ლოს ანჯელესი	21	11	4	0	6	75:56	26
დალასი	19	10	3	1	5	52:40	24
ანაჰაიმი	22	8	3	2	9	59:72	21

შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელისუფალთა საჭურადღებოდ!

REUTERS ბუფალოდან

თუ თქვენდამი რწმუნებული მოსახლეობა სიღატაკეს დაიჩივლებს, თვალებში სტაკეთ ეს ფოტო, რომელზეც ასახულია თუ როგორ ტვირთავენ ბუფალოელ ღარიბთათვის განკუთვნილ ინდაურებითა და სხვა სანოვაგით სავსე ფუთებს „ბუფალო ბილზის“ მოთამაშეები ჯერემი მაკდანიელსი (მარცხნივ) და ერიკ მულდსი (მარჯვნივ). მანქანის ძარაზე UPS-ის მძღოლი დგას. აღსანიშნავია, რომ ამ ჰუმანიტარულმა აქციამ „ბილზის“ ვარჯიშის სამი საათი შეიწირა.

ცნობისათვის, ბუფალო ამერიკის შეერთებულ შტატებშია, ხოლო „ბუფალო ბილზი“ იქაური ფეხბურთის გუნდი გახლავთ.

ხარახშრა ამბავი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

გახშრდა თამაში და იუტელმა კარლ მელოუნმა დალასელ დირკ ნოვიცკის ბურთი თავზე დაახურა — ხელი ატკინა. ნოვიცკიმ კინაღამ ხურდა დაუბრუნა. მსაჯმა, ეხლა თქვენ ნუ გაახურეთო, ორივე შეახურა, მაგრამ არავინ დაუჯარიმა — სამსახური აქვს ასეთი, ხანდახან თვალი უნდა დახუჭოს. ისე, დალასმა დახურა, სტუმრად მოიგო 104:98.

ვაშა, ამხანაგებო!

მხნედ მოაბიჯებს ჩვენი სპორტსმენი ახალგაზრდობა
წლეულს მექსიკელმა ოლიმპიელებმა სამშობლოს ერთ
ოქროს, ორი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალ
უპატაკეს. მათმა წარმატებებმა 15 პროცენტი
გაზარდა პროლეტარიატის შრომისნაყოფიერება, ხოლ
საშემოდგომო ფერხულში ჩაბმულმა ახალგაზრდობა
ჭირნახული ვადაზე ორი კვირით ადრე ჩააბარ
სახელმწიფოს
და აი, მეხოკოს მოსახლეობა მხურვალდ ესალმებ
სიდნეური ოქროს მფლობელს, სასიქადულო ძალოსა
ქალს სორაიდა ხიმენესს, რომელმაც შორეულ
ავსტრალიის მიწაზე ამაყად დაამტკიცა სქესთა შორ
თანასწორობა. ამიტომაც მექსიკის რევოლუციის 90-
წლისთავზე ამხანაგი ხიმენესით ამაყობ
ყველა, დიდი თუ პატარ
დღეს დილით, მშრომელთა დემონსტრაცი
დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე ამხანაგი ხიმენეს
და ჩვენი საამაყო მძლეოსანი, ამხანაგი ჟოელ სანჩეს
საპრეზიდენტო სასახლეში მიიღეს ქვეყნ
პრეზიდენტმა, ამხანაგმა ერნესტო სელიდომ და მისმ
მეუღლემ, ამხანაგმა ლინდა პატრისია დე სელიდომ
ამხანაგებმა ხიმენესმა და სელიდომ ერთმანეთსა
სამშობლოს მომავალ წარმატებებზე ხრუნვა აღუთქვეს

შავზე შავი ვთქვათ, თეთრზე თეთრი

REUTERS ლონდონიდან

ეს შავ-თეთრი ოჯახი ლონდონის სასამართლოში შავის და თეთრის გასარჩევად მიდის. საქმე ის გახლავთ, რომ ქალი, დაიან მოდალი ცნობილი მორბენალი იყო, სანამ ჩინებულ კარიერას დოპინგ-ტესტი არ გაუფუჭებდა. ახლა თანამეცხედრესთან, ვინსენტთან ერთად ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციას უჩივის, ტყუილად დამსაჯათ და კომპენსაციას ითხოვს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge